619
1986

ISSN 0130 — 1824

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

მაისი № 5 1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საპირველმაისო დღესასწაული თბილისში



# ისრაფილ ჯინჭარაძის ცეცხლოვანი ტარანი



18 205

საქვეყნოდაა ცნობილი მამაცი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძის სახელი.

26 წლის ვაჟკაცის, აჭარის პირველი გმირის დაღუპვის ცნობამ ღრმად დაამწუხრა მისი მშობლიური მახინჯაური, ხოლო პოეტ ფრიდონ ხალვაშის ლექსმა „სიმღერა გმირ ჯინჭარაძეზე“ მშობლიური კუთხე მოიარა.

ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ ისრაფილ ჯინჭარაძე მხოლოდ ოთხ თვესა და 13 დღეს იმყოფებოდა მოქმედ არმიაში, მანამდე კი ერთ-ერთი საავიაციო ქარხნის მფრინავ-გამომცდელი იყო. უმცროსი ლეიტენანტი ისრაფილ ჯინჭარაძე 1943 წლის 22 მაისს ჩაირიცხა 673-ე მოიერიშე საავიაციო პოლკის უფროს მფრინავად. მან პირველსავე ბრძოლებში ისახელა თავი. ფრონტზე ყოფნის მეექვსე დღეს — 1943 წლის 26 მაისს 10 წარმატებითი საბრძოლო გაფრენისათვის, რომელთა დროსაც დიდი ზარალი მიაყენა მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, დივიზიის მეთაურის ბრძანებით წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო სამი თვის შემდეგ — 1943 წლის 30 აგვისტოს მის მკერდზე სამამულო ომის I ხარისხის ორდენი აკიაფდა.

ჩვენ ხელთა გვაქვს ისრაფილ ჯინჭარაძის საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე წარდგინების დოკუმენტი, რომელიც 1943 წლის 10 ოქტომბერს არის შევსებული. მოვიყვანთ ერთ ადგილს ამ დოკუმენტიდან:

„დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ყოფნის დროს ამხ. ჯინჭარაძემ „ილ-2“ თვითმფრინავით განახორციელა 92 საბრძოლო გაფრენა. მან ამ ბრძოლებში პირადად მოსპო მოწინააღმდეგის 27 ტანკი, 82-მდე ავტომანქანა, მტრის აეროდრომებზე იერიშისას გაანადგურა 6 თვითმფრინავი, საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდო 1 თვითმფრინავი; ჩაახშო საზენიტო არტილერიის 10 წერტი, გაანადგურა საველე არტილერიის 5 ბატარეა და 3 სანაღმტყორცნო წერტი, მოკლა, დაჭრა და გაფანტა მოწინააღმდეგის 880-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბრძოლო დამსახურებისათვის ჯინჭარაძეს მიღებული აქვს თავდაცვის სახალხო კომისრის 4 მადლობა, ფრონტის სარდლის 2 მადლობა, არმიის სარდლის, კორპუსის მეთაურისა და დივიზიის მეთაურის 7 მადლობა.

92 წარმატებითი საბრძოლო გაფრენისათვის ღირსია მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება“ (სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივი. ფონდი 33, აღწ. 793756, საქმე 13, ფურცელი 245).

ამ წარდგინების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებით უმცროს ლეიტენანტ ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება.

ომის შემდგომ პერიოდში დიდხანს დაუდგენელი იყო ჩვენი გმირის დაღუპვის თარიღი. არც ის ვიცოდით, სად იყო ის დასაფლავებული. მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინ შევიტყვეთ, რომ იგი დასაფლავებულია დნეპროპეტროვსკის ოლქის ვერხნედნეპროპეტროვსკის რაიონის სოფელ პრავობერეჟნოეს საძმო სასაფლაოზე. ამის შემდეგ დაუდგენელი გვრჩებოდა ყველაზე მთავარი — რა პირობებში დაიღუპა მამაცი მფრინავი.

გასული წლის ბოლოს კიდევ ერთხელ ჩავედი ქ. პოდოლსკში და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში სხვა დოკუმენტებთან ერთად საბჭოთა კავშირის გმირის ი. ქ. ჯინჭარაძის საავიაციო პოლკის მასალებიც შევისწავლე. ჩვენმა კვლევამ ამ საიდუმლოებასაც ახადა ფარდა. პოლკის საარქივო მასალებში წავაწყდი ასეთ ჩანაწერს:

„1943 წლის 15 ოქტომბერს საჰაერო ბრძოლისას ცეცხლი გაუჩნდა უმცროს ლეიტენანტ ჯინჭარაძის თვითმფრინავს. მან თავისი ალმოდებული თვითმფრინავი წარმართა მოწინააღმდეგის ტექნიკისა და ცოცხალი ძალის დაჯგუფებისაკენ“ (ზემოაღნიშნული არქივი. 673 მოიერიშე საავიაციო პოლკის ფონდი. აღწ. 271547, საქმე 5, ფურცელი 9).

აი კიდევ ერთი საარქივო ჩანაწერი:

„სტალინგრადის ფრონტზე გმირის სიკვდილით დაეცა კომკავშირელი მფრინავი ვიქტორ რომალსკი, რომელმაც გასტელოს გმირობა გაიმეორა — თავისი ალმოდებული თვითმფრინავი წარმართა მოწინააღმდეგის სატანკო კოლონისაკენ. ის ამ ბრძოლაში დაიღუპა. **ასეთივე გმირობა გამოიჩინეს და სოციალისტურ სამშობლოს შესწირეს თავი მფრინავებმა: საბჭოთა კავშირის გმირმა, უმცროსმა ლეიტენანტმა ჯინჭარაძემ,** ორგზის ორდენოსანმა ლეიტენანტმა დერკოჩევმა და ოთხგზის ორდენოსანმა, გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ბუტუზოვმა“ (იგივე არქივი. 142-ე გვარდიული მოიერიშე საავიაციო პოლკის ფონდი, აღწ. 518992-ს. საქმე 1, ფურცელი 10).

საარქივო დოკუმენტებმა ნათელი მოჰფინეს საბჭოთა კავშირის გმირის ისრაფილ ჯინჭარაძის კიდევ ერთ, დღემდე უცნობ, გმირობას. მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე წარდგენიდან (10 ოქტომბერი, 1943) 5 დღის შემდეგ, 1943 წლის 15 ოქტომბერს, ლეგენდად ქცეული კაცის, კაპიტან ნიკოლოზ გასტელოს მსგავსი გმირობა ჩაუდენია — თავისი ალმოდებული მანქანა მტრის დაჯგუფების მოსასპობად წარუმართავს და ცოცხლად დაფერფლილა...

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№5 (593), მაისი, 1986

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ტრისტან ჩინჩილაკაშვილი — ისრაფილ ჯინჭარაძის ცეცხლოვანი ტარანი.
საკ მანველიანი — თიანეთის არწივი.
კონსტანტინე გამსახურდია — ლექსები, მოთხრობა.
სულხან ქეთელაური — დეზაურა (მოთხრობა).
სიმართლე — უპირველეს ყოვლისა! წარმატებით სამსახურს გისურვებთ, ახალგაზრდებო! (საუბარი კომისართან).
იამზე ბასილია — მებრძოლი და მხატვარი.
ნატო ლეჩუაშვილი — ლექსები.
გივი გეწაძე — საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ გაბრიაძე.
ვახტანგ გორგანელი — ნაძალადევის სამკითხველოს კურთხევა.
ელიზბარ უბილავა — იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმი.
შალვა ჩირაძე — ნაღმი.
გიორგი პაპუაშვილი — ლექსი.
სოტირის კადასი — ივირონის მონასტერი.
ხაჩიკ ვართანიანცი — მეგობრობის ხიდი.
ილო ალაზნელი — თორმეტი კილომეტრი ჭერქვეშ.
ომარ შუდრა — პაიჭაძე, დღესაც პაიჭაძეა.
თეიმურაზ მიგჩუანი — ალაზანი.
ნუგზარ ბარდაველიძე — თქვენთვის, მარილის მოყვარულნო!
რევაზ კვესელავა — ოცდაათი წლის შემდეგ.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1986 წ.

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი
ხუტა ბერულავა

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:
გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის წლებში 200-მდე საბჭოთა მფრინავმა გაიმეორა კაპიტან ნიკოლოზ გასტელოს მსგავსი გმირობა და ყველა ისინი ისტორიაში გასტელოელების სახელით შევიდნენ. ჩვენი გმირი ისრაფილ ჯინჭარაძეც გასტელოელი ყოფილა, თუმცა, ეს სახელიც ხომ პირობითია: ომის შემდგომ წლებში სამხედრო ისტორიკოსთა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თვით ნიკოლოზ გასტელოსაც ჰყოლია თავისი წინამორბედი — ომის დაწყების პირველ საათებში, 1941 წლის 22 ივნისს ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვართან პირველი ცეცხლოვანი ტარანი განუხორციელებია 62-ე საავიაციო პოლკის ავიარგოლის მეთაურს, კომუნისტ პეტრე სტეფანეს ძე ჩირკინს (ხოლო კაპიტან ნიკოლოზ გასტელოს გმირობა 1941 წლის 26 ივნისით თარიღდება), რისთვისაც მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და სამუდამოდ იქნა შეყვანილი თავისი პოლკის სიებში.

დავინტერესდი, ამ ახალი საგმირო საქმისათვის მთავრობის რაიმე ჯილდოთი ხომ არ აღინიშნა ისრაფილ ჯინჭარაძის თავგანწირვა? ამიტომ გულმოდგინედ გავეცანი 142-ე გვარდიული მოიერიშე საავიაციო პოლკიდან დაჯილდოებული მფრინავების სიებს (მკითხველი, ალბათ, დააკვირდება, რომ ისრაფილ ჯინჭარაძის პოლკს წერილში სხვადასხვა ნომრით ვიხსენიებ, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ასეთი განმარტება: 1941 წლის 5 ნოემბერს ხარკოვის საავიაციო-სამხედრო სკოლის ბაზაზე შეიქმნა 673-ე ღამის ბომბდამშენი საავიაციო პოლკი. 1942 წლის 2 ივლისს ეს პოლკი 673-ე მოიერიშე საავიაციო პოლკად გადაკეთდა. ბრძოლებში დამსახურებისათვის საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის 1944 წლის 5 თებერვლის ბრძანებით პოლკს მიეკუთვნა 142-ე გვარდიული მოიერიშე საავიაციო პოლკის სახელი, ომის დასასრულს კი ის იწოდებოდა 142-ე სანდომირის გვარდიულ მოიერიშე საავიაციო პოლკად).

არქივში ამ საავიაციო პოლკის მფრინავთა დაჯილდოების ფურცლები კარგად არის დაცული. იქვე ინახება აგრეთვე ამ ნაწილიდან ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ მფრინავთა ზუსტი სიაც. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საბჭოთა კავშირის გმირის, უმცროს ლეიტენანტ ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძის უკანასკნელი საგმირო საქმე, რომელიც 1943 წლის 15 ოქტომბრით თარიღდება, მთავრობის ჯილდოთი არ არის აღნიშნული.

**რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტი შინაარსი და ახალი იმპულსები ემატება დევიზს: „არავინ და არაფერია დავიწყებული“. ომის შემდგომ წლებში ჩვენი მეომრების არაერთი, მანამდე უცნობი, გმირული საქმე გამომზეურდა და მადლიერი სამშობლოს მიერ ღირსეულად დაფასდა. უმცროს ლეიტენანტ ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძის ეს დღემდე უცნობი ლეგენდარული თავგანწირვა ამ კატეგორიას მიეკუთვნება. სამართლიანობა მოითხოვს, რომ მზიური აჭარის პირველი გმირი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის რანგში ამაღლდეს. ეს მან დაიმსახურა.**

**ტრისტან ჩინჩილაკაშვილი,**
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი

გაზაფხულია, წელიწადის ყველაზე ლამაზი დრო და ყველაფერი, დათოვლილი მთიანეთიც და გათოშილი ცისიერიც, შეფერილია ცეცხლოვანი ბურთის სხივებით.

ამ არემარეში იმ წლებში ვყოფილვარ, როდესაც მამაჩემს მე და დედაჩემი დასასვენებლად მივყავდით ხოლმე ზაფხულში. მახსოვს, აღმართებზე როგორ ჰრიალებდნენ ეტლის წითელი ბორბლები, როგორ ქშენდნენ გაოფლიანებული ცხენები, რომლებიც სულ მაღლა-მაღლა მიდიოდნენ და უკან ტოვებდნენ მტვრის სქელ ღრუბელს. იმ დროს არც ასფალტი იყო და არც დღევანდელი ფართო შარაგზები.

გზაში რამდენიმეჯერ შევისვენებდით ხოლმე მოჩუხჩუხე წყაროებთან გაფოთლილი ხეების ჩრდილში, ხარბად ვისუნთქავდით წალკოტის უკვდავ სურნელებას, მთის სიოს რომ მოჰქონდა მწვერვალებიდან და ვიდრე მეეტლე წყალს ასმევდა, ეფერებოდა და კვებავდა გონიერ პირუტყვებს, ჩვენ ვტკბებოდით ბუნების საუცხოო სურათებით.

ბოლო შესვენების შემდეგ უკანასკნელი მოსახვევიდან ეტლი ბურთივით გავარდებოდა ხოლმე ზეგანზე, ყველაფერი — ეტლიც, მეეტლეც, ჩვენც, მტვერში გავეხვეოდით და, როცა იგი გადაიწმინდებოდა, ჩვენ წინ გადაიშლებოდა მთებში ჩაკარგული პატარა სოფელი, რომელსაც თიანეთი ერქვა...

1917 წლის 2 მარტს აქ დაიბადა ჩემი სიყრმის მეგობარი, შავგვრემანი, მგრძნობიარე, ფიქრიანი და გულითადი ამხანაგი, რეზო (მირზა) გელოვანი.

არა მგონია, დაზე უკეთესად სხვა ვინმემ იცოდეს ძმის ამბავი, ამიტომ მირზას უფროს დას — როენას მივცეთ სიტყვა: „ჩემს მშობლებს მეშვიდე შვილი შეეძინათ.. რეზო დავარქვით. მირზა მისი პოეტური ფსევდონიმია. შინ რეზოს ვეძახოდით. თიანეთი, იორი და ქუსნო, იხინჯა, ხაწირი და ცხრაკარი იყო მირზას ბავშვობის აკვანი. იგი ჯანსუსტი ბავშვი იყო და ცხრა წლისას მშობლებმა სანადირო თოფი უყიდეს, სხეული ნადირობაში გაუმაგრდებაო. ბიძაჩვენი, შაქრო გელოვანი, ცნობილი მონადირე იყო და ძმისწულის გაწვრთნა მან ითავა. მირზას ქედანი, მწყერი, გარეული იხვი უხვად მოჰქონდა. შემდეგ კურდღლებსა და მელიებს მიჰყო ხელი. როცა წამოიზარდა, დათვებზე დაჰყავდათ სანადიროდ. მონადირეებს უხაროდათ მისი სიმარჯვე, ძლიერ შეიყვარეს რეზო და, როგორც თანატოლს, ისე გაიპატიჟებდნენ სანადიროდ ეს ჰკუადამჯდარი, გამოცდილი მონადირეები. ნადირობამ მართლაც გააკაჟა იგი და მეტად უშიშარი და პირდაპირი გახადა. შემდეგ, ფრონტიდან გამოგზავნილ წერილში, დედას სწერდა: როგორი მადლობელი ვარ, იარაღი რომ შემაყვარეს ბავშვობიდანვე, იარაღი, სიმართლე და ვაჟკაცობაო. და-ძმებში გამოირჩეოდა დაჟინებული ცნობისმოყვარეობით...“

• • •

1935 წელს მირზამ დაამთავრა თიანეთის პედაგოგიური ტექნიკუმი და, მშობლიური მხარის სოფლებში მცირე ხნით მასწავლებლობის შემდეგ, თვრამეტი წლის ჭაბუკი თბილისში ჩამოვიდა. აქ მთელი არსებით მიეცა თავის სანუკვარ პოეზიას. მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვისაც რეზო დაუოკებელი მგზნებარებით უკითხავდა ხოლმე თავის ადრინდელ ლექსებს. კარგად მახსოვს მისი ადრეული ლექსი — „თეთრი მიწა“, რომელიც ცნობილმა ქართველმა მწერალმა რაჟდენ გვეტაძემ სიყვარულით ჩართო თავის რომანში — „ლაშაური საღამოები“. აი ის ლექსიც:

დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით,
თეთრ კარავებს დაემგვანენ ატეხილი მთები,
მახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო ხელით,
ახლაც მინდა შენი ნახვა, ახლაც მენატრები...
ეს სურვილი ძლიერია, როგორც ქარიშხალი,
სისპეტაკით შემოსილი, ვით ეს თოვლი წმინდა.
მომაგონდა შენს სახეზე პაწაწინა ხალი
და თუ შენი ღიმილი მსურს, შენი გულიც მინდა.

ხალხმა შეიყვარა ახალგაზრდა პოეტი, დიდ იმედებს ამყარებდა მასზე, ეფერებოდა და ამჯერადაც არ შემცდარა მისი ბრძნული გუმანი — დღითიდღე იფურჩქნებოდა მირზას ნიჭი.

1936-1939 წლებში იწყება მირზას პოეტური ნიჭის ინტენსიური ამაღლობა. მუშაობდა ჯერ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში“ შემდეგ კი ყოველდღიურ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში. ამავე პერიოდში ქმნიდა საუკეთესო ლექსებს, რომლებსაც დიდი სიამოვნებით აქვეყნებდნენ ავტორიტეტული ჟურნალები „ჩვენი თაობა“ და „მნათობი“.

1939 წლის ნოემბრის სუსხიან დღეს მირზა გელოვანი მოხალისედ მიდის საბჭოთა არმიაში და მონაწილეობს ჯერ ფინეთთან ბრძოლებში, შემდეგ კი დიდ სამამულო ომში. იმ საბედისწერო დღეებში, როდესაც სამშობლოსა და ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, მირზა ჩვენს მამაც მეომრებთან მხარდამხარ იბრძოდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ. ნიშანდობლივია, რომ ომის ყველაზე მძიმე დღეებში მეომარი პოეტი გამარჯვების ღრმა რწმენით აღსავსე ლექსებს წერს. აი, ერთი იმათგანი, რომელიც 1942 წლის ქარიშხლიან დღეებშია დაწერილი:

ძველ რიაზანის კედლებს ვაყურებ,
თითქოს გარდასულ ბრბოების ბრძოლას,
ქანავს ბორანი, როგორც საყურე,
და რიაზანი მოაგავს ბორანს...
რომ მოვკვდე, ვიცი, ბრძოლებში ნაწრთობს
მტრის სიძულვილი გამახალისებს.
რიაზანს — ლანდი ბათუ-ხანისა,
მე შენზე ფიქრი ბნელში შემაკრთობს.
შორს ჩანს ადგილი, რომელიც მიცდის,
შორს... ბრძოლის ველი.

როდესაც ვკითხულობ მირზა გელოვანის ლირიკულ ლექსთა სტრიქონებს, უნებურად მაგონდება ვაჟან ტერიანი. ორივე მთის შვილი იყო, თუმცა ერთმანეთს არ იცნობდნენ, ბევრი საერთო ჰქონდათ...

• • •

დამთავრდა ომიც, გაიარეს წლებმა. ნაომარმა ქვეყანამ მოიშუშა ჭრილობები, ნანგრევების ადგილზე გაჩნდნენ ახალი შენობები, სოფლები, ქალაქები, დიდებული ძეგლები და ძმათა მემორიალები, ხოლო უსახელო ჯარისკაცების საფლავებზე — მარადიული კოცონები... შეიცვალა, აშენდა და დამშვენდა აგრეთვე უღიმღამო სოფელი თიანეთიც. იგი გადაიქცა მთიანი ქვეყნის ულამაზეს ადგილად.

ახლა მე ვდგავარ მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის წინ. მის დაარსებასა და მოწყობაში მეც მიმიძღვის ძალიან მცირე წვლილი, იმიტომაც ორმაგად მესალბუნება აქ ყოფნა — მირზას ბიუსტთან სიახლოვე, მისი აკვნის ხილვა. გონების



სააკ მანველიანი

# [illegible]

თვალით ვხედავ აკვანზე დამხობილ მირზას დედას... მოძალებული ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებ ჩემი ყრმობის მეგობრის გმირული ცხოვრების მაცნე საბუთებს, მის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ რელიკვიებს და ვფიქრობ: რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი დღევანდელობით გამთბარ ამ მშვიდობიან დღეებში ის ჩვენთან ყოფილიყო!.. წარმომიდგენია, როგორი ენთუზიაზმითა და მისთვის ჩვეული შემართებით ჩაერთვებოდა ამ საყოველთაო სიყვარულისა და შრომის ფერხულში, როგორი ბრწყინვალე ფურცლებით გაამდიდრებდა ჩვენი დროის ოქროს მატიანეს, როგორი პათოსით აამღერებდა თავის სანუკვარ ქნარს და უმშვენიერეს სტრიქონებს მიუძღვნიდა ჩვენს ნათელ აწმყოს, ბედნიერ მომავალს!..

სიცოცხლე უმაღლესი მიწიერი ბედნიერებაა ამქვეყნად, არ არსებობს სხვა ფენომენი, სიცოცხლეს რომ გაუტოლდება. მირზა გელოვანმა ეს სწორუპოვარი განძი შესწირა სამშობლოს, რომელსაც თავის უკვდავ ლექსებში გატაცებით უმღეროდა. მან ჭაბუკური სიცოცხლე თავისი ხალხის თავისუფლებას შესწირა და იმიტომაც მოიხვეჭა ხალხის საყოველთაო თაყვანისცემა: მისი განცდები და ფიქრები საოცარი უშუალობით ეხმიანება ჩვენს თანამედროვეობას.

ხშირად მაგონდება პატარა რეზო. ქარი უფრიალებს ჭრელი ხალათის კალთებს. ფეხშიშველაა, მოღიმარი მწვანე-ცისფერი თვალებით გასცქერის უსასრულობას... შემდეგ ფიქრში ვხედავ მტრის თავზე აღმართულ მის დამუშტულ ხელს.

ბინდბუნდში ეხვევა არემარე. ახლა სულ სხვაგვარად სუნთქავს, ჩურჩულებს, ბორგავს მთის ქვეყანა. ფიქრებით დამძიმებულნი გამოვდივართ სახლ-მუზეუმიდან და ქალაქისაკენ მიმავალ გზას ვადგებით. თანდათან ვეშვებით ქვემოთ, ვუახლოვდებით დედაქალაქს. თვალებს არ ვაშორებ მანქანის ფარებს და თავის ადგილზე გარინდებულ მძღოლს, რომელიც ასევე იცნობს რეზო-მირზას. მასთან ერთად უვლია სათევზაოდ, მოუსმენია მისი ლექსები. არ ვიცი, ახლა ის რას ფიქრობს, მე კი ისევ და ისევ ომი მიდგას თვალწინ.

ომის ქარცეცხლშიც იგი ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების მაცნედ რჩებოდა და მომავლის იმედით ავსებდა ყველას, ვინც მის ირგვლივ ტრიალებდა. აი 1944 წელს სანგარში დაწერილი სტრიქონები, ანუ მისი ბოლო პოეტური „აფეთქება“:

დამიწდეს გული, თუ იქნება ხენეშიანი,
ჩემო ხეებო, ჩემო კარგებო,
თუმც გრიგალია, ჩემი ხმა და თქვენი შრიალი,
ასე მგონია, არასოდეს დაიკარგება.

ამავე წელს, ზაფხულში, წყდება მირზას სიცოცხლის ძაფი. მოვიდა მისი დაღუპვის ცნობაც. გადიოდა წლები, მაგრამ არავინ იცოდა მირზას საფლავის ასავალ-დასავალი. და აი, 1963 წლის ივნისში მირზას დედის სახელზე მოდის წერილი ბელორუსიიდან:

„პატივცემულო ევა იოსების ასულო, ამ წერილს გიგზავნიან რჟავკის საშუალო სკოლის პიონერები.

ჩვენს ტერიტორიაზე სოფელ სანიკში არის საძმო სასაფლაო, სადაც განისვენებს თქვენი შვილი, მირზა გელოვანი. ჩვენმა სკოლამ შეფობა აიღო მის საფლავზე. ყოველი წლის 23 თებერვალს და 9 მაისს მიგვაქვს ყვავილები და ხეებს ვრგავთ სასაფლაოს გარშემო.

ძალიან გვინდა, ძვირფასო ევა იოსების ასულო, დაწვრილებით ვიცოდეთ თქვენი შვილის ამბავი.

სულითა და გულით გთხოვთ, გვიპასუხოთ ჩვენს წერილზე და თუ გაქვთ თქვენი შვილისა და პირადად თქვენი ფოტოსურათები, კეთილი ინებოთ და გამოგვიგზავნოთ.

პიონერული სალამით — რჟავკის საშუალო სკოლის პიონერები.

წერილი გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: ბელორუსიის სსრ, ვიტებსკის ოლქი, ბეშენკოვიჩის რაიონი, რჟავკის საშუალო სკოლა“.

ამ წერილის მიღებისთანავე ვიტებსკს ესტუმრნენ მირზას და რუსუდანი, ძმა თეიმურაზი და მათი ოჯახის ახლობელი ტრისტან ხუციშვილი. აი, მათინაამბობი ბელორუსიიდან დაბრუნების შემდეგ:

„...12 ივლისს ჩავედით ვიტებსკში, სადაც შევხვდით კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორს მარინა სტალმაკოვას. მან ძალიან გულთბილად მიგვიღო, მოგვისმინა და მაშინვე დაურეკა ბეშენკოვიჩის რაიკომს, რათა სოფელ რჟავკაში რომ ჩავიდოდით, სათანადო დახმარება გაეწიათ. მეორე დღეს დასახელებული სოფლის საშუალო სკოლაში გულითადად მიგვიღეს დირექტორმა ნიკოლოზ ბერესტენმა, მთელმა პედაგოგიურმა კოლექტივმა, სკოლის პიონერებმა და ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა. აქვე შეგვხვდა სოფსაბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ეუჩკო. სკოლიდან წავედით სამამულო ომში დაღუპულ მეომართა საძმო სასაფლაოზე, რომელიც სოფელ სანიკის არემარეში მდებარეობს დასავლეთ დვინის სანაპიროზე. 1952 წელს აღუმართავთ სვეტი, რომლის თავზე წერია: „მარადიული დიდება ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას (1941-1945)“. აქვე განისვენებენ უფროსი ლეიტენანტი მირზა [illegible] გელოვანი, გვარდიის სერჟანტი ვაჟა იზმაილოვი და სხვები. მირზას ნეშტი აქ გადმოუსვენებიათ 1952 წელს, როდესაც დაარსებულა საძმო სასაფლაო, სადაც მასთან ერთად დაუკრძალავთ სხვადასხვა ადგილზე დაღუპული მეომრები...

ძმათა სასაფლაოზე თავი მოიყარეს მასწავლებლებმა, პიონერებმა, რჟავკისა და სანიკის მაცხოვრებლებმა. პიონერებმა ყვავილებით შეამკეს მეომართა საფლავები, საპატიო ყარაულში დადგნენ. ჩვენ მათ დაწვრილებით გავაცანით მირზას ბიოგრაფია, შემდეგ სამახსოვროდ დავუტოვეთ წიგნები, აქვე დაიბადა იდეა, სთხოვონ ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რჟავკის საშუალო სკოლას ეწოდოს მირზა გელოვანის სახელი“.

1964 წლის ზაფხულში, მირზა გელოვანის დაღუპვის მეოცე წლისთავზე, მისი საფლავი მოინახულეს საქართველოს და ბელორუსიის მწერალთა კავშირების, ამ რესპუბლიკების რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმა, თიანეთის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებმა. ძმათა სასაფლაოზე, სადაც შეიკრიბნენ აგრეთვე ბეშენკოვიჩის რაიონის მშრომელები, გაიმართა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი. ამავე წელს, შემოდგომაზე, ქართველი მწერლებისა და რაიონის მშრომელთა მონაწილეობით თიანეთში ჩატარდა შემოქმედებითი საღამო, რაიონის ცენტრში დაიდგა მირზა გელოვანის სკულპტურა, ხოლო თიანეთის საშუალო სკოლას პოეტის სახელი ეწოდა.

1975 წელს მირზა გელოვანს მიეკუთვნა საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია (სიკვდილის შემდეგ) დიდი სამამულო ომის წლებში შექმნილი ნაწარმოებებისათვის, ხოლო 1977 წლის ნოემბერში, დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის წინა პერიოდში, დედასამშობლომ, მშობლიურმა ხალხმა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნეს ოქტომბრის თანატოლი ნიჭიერი პოეტი-მეომრის დაბადების 60 წლისთავი.

გარდა ლექსებისა, მირზა გელოვანმა დაგვიტოვა ფრონტიდან გამოგზავნილი ბარათები. რაც ვერ მოასწრო ეთქვა ლექსებში, მირზამ თავის ხალხს უთხრა მშობლებისა და დებისათვის გამოგზავნილ წერილებში. თანამედროვენი მათში გრძნობენ ომის ქარიშხლიანი დღეების სუნთქვას და მამულისათვის თავდადებული მეომრის, პოეტი-მოქალაქის მგზნებარე გულის ფეთქვას...

თარგმნა არჩილ ჯავითიანმა.

## კონსტანტინე გამსახურდია



# საბავშვო ლექსები და მოთხრობა

ქართული ლიტერატურის გულწრფელმა თაყვანისმცემელმა, ჩვენი კრების მოკრძალებულმა მოღვაწემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ჟურნალისტმა **დავით ბუზუკაშვილმა** მოგვაწოდა ჟურნალ **„ნაკადულის"** 1911-1912 წლების ნომრებში დაბეჭდილი ეს ლექსები და მოთხრობა კ. ბაქრის, **კირილის** ფსევდონიმით გამოქვეყნებული. საბავშვო ნაწარმოებები ეკუთვნის დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას კალამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იის სიმღერა

აქ მდელოზე გადვიფურჩქნე,
მიწის გული დავგმე ცივი.
ქვეყნად მოველ გაზაფხულზე,
რომ მენახა მზისა სხივი.

რას გიშავებთ, მეც ვიცოცხლო,
ყური ვუგდო ფრინველთ სტვენას...
ახლოს მოდით, პაწიებო,
გაიგონებთ ამო ფშვენას...

მაგრამ ფრთხილად კი, იცოდეთ,
არ დამადგათ ტლანქი ფეხი,
თორემ წელში გადამტეხავთ,
ვით დიდ მუხას — მძლავრი მეხი.

შუბლზე კულულჩამოშლილო,
შენ თამრიკო, ანცო, ცქვიტო!
შორით დასტკბი ჩემს მზერით,
ოღონდაც კი — არ მომწყვიტო.

## მე წყარო ვარ

მე წყარო ვარ, მთების შვილი,
მოკისკასე,
მოწანწკარე...
მწვანე მდელო, უცხო მტილი
შევითვისე, შევიყვარე...

ხან ველს ვუმღერ წყნარ ძილისპირს,
ტყეს მოვუთხრობ მხიბლავ ზღაპარს...
ხანაც ვკოცნი ნარნარ ზეფირს,
ხან ვალვიძებ მწვანე მთა-ბარს.

განთიადზე, როს ტოროლა,
ცის ეთერში ხმასა ჰკარგავს,
მოლივლივე დილის ცვარი
ზურმუხტოვან მდელოს ჰქარგავს...

როს ბულბული ციურ სტვენით
უცხო ჰანგებს აკისკასებს,
გაღვიძებულ ბუნების გულს
შვება-ლხენით ჰხიბლავს, ავსებს,

ოდეს სიო, ფრთამსუბუქი,
ტყეს დალალებს უხუჭუჭებს,
პირველ სხივთა ოქროს შუქი
დამიკოცნის ვერცხლის ტუჩებს,

დავეშვები ძირს სიმღერით,
მოჩუხჩუხე მთისა წყარო...
მეც მსურს დავსტკბე მზისა მზერით,
გავიხარო... გავიხარო!!!

## მთის ლოცვა

(ვუძღვნი ა. შანშიაშვილს)

მთას ჯანღი მოუხვევია,
ფიქრს მისცემია მწარესა:
გაიგო — გვალვა სწვევია
მის ქვემოდ ტურფა მხარესა.

მთა ნისლში გამოხვეული
ემუდარება ზენასა:
„ისმინე ჩემი ვედრება,
ბარს ნუ მოაკლებ ლხენასა.

პირქუშ ღრუბლებმა მოსხლიტონ
ჩემს მკერდით ნიაღვარიო;
ბარი გოლვისგან დავიხსნათ
სიცხისგან გადამწვარიო!!."

ანკარა, ლაღი, ფეხმარდი
მოხტის სიმღერით ნაკადი:

ფრიალო მთების შვილი ვარ,
მათ მკერდით გადმონთხეული.
ვერ შევეგუე იქ ყოფნას,
მიტომც ვარ გამოქცეული.

მთამ გამომგზავნა ამაყმა,
სიცხისგან იწვის ველიო;
გოლვისგან დამჭკნარ ყვავილებს
ნამი სწყურიათ სველიო.

მიტომაც მოვხტივარ წანწკარა,
მთის წვერით დაქანებული,
ველს წყალი ვასვა ანკარა,
გიჟმაჟი, აქაფებული...

## ღუმილი

**ა**

მაღალმა მთამ საახალწლოდ
ტანს ჩაიცვა მიტკლის კაბა,
ხმა გაკმინდა მთის ნიავმა,
უხმოდ ხევში გაინაბა.
ვერ გალალა ადრინდულად
მთების იქით თეთრი ნისლი;
მთის შიკრიკის მოლოდინში
უძრავად დგას მწვანე ისლი.

**ბ**

ეძინება ტკბილად მინდორს,
ჭალარა მთას ეძინება;
თოვლის ფიფქი მოცქრიალებს —
მძინარ მთა-ბარს ეფინება.
დაავიწყდა ნაკადულსაც
ჰრელ კენჭებზე კისკას-რბენა;
დამუნჯებულ გაძარცვულ ტყეს
აღარ ესმის ფრინველთ სტვენა,
არც ყვავილთა ამოფშვენა,
მუშკ-ამბართა ალმა კმევა,
მხოლოდ ხედავს, ფრთხილი ნისლი
გოლიათ მთას ვით ეხვევა.

**გ**

დახოცილა თითქოს მთები,
მიტომც ასე შესუდრულა:
ვერცხლის ჯილა თავს უმშვენებს;
ხედავ, — ცაში აზიდულა.
მარმარილოს ღრუბელთ კოშკი
ცის კიდურზე დაკიდულა,
ვერ გაარჩევ — რომელია
მთის წვერი ან ღრუბლის ქულა.

**დ**

სიჩუმეა ყოველი მხრით:
ვიშ, ჭაღარა ღმერთებს სძინავს, —
— ეს ვისია თეთრი რაში,
გათოშილი ოდნავ ფშვინავს;
ღუმილია მასზე მჯდომი,
უდარდელად რომ დაფრინავს.

## შარადა

ხ ა ნ ბატონია, ხან მონა,
გამხდარა საქებარადა,
არ გაჩერდება ერთ ადგილს, —
დაღოღავს მთა და ბარადა;
ზოგს ურჩევნია სიცოცხლეს,
ზოგს კი არ უღირს არადა,
ვერც კი შეამჩნევთ, რომ ნახოთ
მტვერში გდებული შარადა. (ფ უ ლ ი)

## „მზეს ეტრფოდე“

(ვუძღვნი ჩემს პატარა მეგობარს გოგი ბენაშვილს)

შეჰკრთა ნისლი, შესრიალდა,
მთის გადაღმა გადიკარგა...
ველი ნამით მოიქარგა...
ტოროლას ხმა აწკრიალდა, —
ჰანგნი ზეცად ანატყორცნი.
ტყის ფოთოლიც აშრიალდა,
ნიავის ფრთით დანაკოცნი.

• • •

მაღალ მთასაც გაეცინა,
რა იხილა მზისა სხივი,
სიომ ფოთლებს შესსისინა,
ჩამოკრიფა ვერცხლის მძივი...

• • •

მთის ნიავი ტყეს კულულებს
უვარცხნის და უხუჭუჭებს;
ვარდს უკოცნის ლალის ტუჩებს,
თანაც ნაზად შესჩურჩულებს:
„მზეს ეტრფოდე, მზეს ეტრფოდე!
მარად მზისკენ ისწრაფოდე!!“

## სიმღერა გამოსალმებისა

მშობელ მინდვრების ყვავილნო,
ფრინველნო უღრან ტყისაო,
გულჩახვეულო ნაძვნარო,
ნაკადო სალი კლდისაო!
მივდივარ, უკვე გეტყოდათ
ამას შიკრიკი მთისაო.
უკანასკნელად რა გნახეთ,
ვიშვი და გავიხარეო,
შუბლზე გამეხსნა ნაოჭი,
ფიქრები უკუ ვყარეო.
მაღალ მთისაკენ მთის ნიავს
მოკითხვა დავაბარეო.
რა რიგ გშვენოდა, მინდორო,
ლაწვზე ყვავილთა ხალები!
ვიფიქრე: აქ სად მოსულა
თამარ დედოფლის თვალები!
მოკისკასობდნენ წყარონი,
ქვეშ ეგებოდნენ ჭალები.
ცრემლად სცვიოდა ობოლ ტყეს
ფოთლები ნაგვიანები.
ფიქრს მისცემოდნენ მწარესა
„მთანი თავ-ჩაჩქნიანები“.
მივდივარ ჩრდილოეთისკენ,
გემშვიდობებით ყველასა.
იქ ვერ მოვისმენ, ეს ვიცი,
მშობლიურ „ჰოროველასა“,
იქ ველარ ვნახავ მწვანე ტყეს,
ველ-მინდორს შემკულს ყვავილით.
ვიცი, გულს მოეწყინება,
რა მშობელ მთა-ბარს გავივლით,
მხოლოდ-ღა თერგი შეგვჩივლებს
გულის სატკივარს ბღავილით.

# მზის შვილი

(ვუძღვნი მგოსანს, ვაჟა-ფშაველას)

ნეტავი შენ, მზესუმზირა[1], ნეტავი შენ!.. გულ-ამოსკვნით წამჩურჩულებს ხოლმე ჩემ მახლობლად ამოსული ობოლა[2].

— შენ მუდამ მზეს უმზერ... მე კი ამ უხეირო ჩირგვებმა დამჩრდილეს. მზეც წამართვეს, შენ კი ნამდვილი მზის შვილი ხარ, მზის შვილი...

მე, როცა პატარა ვიყავ, მიკვირდა კიდეც, რად მეძახოდა ობოლა მზის შვილს!

ერთხელ, როცა მახლობლად მოჩუხჩუხე წყარო ადიდდა და აქოჩრილი, ვერცხლებრ ფაფარ-აშლილი, მუქარით დაეშვა ძირს, მის ტალღებში ჩემი სახე გავარჩიე. მართლაც, ობოლას თქმისა არ იყოს, პირი მზეს მიგავდა.

აკი იმიტომაც ასე მიყვარს მზე...

განთიადისას, როს დილის მარგალიტ ნამით მოვიკაზმები, მოუთმენლად გავყურებ ვარდისფრად მოქარგულ ცის კიდეს...

როგორც კი სხივთა შარავანდედი ოქროს ჯიღას დაადგამს მყინვარის სპეტაკ შუბლს, თითქოს მთებს მეუფედ აყენებს, მაშინ მეც ვხარობ... ცელქი ნიავი ამაოდ მეალერსება სახეზე, უნდა მზეს თვალი ავარიდო, დასავლეთისკენ გავიხედო... მსუბუქ ფრთებით თვალებს მიკოცნის...

მაგრამ მზეზე უკეთესს სხვას რას ვნახავ... მთებსაც ძლიერ უყვართ მზე... მუდამ დაღვრემილ, დაფიქრიანებულ მთებსაც კი ღიმი შეუთამაშებთ ხოლმე სახეზე, როცა მზის ნაზი სხივთა ლეჩაქი გულზე გადაეფინება...

მუდამ ნაღვლიანად თავჩაღუნული მთები ცისკრისას იმშუშნებიან, სიხარულით ცას ეწევიან.

ზამთარში, როცა მზეს შავი ღრუბლების ლაშქარი დაჰფარავს.. მე მაშინ მიწის გულში მძინავს!..

ჯერ კიდევ შემოდგომაზე ჩავეხუტები დედამიწას გულში. აი, ჩემს მახლობლად მდგარ წიფელას რომ სურო შემოჰხვევია, ის ზამთარ-ზაფხულ სცოცხლობს.. მან არ იცის, რა არის სიკვდილი, ან ძილი. სწორედ მაგან მიამბო:

მთები შემოდგომაზე თურმე ნისლით იბურებიან — ფიქრს ეძლევიან... თავპირი ჩამოსტირით. ბოლოს თეთრ სუდარებში გაეხვევიან, თითქოს დაიხოცნენო...

მდუმარედ დგანან მაღალი მთები და უცდიან, სანამ გაზაფხულიააჟღერებს ოქროს ქნარს, რომელზედაც მზის სხივები სიმებადაა გაბმული...

როგორც კი შემოესმებათ ოქროს ქნარის ხმა, მთებს სიხარულით გული ევსებათ. ბევრს-კი ჰგონია, მთებს არც არაფერი უხარიანთ და არც არაფერი აწუხებთო...

მაგრამ ვინ იცის, გული როგორ უტოკავთ!.. წამს გლოვის სუდარას შემოიფხრეწენ, სიხარულის ცრემლი ნიაღვრად წამოვა... და ამიტომაც ასე გაუხარებელი მოჰქუხს მთის წყარო... თითქოს ზამთარს ემუქრება...

მეც ამ ხმაზე ზამთრის ძილიდან ვერკვევი. მიწის გულიდან მზისკენ ვისწრაფი...

განა გასაკვირველია, რომ მზე მიყვარდეს?!. აბა შემომხედეთ, თუ მზეს არ მიმიგავს სახე! ვენაცვალე დედაჩემს... სულ იმას ვუყურებ... მაგრამ როგორც-კი შავ-ფრთიანი ქარი მთებს იქით ჩასაფრებულ ღრუბლებს გადმოლალავს, ისინიც თითქო საომრად ემზადებიან, რუხ ფრთებს გაშლიან და ისე წამოიშლებიან... თითქოს ვილაცამ ფრინველების გუნდი დააფრთხოვო. მზეს შემოეხვევიან. მაშინ რომ მე შემომხედოთ, ჩემ თვალზე მთრთოლვარე დილის ცვარს შეამჩნევთ: მეც ვსტირი.

ნუ გეშინიან, მზესუმზირა, ნუ! ღრუბლებს ისევ წალეკავს ქარი, ისევ ნახავ ცის ლაჟვარდზე გაშლილ მზის ალამს... მეჩურჩულება ბებერი წიფელა. მეც ვმხნევდები... საღამო ჟამს, როცა მზე ჩასასვლელად აიბარგება, აღმოსავლეთით გაწოლილი მთები ერთმანეთზე შესდგებიან... რომ კიდევ მოჰკრან თვალი ჩამავალ მზეს...

მე დასავლეთს გავცქერი: ჩამავალ მნათობს თვალს ვაყოლებ. თან სისინა ნიავის პირით ვუთვლი: „არ დამივიწყო, დედი! გული მოუთმენლად მიღელავს... სიკვდილამდის ცისკრის მოლოდინში ვიქნები... იცოდე.“

---

1) ამ მცენარეს ზოგი მზე-უჰვრიტას უწოდებს.
2) გალახია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეზაურა



მოთხრობა

სულხან ქეთელაური

დეზაურა ჯერ ისევ ყვინჩილა იყო, როცა თავისი ამაყი და უცნაური ხასიათი გამოამჟღავნა. ჩვენი სოფელი საგარაკო ადგილია და ზაფხულობით ბევრი დამსვენებელი იყრის თავს. დამსვენებლები ხანდახან დედაქალაქიდანაც ჩამოდიან და, რაღა თქმა უნდა, ბავშვებიც ჩამოჰყავთ. იმ ზაფხულს ჩვენს სახლშიც სწორედ ასეთი ქალაქური ოჯახი დაბინავდა — დედა და ორი მოზრდილი გოგო-ბიჭი. ბიჭი თორმეტი წლისა იყო და გუგა ერქვა, ათი წლის გოგოს კი — ხათუნა, მაგრამ დედა რატომღაც სახელებით არასოდეს მიმართავდა: ბიჭს გაის ეძახოდა, გოგოს — ნაის.

მეტისმეტად აბეზარი ბავშვები იყვნენ, სოფელში პირველად ჩამოვიდნენ და რასაც ხედავდნენ, ყველაფერი უკვირდათ, ყველაფერს ხელით ეპოტინებოდნენ. ბოჩოლებს კუდზე ეჭიდებოდნენ, ღორებს და გოჭებს — ყურებზე, თხებსა და ცხვრებს ზედ ასხდებოდნენ. ქათამ-ინდაურს ხომ ნუღა იტყვით, მათგან პირდაპირ მოსვენება ჰქონდათ დაკარგული. ახალგამოჩეკილ, ოქროსფერ ჭუკებს თუ წიწილებს ისე უყურებდნენ, როგორც ცოცხალ თოჯინებს, დასტაცებდნენ ხელს და მანამ ჯმუჯნიდნენ და აწვალებდნენ, სანამ სულს არ ამოხდიდნენ.

ბოლოს დეზაურასაც მოუნდომეს ხელყოფა. როგორც უკვე ვთქვი, დეზაურა მაშინ ახალწამოჩრიხვული ყვინჩილა იყო და ვაგლახად ხელს უცხოს კი არა, პატრონებსაც არ გვაკარებინებდა. საერთოდ არ უყვარდა, როცა ხელსა ჰკიდებდნენ. ჩვენ კარგად ვიცოდით დეზაურას ეს ხასიათი და გაი-ნაის ბევრსაც ვუშლიდით: რაკი არ სურს, ჩამოეხსენით, სხვა ყვინჩილები დაიჭირეთ და ისინი ათამაშეთ-მეთქი, მაგრამ გაის და ნაის ამის გაგონებაც არ სურდათ, მათ მაინცდამაინც დეზაურას ხელში ჩაგდება უნდოდათ და, როგორც თავნება ბავშვებს სჩვევიათ, ერთთავად მას დასდევდნენ და უდარაჯებდნენ.

დეზაურა გუმანით ხვდებოდა და-ძმის ჭირვეულობას და რაც შეეძლო, თავი განზე ეჭირა, ყველანაირად ცდილობდა, ხელში არ ჩავარდნოდა და მათ გამუდმებულ თვალთვალსა და დევნას მოთმინებით იტანდა. მაგრამ ერთხელ, როცა ნამეტანი შეაწუხეს დევნით, ველარ მოითმინა, თვითონვე მოუტრიალდა და გაის, რომელიც უფრო ბეჯითობდა ხელის წატანებაში, ზედ ქეჩოზე დააფრინდა, ღონიერი ფრთები ლოყებზე სილაქებივით აუტლაშუნა, ბრჭყალითა და დეზებით თმა მიუჩეჩ-მოუჩეჩა და რამდენჯერმე კინკრიხოშიც ჩაუნისკარტა.

გუგა-გაი ამას არ მოელოდა, შეშინებულმა თავი და სახე ხელებით დაიფარა, მხრებში მოიღუნა და ღრიალებული შინისაკენ წაბაჯბაჯდა:

— დედა, მიშველე! მიშველე!

დედა ზურგშექცევით იდგა აივანზე და გაზქურას ანთებდა. ყვირილზე შემობრუნდა და, შვილი ასეთ ყოფაში რომ დაინახა, თვითონაც არანაკლებ აწივლდა, იმავ წამს ცოცხს დაავლო ხელი, დასარტყმელად მოიმარჯვა და „აქშა-აქშას“ ძახილით კიბეზე დაეშვა, მაგრამ ველარ მიუსწრო. რაკი დაჯაბნა, დეზაურა გუგა-გაის თვითონვე ჩამოეხსნა, მისი კისრიდან პირდაპირ მავთულბადის ღობეზე გადასკუპდა, მერე ბაღში ჩახტა, კაკლის ძირას თავმოყრილ დედლებსა და ვარიკებში შეერია და ამაყად კისერმოღერილმა რიხიანად დაიყივლა.

— ყიყლიყო შენა და სიკვდილი! ჭირი და არ გადარჩენა! — მიაწყევლა გუგას დედამ და ატირებულ შვილს წინ დაუცუცქდა.

— თვალში ხომ არაფერი მოგახვედრა, გენაცვალოს დედა? მაჩვენე აბა, შემახედე... კიდევ კარგი! ეგ სასიკვდილე, ეგ სასიკვდილე! — აწეწილი თმა გაუსწორა და აივნისკენ ხელმოხვეული წამოიყვანა, თან დატუქსა, — ამოდენა ბიჭი ქათამმა როგორ დაგჯაბნა, როგორ შეგაშინა? ხელით თუ ვერაფერს უზამ, აიღე ერთი დიდი ჯოხი და თავი გაუხეთქე.

— უცბად მომვარდა, თორემ... — სლუკუნებდა დარცხვენილი გუგა და ხელისგულებით ცრემლიან თვალებს იწმენდდა, — აბა, ერთი, კიდევ გაბედოს, მოვიდეს... მერე ნახავს ეგა... თავსაც გავუხეთქავ და ფეხებსაც შემოვამტვრევ...

მაგრამ ეს უფრო გულის მოსაოხებელი მუქარა იყო, რადგან გუგას მისი ასრულება არ შეეძლო — ისე იყო დაშინებული, რომ იმ დღიდან არც თვითონ და არც მისი დაიკო ნაი ქათმებს აღარ გაჰკარებიან.

●

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ეს პირველი შემთხვევა დეზაურასაც ჩვევად გადაექცა და ყველა უცხო ადამიანი აითვალწუნა. განსაკუთრებით მოაგარაკეებს დაემტერა. მოაგარაკეები ხშირად ჩამოივლიდნენ ხოლმე სოფელში და ქათამ-ინდაურს, კარაქს, კვერცხს და ხილბოსტნეულს ყიდულობდნენ. იმ დღეებში ერთი ასეთი მყიდველი ჩვენც გვეწვია. ახალგაზრდა ქალი იყო. ტანზეც ახალგაზრდულად, შილიფად ეცვა: სიფრიფანა ჩითის გულღია სარაფანი მარტო მკერდსა და იღლიებს უფარავდა. მსუქან მხრებსა და კისერზე უკვე მზე მოჰკიდებოდა.

ქალს ქათმის ყიდვა უნდოდა. დედამ ქათმებს მოუჯუჯულა და საკენკი დაუყარა, რომ ყველანი ერთად მოგროვილიყვნენ და მუშტარს თვითონ ამოერჩია. თუმცა დასაწუნი არც ერთი არ იყო — სულ ქერითა და სიმინდით ნასუქი დედლები და ვარიკები იყვნენ. ქალმა რატომღაც მაინცდამაინც დეზაურას დაადგა თვალი. ალბათ, იმიტომ რომ, ახალგაზრდა მამალი ბარაქიანია და ხორციც გემრიელი აქვს. თანაც, ეტყობოდა, ნამეტანი დახარბდა, რადგან დედასაც აღარ დააცადა და დასაჭერად თვითონვე წაეტანა.

დეზაურა თითქოს ამ წუთს ელოდა. ქალს უამისოდაც ამრეზით უყურებდა და ჩვენ რომ არა, ალბათ, ჭიშკარშიც არ შემოუშვებდა. ამ თვითნებობამ ხომ მთლად გადარია. ქალს სწრაფად დაუსხლტა ხელიდან, ბრაზიანად დაიყიშყიშა, კისერი წამოქოჩრა, თვალები დააბრიალა და ნისკარტდაღებული შიშველ მკერდზე მიაფრინდა. სანამ ქალი გონს მოეგებოდა, დეზაურამ ბრჭყალის გაკვრაც მოასწრო — თხელი სარაფანის ფარაგა კარგა ღრმად ჩამოახია და ერთი ზედა ღილიცააწყვიტა.

— მომშორდი, შე მხეცო!... მომშორდი! — ქალმა ხელი ძლიერ გაიქნია, მეორე ხელით მოღეღილი მკერდი დაიფარა და თავზარდაცემული ჭიშკრისაკენ გაიქცა. დეზაურას დედა გადაუდგა წინ და ქათიბის კალთით აუქშია, მაგრამ დეზაურა ამჯერად ჩვეულებრივ აღარ გამფრთხალა, პირიქით, რაკი მეტოქეს შიში შეატყო, უფრო გადიდგულდა. დედას მოხერხებულად გაუძვრა კალთის ქვეშ, ქალს ჭიშკარშივე წამოეწია და ახლა მზემოკიდებულ ფაფუკ მხრებზე დააფრინდა. რა თქმა უნდა, დეზი, ნისკარტი და ფრთაც ჩვეული სიმარჯვით მოუნაცვლა და სანამ ჭიშკარს არ გააცილა, აღარც ჩამოეხსნა.

ქალი წივილ-კივილით გავარდა შარაში. მირბოდა თმაგაწეწილი, მკერდსა და მხრებზე განაკაწრებს ისინჯავდა, თან უკანუკან იხედებოდა, მუშტს გვიღერდა და ჩვენც და დეზაურასაც ერთნაირად გვლანძღავდა და გვემუქრებოდა.

იმ დღიდან ჩვენი სახლის მომიჯნავე ორღობეებშიც აღარ გამოჩენილა. დეზაურა კი სწორედ ამ დღიდან გაიცნო სოფელმა. მეზობლები ისე არ გაივლიდნენ ორღობეში, რომ ჭიშკართან წუთით არ შეჩერებულიყვნენ და ეზოში დეზაურა არ მოეთვალიერებინათ:

— რომელია?

— აგე, წვივმსხვილი და დე-

ზებიანი, ჯილა გვირგვინივით რომ ადგას თავზე.

— ო, ეგ მართლაც მეფური ჯიშისა ჩანს.

— ოლონდაც! ჯერ, ხომ ხედავთ, ისევ ყვინჩილაა და ახლავე...

— აბა, აბა, დიდობაში რაღა იქნება!

— ჰო, რომ გაიზრდება...

— შენ მერე ნახე და!..

— თუ ეს ხასიათიც გადაჰყვა?!

— გადაჰყვება, მა რა, რაკი დასჩემდა, აღარ მოიშლის.

— რა თქმა უნდა... და უფროც გაავდება. აი, ნახავთ თუ არა...

●

ქათმისათვის ეს უცნაური ზნე-ხასიათი დეზაურას დიდობაში მართლაც გადაჰყვა. რაკი ტანი აიყარა და დამსხვილდა, ღონე იგრძნო, ბრძოლის ჟინი და გამბედაობაც მოემატა, დაგეშვითაც უფრო დაიგეშა. ახლა მარტო ადამიანს კი არა, უცხოს პირუტყვსაც სცნობდა და მეზობლის თხას, ცხვარს, ხბოს, ღორს ეზოში ფეხს არ შემოადგმევინებდა. შემოდგომობით, ხალხი მოსავალს რომ მოისთვლიდა, მოჭუჭკავდა და დააბინავებდა, საქონელს აღარავინ მწყემსავდა და ღორი, ცხვარი თუ ძროხა სოფელში უმეთვალყუროდ დადიოდა. ჭიშკარიც ყველგან ღია იყო. პირუტყვი ერთგან თივის ბრეს მოროფსავდა, სხვაგან ფუჩეჩისა და კომბოსტოს ძირებს მოკორტნიდა, მოზვრები და ჭოჭყ-დეკეულები აქა-იქ, ღობის პირებზე დაზვინულ ჩალაბულასაც წაეტანებოდნენ, მაგრამ დეზაურას შიშით ჩვენს საჩადლ-საგულებელში ვერც ერთი ვერ გაიჭაჭანებდა. განსაკუთრებით ღორებს უქრობდა სინსილას. თითქოს იცოდა, რა მარღვივლებიც იყვნენ და დაინახავდა თუ არა ბოსტანში შემოსულებს, იმავ წამს სარჩოლად გამოენთებოდა. ღორებს მრავალგზის ჰქონდათ ნაწვნევი დეზაურას დეზის ძალა და თვალი თვითონაც მზირედ ეჭირათ — დანახვისთანავე მოძუძგავდნენ, მაგრამ დეზაურა მაინც წამოეწეოდა, ქეჩოზე დაახტებოდა და ფრთების ისეთ ტყლაშატყლუშს აუყენებდა, რომ მათი ჭყვირილ-გნიასი მთელ სოფელს აყრუებდა.

მეზობლებს, ცოტა არ იყოს, სწყინდათ, რომ დეზაურა მათს პირუტყვს და ქათამ-ინდაურს ეზოში არ უშვებდა და ხანდახან გვარიანადაც დაკორტნიდა, ზოგიერთებს შურდათ კიდეც ჩვენი, მაგრამ დეზაურაზე ძვირს მაინც არ ამბობდნენ, პირიქით, აქებდნენ: ქათამი კი არა, მთელი განძიაო...

რაკი ქვეყნად უხინჯო არაფერია, ერთი ცუდი ზნე დეზაურასაც დასჩემდა — გაყოყოჩდა, გადიდგულდა, გაამპარტავნდა და ეზოს გარეთ გასვლას დაეჩვია. თუ ჭიშკარი ღია იყო, ამვლელ-ჩამვლელებს ხანდახან ორღობეშიც გაუვარდებოდა და კარგა შორ მანძილზეც გასდევდა. ჩვენ ვშიშობდით, ემანდ ხელს არავინ გააყოლოს ან ჯაათით ჯოხი არავინ დაარტყასო, და ვფრთხილობდით კიდეც: როცა შინ არ ვიყავით, ეზოს კუტიკარს გარედან ურდულით ვუკეტავდით.

ხიფათს მაინც ვერ ავცდით. ზაფხულის ერთ საღამოს, სამუშაოდან რომ დავბრუნდით, დეზაურა ქათმებთან აღარ დაგვხვდა. — იქნებ სადმე ჭინჭრებშია გამძვრალი? — დედამ ჯამით სიმინდი გამოიტანა და ქათმებს საკენკზე დაუძახა. ქათმები ფრენა-ყიშყიშით მოცვივდნენ, მაგრამ დეზაურა არც ახლა გამოჩნდა.

მაშ, რა იქნა?

ყველანი შევწუხდით და შევფიქრიანდით: ეზოს გარეთ ვერ გავიდოდა — კარი დაკეტილი იყო, ღობეზე გადახტომა ჩვევად არ ჰქონდა, და თუ მაინც გადახტა, უკანაც ხომ ისევე გადმოხტებოდა? მაშასადამე, ვიღაცამ დრო იხელთა, კარი გახსნა, მამალი გარეთ გაიტყუა და კარი ისევ გადაკეტა. ამას კი უცხო კაცი ვერ იზამდა, უეჭველად ვიღაც მცოდნის, შინაურის ხელი ერია. მაგრამ, ვისი?!

— მამამ ცელი და ფიწალი ქლიავზე მიაყუდა, საგზლის ჩანთაც იქვე დაჰკიდა და მეზობლის ბებერს გასძახა:

— თეკლე ბებო! დღეს ჩვენს ეზოში ხომ არავინ შემოსულა?

— დღესა? ჰო... დღეს არა და, წეღან კი აი ჩარჩა დავინახე, რუთიაი.

— რუთია? ნაღდია! — თქვა მამამ და რუთიასთან თავისი ამასწინანდელი საუბარი გაიხსენა. რუთია თელაველი ხილით მოვაჭრე ჩარჩი იყო და ზაფხულობით სოფელში ადრეული ხილი ამოჰქონდა. შავგვრემანი, კოტიტა კაცი იყო, მელოტ თავზე გაქუცული ნაბდის ქუდი ეხურა. სოფელში იმდენად გაშინაურებული იყო ყველასთან, რომ ხილით დატვირთულ ვირის „ტაჭკას“ რომელ ეზოშიც მოეპრიანებოდა, იქ შეაგორებდა, მაშინაც კი, როცა პატრონები შინ არ იყვნენ, ლეგა ვირს გამოხსნიდა და მთელი სოფლის გასაგონად გასძახებდა:

— აბა, ხენდრო, აბა, ხენდრო! გოგრამბალი! ყარფუზი, ყარფუზი!

ერთი კვირის წინ სწორედ ასეთი ქოთქოთით მოაყენა „ტაჭკა“ ჩვენს ჭიშკარსაც. დეზაურასაც მეტი არ უნდოდა: ჯერ უცხო კაცი და მერე ისიც ასეთი ხმაურით შემოსული! და სანამ ვირი ჭიშკარში თავს რიგიანად შემოყოფდა, დეზაურა უკვე ქეჩოზე ჰყავდა დაფრენილი და ბრჭყალებს თავპირში გამეტებით უნაცვლებდა. კიდევ კარგი, მამა იქვე იყო და დროზე სტაცა ხელი ფრთაში, თორემ შეიძლება საცოდავი ვირისათვის დეზი თვალშიც გაეკრა.

რუთიას გაოცებისაგან პირი ღია დარჩა და წამოქოჩრილ დეზაურას, რომელიც პატრონის ხელიდანაც ისევ სარჩოლად იწევდა, თვალებგადმოკარკლული მიაშტერდა. მერე მზერა მამაჩემზე გადაიტანა:

— ვახ, მათე-ჯან! ეს, ეს... მამალო თუ?.. რას შვრება?

— ჰო, ასეთი მამალოა, — იმავ კილოზე უთხრა მამამ, — თუ ჩვენ, პატრონებმა არ მოვუგერიეთ, უცხოს, არც ადამიანს და არც პირუტყვს, ეზოში არ შემოუშვებს.

— ვა, მართლა?

— აი, ხომ ნახე.

— მაშ, ეხლა რომ ისა ვქნა... შამოვიდე, აღარ მერჩის?

— ახლა აღარ, შემოდი.

მამამ დეზაურას თავზე ხელი გადაუსვა, დააწყნარა და ეზოს ზედა კუთხისაკენ გაუშვა. რუთიამ „ტაჭკა“ შემოაგორა, თან თვალი ერთთავად დედლებისაკენ ამაყად მიმავალ დეზაურაზე რჩებოდა.

— ვახ, რა ქნა, კაცო, ეს რა ქნა?!. — იმეორებდა თავის ქნევით, — აი, მამალოც ეგეთი უნდა-ა!..

უცბად საეჭვოდ აცმუკდა, ფეხი რამდენჯერმე მოინაცვლა, გაქუცული ქუდი მელოტ შუბლზე გადმოიწია და მამას დაბლიდან მოლაქუცებით ახედა!

— მათე-ჯან, მოდი, ეს მამალო მე მამყიდე.

— ვერ მოგყიდი.

— ძმურად, ჰა?

— ვერა-მეთქი.

— რატომ?

— შენ უნდა დაკლა, მე კი დასაკლავად არ მემეტება.

— არც მე დავკლამ! სიყმეს გეფიცები, არ დავკლამ!

— აბა, ქალაქში მამალი რად გინდა?

— სწორედაც მინდა: ეზოში კლუბნიკა მაქვს, ბლები, ქლიავები. უბნის ბიჭ-ბუჭები კი, ხომ იცი, მპარამენ. როცა შინ არა ვართ, შედიან და... ჰოდა, სწორედ საჩემოა, რაღა! გავუშვებ ეზოში, გამოვკეტამ ჭიშკარს და — ჰაიდა! აღარც შიში, აღარც ზარალი! ჰა, როგორია?

— ბარემ კარგია, მაგრამ ვერა, — უთხრა მამამ გადაჭრით, — ამისი გაყიდვა ჩემგან დიდი უმადურობა იქნება.

რუთიამ უკმაყოფილოდ რაღაც ჩაიბუტბუტა, ხელიც ასევე ჩაიქნია და „ტაჭკიდან“ ვირის გამოხსნა დაიწყო.

მამას ახლა სწორედ ეს საუბარი გაახსენდა და მიხვდა, დეზაურა ეზოდან ვისი გაყვანილიც უნდა ყოფილიყო, თუმცა ეჭვს ბოლომდე ვერ ენდო და თეკლე ბებოს სხვა რამეებიც გამოჰკითხა:

— თუ დაინახე, რას [illegible] და?

— არ ვიცი. ჯერ შამოვიდა, მერე [illegible] ხელში [illegible] ლი ნაბადი ეჭირა. დარჩენილი თუ ჰქონდა და წაიღო.

— აჰა, ნაბადი წაუფარებია. — დაასკვნა მამამ ახლა კი ბეჯითად და ისევ თეკლე ბებოს გასძახა:

— მერე, რა იქნა?

— წავიდა.

— დიდი ხანია?

— არა, ეხლაღა ჩეეფარა ემა წყაროსთანა, ვირას მიაჩაკჩაკებდა.

— ჩავაფარებ მე მაგას! — თქვა მამამ მუქარით და ჭიშკრისაკენ წავიდა, — სანამ ჭალამდე ჩავა, საცალფეხო ბილიკებით წამოვეწევი და კარგადაც გავასილაქებ!

— ჩვენც წამოვალთ, რა, მამი, — დავეღრიჯეთ მე და ჩემი უფროსი ძმა.

— წამოდით, რა მენაღვლება! დაიღლებით, თორემ... ჭალამდე კაი შორი მანძილია.

მაგრამ ჭალამდე ჩასვლამ აღარ მოგვიწია. პირველსავე მოსახვევს რომ გავცდით, ვიწრო ბოგირთან თავმოყრილ ხალხსა და ავტომანქანებს წავაწყდით. რუთიას მოტვლეპილი თავიც იმ ჯგროში დაგელაობდა, აურზაურის მიზეზიც თვითონვე აღმოჩნდა: ვიღაც მთვრალ შოფერს მანქანის ფრთა გაეკრა და ვირიან-ტაჭკიანად გზისპირა ჭაობში გადაეყირავებინა. ვირი უკვე გამოეხსნათ, „ტაჭკა“ კი ისევ თხრილში ეგდო. იქვე მიმოფანტვით ეყარა ხილით გამონაცვალი ყველის, ლობიოს, კარტოფილის ნაკრაულები და რუთიას ნაბდის ქუდი. შემთვრალი ხალხი იცინოდა, ლაზღანდარობდა. რუთიას კი დანა პირს არ უხსნიდა. ისე იყო შეშინებული და დაბნეული, რომ ნაკრაულების აკრეფაც ველარ მოეფიქრებინა. უაზროდ აწყდებოდა აქეთ-იქით და რას ეპოტინებოდა, თვითონაც არ იცოდა.

მართალია, მამა სახლიდან დამუქრებული წამოვიდა, მაგრამ რუთია ასეთ ყოფაში რომ ნახა, შეებრალა, ამიტომ მისვლისთანავე მამლის თაობაზე არაფერი უთქვამს, პირიქით, ანუგეშა და მიეხმარა: თხრილიდან „ტაჭკის“ ამოგორებაში უშველა, მხოლოდ ამის შემდეგღა ჰკითხა და საკმაოდ სუსხიანადაც:

— მამალი სადღაა?

რუთია უარესად დაიბნა, თვალები ცბიერად მიატარ-მოატარა და ადგილზე უხერხულად მიდგა-მოდგა. სწორედ ამ დროს

დეზაუოა თვითონვე გამოძვრა ბარდებიდან. ჩანდა, ხალხი და მანქანები რომ აირია, დრო იხელთა და შეშინებული შალდაყში მიიმალა, მაგრამ პატრონის ხმა რომ გაიგონა, გული მოეცა და სამალავიდან პირდაპირ ჩვენთან მოვარდა. მამამ ხელში აიყვანა და რუთიას კვლავ სუსხიანად შეხედა. რუთია უფრო აცმუკდა:

— მაპატიე, მათე-ჯან... შავცდი, რაღა, ცუდად შავცდი... ეშმაკმა შამაცდინა... მაპატიე...

— ამჯერად გაპატიებ, — უთხრა მამამ მკაცრად, — მაგრამ იცოდე, თუ კიდევ... ის ეშმაკი ერთხელ მეც შამაცდენს და მაშინ ასე მსუბუქად ვეღარ გადამირჩები.

დეზაურას კპოვნით ყველამ გავიხარეთ, მაგრამ ყველაზე მეტად თვითონ დეზაურამ გაიხარა. აქეთობას ხელში აყვანილი მოგვყავდა — ხან მე, ხან ჩემს ძმას. დეზაურას ხელის მოკიდება არ უყვარდა, და თუ როდისმე ავიყვანდით, დიდხანს არ გაგვიჩერდებოდა. ახლა კი ერთხელაც აღარ გაზიდულა. შეშინებულს გული ჯერაც გამალებით უცემდა, დანდობილად შემოგვყურებდა დიდრონი, ბრიალა თვალებით და მშვიდად, აუჩქარებლად ღურღურებდა, თითქოს ახლახან გადატანილ ამბავს გვიყვებოდა.

●

იმ დღიდან დეზაურამ ეზოს გარეთ გავარდნა და შარა-ორღობეში ფარფაში მთლიანად მოიშალა, მაგრამ ეზო-კარმიდამოს კი ჩვეული სიფხიზლით სდარაჯობდა. უნდა გენახათ, რა ამაყად გამობრუნდებოდა უკან, როცა შემთხვევით შემოხეტებულ ხბოს, თხას, ღორს ან ქათამ-ინდაურს ეზოდან გააძევებდა, რა თავმომწონედ გაერეოდა ქათმებში და თვალებიც როგორი კმაყოფილებით უბრწყინავდა. ასეთ წუთებში მის ნახვას მართლაც არაფერი ჯობდა: ტანში აიმართებოდა, მკერდს წინ წამოსწევდა, მხრებში ამპარტავნულად შეიჩეკებოდა, დაკოჟრილ, ბასრდეზებიან ფეხებს განზე გადადგამდა, კისერს მოიღერებდა და ისე გადახედავდა დედლებს და ვარიკებს მაღლიდან, თითქოს ეუბნებოდა, — აი, როგორი ბიჭი ვარო!

მაგრამ ყველაზე დიდი გმირობა დეზაურამ სიკვდილის წინ ჩაიდინა. ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობიაო, — ეს ანდაზა ალბათ ისე არსად გამართლებულა, როგორც იგი დეზაურამ თავის თავზე გაამართლა.

— აი, როგორ მოხდა ეს:

იმ გაზაფხულზე ჩვენს სოფელს ერთი ახალგაზრდა ქორი შემოეჩვია. ისე არ გავიდოდა, რომ სოფელს ორ-სამჯერ მაინც არ დასცემოდა და თოთო წიწილა ან მოჩრიხვული ვარიკა არ წაეღო.

ბოლოს ეს ქორი ჩვენს ეზოსაც ეწვია. როგორც ჩვევად ჰქონდა, შორიდანვე დაგრუზული წამოვიდა, რომ თავისი უეცარი გამოჩენით ქათმებისათვის თავგზა აებნია და რომელიმე მათგანი ბრჭყალებში უფრო მარჯვედ მოეგდო. მაგრამ ნაცადი ხერხი ამჯერად აღარ გაუვიდა — გარიდების მაგიერ დეზაურა თვითონვე შეეგება. ქორმა კამარა შეკრა, გაშლილი ბრჭყალები წინ გამოსწია და დეზაურას ზურგზე დახტომა დაუპირა. ეს ძალიან სწრაფად მოხდა, მაგრამ დეზაურა არ დაიბნა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მას ძალი შესწევდა ქადილისა! მართალია, ქორს არასოდეს შებმოდა, მაგრამ სოფლის მამლებთან უამრავი ბრძოლა ჰქონდა გადახდილი და შეტევისა და თავდაცვის ხერხები კარგად იცოდა. სანამ ქორი ბრჭყალს მიუწვდენდა, უცბად გულაღმა ამოტრიალდა, მტაცებლის ბასრ კლანჭებს თავისი ხორკლიანი ბრჭყალები შეაგება და ჩანისკარტებაც თვითონვე დაასწრო.

ქორი უცბად თითქოს გაშტერდა. როგორც ჩანდა, ქათმისაგან ასეთ რამეს არ მოელოდა და ამ მოულოდნელობამ გააოცა. დაჯაბნილი და გადახიახებული როგორღაც მოუხერხებლად გადაქანდა უკან, ნისკარტდაღებულს ცალი ბრჭყალიც აწეული დარჩა, მაგრამ დეზაურასთან ხელახლა შებმა ვეღარ გაბედა. უცნაურ მეტოქეს რამდენსამე წამს გაკვირვებით უყურა, მერე ერთბაშად მოსწყდა ადგილს და ფრთების სწრაფი ქნევით სოფლის ბოლოსაკენ გაფრინდა.

ქორისა და მამლის ორთაბრძოლას მარტო მე და ჩემი უფროსი ძმა შევესწარით. უფროსები უკვე მინდვრის სამუშაოებზე დადიოდნენ, ჩვენ კი სამწყემსურის დრო ჯერ არ მოგვსვლოდა და შინ ვიყავით. დეზაურას გამარჯვებამ უზომოდ გაგვახარა, აივნიდან ყიჟინით ჩავცვივდით, — ეგეც შენ! ეგეც შენ! — გავიძახოდით ხმამაღლა და გაფრენილ ქორს ნიშნისმოგებით გავყურებდით, — ახლა, ალბათ, ისე დაფრთხება, რომ სოფლისაკენ გამოხედვასაც ვეღარ გაბედავს.

მაგრამ თურმე ვცდებოდით: ქორმა სწორედ ამ დღიდან მოუხშირა ჩვენს ეზოში შემოფრენას. თანაც, როგორც წესი, წვრილფეხობას კი აღარ ეტანებოდა — პირდაპირ დეზაურასაკენ გაიწევდა. ცხადი იყო, გულში მხოლოდ მისი მტრობა ედო, მასთან დამარცხება ვერ მოენელებინა და უნდოდა, სამაგიერო მიეზღო — დაეჯაბნა, დაეძლია, გაელახა და, თუ შეძლებდა, მოეკლა კიდეც.

მტრობა აშკარად სამკვდრო-სასიცოცხლო იყო — ან ერთი ან მეორე, სხვაგვარად ვერ დასრულდებოდა. ამას თითქოს დეზაურაც გრძნობდა და თვალი მუდამ მზირედ ეჭირა. ქორის დანახვისთანავე დედლებს და ვარიკებს გამაფრთხილებლად წაუღურღურებდა და გადამალავდა. თვითონ ადგილზე რჩებოდა და ჯიქურ მოსულ მტერს ღონიერი ფრთებითა და დეზებით იგერიებდა. სიმართლე რომ ითქვას, დეზაურას ცოტათი ჩვენც ვშველოდით: ყვირილს, ჭყივილს, ხელების ქნევას ავტეხდით და ეზოში ჩავცვივდებოდით. ჩვენი ყვირილი ქორს აფრთხობდა, დეზაურას კი გულს უმაგრებდა და ძალას და გამბედაობას მატებდა.

მაგრამ ქორი ისე იყო შურისძიებით შეპყრობილი და ისე ძლიერ ეწადა დეზაურას დაჯაბნა, რომ ბოლოს ჩვენს ყვირილსაც აღარ შეეპუა. ის დღე და საათი ახლაც თვალწინ მიდგას. საღამო ხანი იყო, უფროსები მინდვრის სამუშაოდან ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ და მე და ჩემი ძმა შინ ისევ მარტონი ვიყავით. ქორი და მამალი შუა ეზოში, ზედ აივნის წინ შეიბნენ. ქორი უტევდა, დეზაურა უფრო თავს იცავდა და ფრთებს თავ-პირში უშენდა. ქორმა მაინც იმარჯვა, თავი გვერდზე წაიღო, ფრთას ფრთა შეაგება და ცალი ბრჭყალი იღლიაში გაუყარა. იგი მებრძოლთა ჯიშისა იყო და ბრძოლის ხერხებიც დეზაურაზე უკეთ ჰქონდა შეთვისებული, მაგრამ დეზაურა ღონითა და სიმძიმით ჯობნიდა და ძალთა ეს სხვადასხვაობა ბრძოლას ერთგვარად აწონასწორებდა. ერთმანეთს ჩახლართულნი ადგილზე წრიულად ტრიალებდნენ, ხან ერთი იყო ქვეშ, ხან — მეორე. ქორი იღლიაში გაყრილ კლანჭს არ უშვებდა, თან ზურგზე აფოფხდებოდა და მოკაუჭებულ, მჭრელ ნისკარტს თავში უმიზნებდა. ერთი-ორჯერ მოასწრო კიდეც გაკვრა და მსხვილი ჯუჯა შუაზე გაუპო, მაგრამ დეზაურამ მეტი აღარ აცალა, შეშინებულმა ღონივრად შეიფრთხიალა, მეტოქე თვითონვე მოიგდო ქვეშ და წვეტიანი დეზები მთელი ძალით გაჰკრა-გამოჰკრა გვერდებში.

ახლა სისხლი უკვე ორივეს სდიოდა — ქორს — გვერდებიდან, დეზაურას — ჯუჯიდან და იღლიიდან. თანდათან დასუსტდნენ და დაღლაც აშკარად დაემჩნათ. მაგრამ. დაღლას და სისუსტეს გამმაგება სძლევდა და ბრძოლა წამითაც არ წყდებოდა, ისევ ზედახორას გადადიოდნენ და მტვრისა და ბუმბულის კორიანტელში ხანდახან აღარც კი ჩანდნენ.

ამ კოტრიალ-კოტრიალში დეზაურას მეორე კლანჭიც გაუყარა — ფრთა შესტაცა, გადააბრუნა და ნისკარტით ყელში წაეტანა.

დეზაურას აშკარად სახიფათო მდგომარეობა შეექმნა. ქორი წამოწევის სახსარს არ აძლევდა. დეზაურა ამაოდღა აფართხალებდა ფეხებს — დეზს ტანზე ვეღარ უწვდენდა და ცალს ვეღარც ფრთას ხმარობდა — გაკავებული ჰქონდა. ქორი კარგად სარგებლობდა ამით, თვალებს აბრიალებდა, ნისკარტს აკაპუნებდა და ყელისაკენ სულ უფრო მეტი გაафთრებით მიიწევდა. მე და ჩემი ძმა ვხედავდით დეზაურას გასაჭირს, მაგრამ შველა არაფრით შეგვეძლო, ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლამ როგორღაც მეტისმეტად დაგვზაფრა, ერთმანეთს მჭიდროდ ვეკვროდით და თვალ-წარბატკრეცილები უმწეოდ ვლუღლუღებდით:

— ვაიმე, ყელს გამოღადრავს... მოკლავს... რა ეშველება?!.

აგე, მისწვდა კიდეც — ერთხელ, ორჯერ. დეზაურას ყელიდან სისხლის წვრილი შადრევნები ამოსკდა. ჩანდა, ქორმა სასისა და კისრის შესაყარი გაუფატრა და სისხლძარღვებიც გადაუჭრა. ახლა გადარჩენის აღარავითარი იმედი აღარ იყო, მაგრამ დეზაურა სიკვდილს მორჩილად და უნიათოდ არ დანებებია: სანამ გონებას მთლიანად დაკარგავდა, ერთხელ კიდევ თავისებურად, ჯიუტად გაიბრძოლა, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, ნახევრად გამოღადრული კისერი გაწვართა, თავი შორიდან კომბალივით მოიქნია და მკვრივი, მოკუმული ნისკარტი ქორს შიგ შუბლის ჯვარში უსწორა.

ქორს თვალები გადმოუთეთრდა და ტანში ცხრო შეუდგა. ცხადი იყო, თავის ქალა ჩაემსხვრა. ფრთები დუნედ ჩამოუცვივდა, ბარბაცით გადავარდა გვერდზე და დეზაურას მხარსა და იღლიაში ჩაჭიდებული ბრჭყალებიც გაეხსნა. ფეხზე დადგომა ვეღარც დეზაურამ შეძლო. რამდენჯერმე წამოიწია, მაგრამ მუხლი ვერც ერთხელ ვერ გამართა. ერთხანს ასე ცალცალკე იფართხალეს, მერე ორივემ სული დალია.

ასე დაასრულა სიცოცხლე ჩვენმა სახელოვანმა მამალმა. მას შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ მისი ხსოვნა სოფელში ჯერაც არ გამქრალა. მეზობლები ჩვენს ჭიშკართან ისე იშვიათად გაივლიან, რომ დეზაურა არ ახსენონ და ქებადიდებით არ მოიგონონ.



# საქართველო-უპირველეს ყოვლისა!

გაზეთ „პრავდის“ საკუთარ კორესპონდენტს, საქართველოს სსრ დამსახურებულ ჟურნალისტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემიების ლაურეატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გიორგი ლებანიძეს ესაუბრა ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი.

**— ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია გულთბილად მიესალმება თავის კოლეგებს, რესპუბლიკის ჟურნალისტებს, ულოცავს 5 მაისს — საბჭოთა პრესის დღეს და უსურვებს დიდ შემოქმედებით წარმატებებს.**

**ჩვენს პროფესიულ დღეს სულითა და გულით გილოცავთ თქვენც, ძვირფასო გოგა, და გთხოვთ „დროშის“ მკითხველებს მოუთხროთ ცოტა რამ თქვენი მუშაობის შესახებ, კერძოდ, როგორ გახდით ჟურნალისტი.**

— დღევანდელ დღეს მინდა ჩემი სიტყვა შევუერთო თქვენს მილოცვას და გამოვხატო კეთილი სურვილები ჩემი კოლეგებისადმი, რომლებიც მეტად ძნელსა და საპატიო საქმეს ემსახურებიან, პარტიისა და ხალხის დავალებას ასრულებენ.

ჭაბუკობაში ისე შევდგი ფეხი, ჟურნალისტობაზე არც მიფიქრია. ინსტიტუტში იმ განზრახვით შევედი, რომ რკინიგზის ინჟინერი გამოვსულიყავი. ჩემი სტუდენტობის დროს თბილისის რკინიგზის ინსტიტუტში გამოდიოდა მრავალტირაჟიანი გაზეთი „ტრანსპორტის კადრები“, რომელსაც იმ დროს რედაქტორობდა სტუდენტი, შემდგომში ჩვენი კულტურის შესანიშნავი მოღვაწე, დაუვიწყარი ალექსანდრე გურგენიძე. მე მასთან ვმეგობრობდი. მანვე ამაღებინა ხელში კალამი. ერთხელ სტამბაში წამიყვანა. მაშინ გადაწყდა ჩემი საბოლოო ბედი. რკინიგზელთა საქმეს კი ვსწავლობდი, მაგრამ ჩემს გონებაში ამლილი „მუზა“ სულ სხვაგან მიხმობდა.

საშა გურგენიძეს აღარ ვშორდებოდი, დავიწყე ინსტიტუტის გაზეთში თანამშრომლობა. გაზეთის სიყვარულმა ისე გამიტაცა, რომ მალე „მოლოდიოჟ სტალინეცში“ შიკრიკად დავიწყე მუშაობა. გაზეთის რედაქტორი იმ დროს გიორგი სემიონოვი გახლდათ. რედაქციაში ღამით ვმუშაობდი. ერთი პატარა ოთახი მომიჩინეს. ჩემი ხვედრით კმაყოფილი ვიყავი, ჭაბუკის ოცნება ფრთებს ისხამდა. გაზეთში დაბეჭდილ ჩემს ერთ ციცქნა ინფორმაციას რომ დავინახავდი, ქვეყანა ჩემი მეგონა.

მართლაც საოცარი მაგიური ძალა აქვს გაზეთსა და ჟურნალს. განუზომელი სიხარული გიპყრობს, საკუთარ ნაწარმოებს დაბეჭდილს რომ დახედავ. ახლაც კი ისეთივე სიხარული მეუფლება ხოლმე, რასაკვირველია, ცოტა უკმარისობის გრძნობით — იქნებ უკეთესი დამეწერა!

მაშინ კი, როცა შიკრიკად ვმუშაობდი, შემდეგ რედაქციის მდივნად, ლიტმუშაკად, ეჭვის თვალით ნაკლებად ვუყურებდი საკუთარ ნაწერებს... დროთა განმავლობაში პასუხისმგებლობა იზრდებოდა და ალბათ სწორედ ამიტომაა, რომ რაც დრო გადის, უფრო მეტი ჯაფა მიწევს.

ერთი სიტყვით, რედაქციაში თითქმის ყველა საფეხური გავიარე. რამდენჯერმე საპასუხისმგებლო კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე გადამიყვანეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისევ პრესას ვუბრუნდებოდი, რადგან პრესაში მუშაობა ჩემი უსაყვარლესი საქმე გახდა, ასე ვთქვათ, მე სუნთქვაც აღარ შემეძლო უგაზეთოდ.

სხვადასხვა დროს ვრედაქტორობდი ქუთაისის გაზეთ „სტალინელსა“ და კომკავშირულ „მოლოდიოჟ სტალინეცს“, სწორედ იმ გაზეთს, რომლის რედაქციაში თავდაპირველად შიკრიკი გახლდით.

**— რომელი წლიდან მუშაობთ გაზეთ „პრავდის“ საკუთარ კორესპონდენტად?**

—1953 წლის 9 მარტს გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტად დამამტკიცეს. 33 წელია ამ საქმეს ვემსახურები. ამ ხნის განმავლობაში ბევრი შემოქმედებითი სიხარული განმიცდია. არაერთი უსიამოვნებაც შემხვედრია. მაგრამ უსიამოვნებას ვუმკლავდებოდი და მალე ვივიწყებდი, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ მართალ სიტყვას ვემსახურებოდი, მუდამ ჭეშმარიტების ერთგული ვიყავი, რადგან ეს მართალი სიტყვა იმ გაზეთში იბეჭდებოდა რომელსაც „პრავდა“ ეწოდება.

რაოდენ დიდი ბედნიერებაა, როცა შენი ნაწერი ხალხში დადებით გამოხმაურებას ჰპოვებს!

ჟურნალისტის ცხოვრება მოუსვენარია. მოვლენებს ერთი წუთითაც ვერ მოუხუჭავ თვალს, ავადმყოფობაც კი არ შეიძლება, ცხოვრებას არ უნდა ჩამორჩე, ცოტათი უნდა უსწრებდე კიდეც. ეს კი ძნელია, მაგრამ შესაძლებელი, თუკი მთელი არსებით ეძლევი შენს საქმეს.

ჟურნალისტს მახვილი თვალიც უნდა ჰქონდეს. კორესპონდენტის სამუშაო მაგიდაზე გამუდმებით ზღვა მასალა, მკითხველთა აუარებელი კორესპონდენცია იყრის თავს. ამ ზღვა მასალაში რაღაც ისეთი უნდა შენიშნო, აღმოაჩინო, რომელიც პრესის შემწეობით დიდ საქმედ გადაიქცევა.

მაგალითად: ამ რამდენიმე წლის წინ მწვავედ დაისვა საკითხი შავი ზღვის სანაპიროების ახლებური მეთოდით გამაგრებისა. პირველად პრესაში მცირე ინფორმაცია გამოქვეყნდა. ამ საკითხს სერიოზულად ჩავჭიდეთ ხელი, „პრავდაში“ გამოვაქვეყნეთ ჯერ რეპორტაჟი, შემდეგ მოზრდილი წერილი. ჟურნალისტის მხარდაჭერამ კარგი ნაყოფი გამოიღო, შეიქმნა შავი ზღვის სანაპიროების გამაგრების ტრესტი, რომელიც სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული ახლებური მეთოდებით დიდად ნაყოფიერ შრომას ეწევა.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ერთხელ აღმოჩენილ გმირზე ზღვა მასალას დავახვავებთ, გამუდმებით მასზე ვწერთ და სხვა, მასზე არანაკლებ სახელოვანი ადამიანი გვავიწყდება. ერთხელ თბილისის საელმავლო დეპოს მესვეურებმა კვლავ საყოველთაოდ აღიარებულ მემანქანეზე მიმითითეს, როცა იქ მასალის ასაღებად მივედი. ვთხოვე, გაეცნოთ ჩემთვის სხვა მემანქანე, ნაკლებად, ან სრულიად უცნობი, მაგრამ კარგი მუშაკი. ასეთი გამოდგა მემანქანე გრიგოლ ბოგვერაძე, მართლაც შესანიშნავი კაცი, თავისი საქმის ერთგული. ასე დაიბადა ნარკვევი „ელმავალი გავიდა ხაზზე“, რომელიც გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა. მალე გრიგოლ ბოგვერაძეს რკინიგზაზე თავდადებული ღვაწლისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. არადა, მასზე მანამდე არავინ წერდა, არავინ ამჩნევდა.

ჟურნალისტს უნდა ახასიათებდეს ინტუიციასთან ერთად სიმართლე და ობიექტურობა. ჟურნალისტი გულმართალი და ობიექტური უნდა იყოს ყველასთან და ყველას მიმართ. ამასთან უნდა იყოს კეთილი, მაშინაც კი, როცა იგი ვინმეს აკრიტიკებს. უარყოფით მოვლენებთან ბრძოლა, ესეც კეთილი საქმის კეთებაა. იმისათვის, რომ იყო მებრძოლი, არც არავისი უნდა გემართოს და არც შენი უნდა ემართოთ. საჭიროა იყო ფაქიზი ცხოვრებაში. როცა კრიტიკულ მასალას ამზადებ (რასაკვირველია, დიდი ტაქტითა და ობიექტურობით), წინასწარ უნდა გაითვალისწინო, დაგიჭერს თუ არა მხარს საზოგადოება, მკითხველი. თუ გინდა რომ ნაწარმოები გამოვიდეს მებრძოლი, მასალამ უნდა აგანთოს, ცეცხლი წაგიკიდოს...

**— ამას წინათ ერთმა კაცმა მითხრა: „პრავდის“ კორესპონდენტ გიორგი ლებანიძეს საჩივრის ქაღალდი უნდა მივართვა, ქართული ხომ არ დაავიწყდაო. მე გამეღიმა და მივუგე, კაცს საშუალო სკოლა და ინსტიტუტი ქართულ ენაზე აქვს დამთავრებული და როგორ გგონიათ-მეთქი...**

— რუსული ენა შინ შევისწავლე. მამაჩემს სწავლების თავისებური მეთოდი ჰქონდა. ლევ ტოლსტოის „ბავშვობა და ყრმობა“ თავიდან ბოლომდე მაქვს გადაწერილი. დღეში უშეცდომოდ გადაწერილი რვა გვერდი უნდა ჩამებარებინა მამაჩემისთვის. ვინ მოთვლის, სხვა რამდენი ნაწარმოები მაქვს ასე გადაწერილი! ყმაწვილისთვის მძიმე შრომა იყო, მაგრამ... შედეგი კეთილი აღმოჩნდა! ასეთმა მუშაობამ იმასაც მიმაჩვია, რომ საწერ მაგიდაზე დღესაც საკუთარ თავს დაუზოგავად ვექცევი, ერთსა და იგივეს მრავალჯერ გადავწერ ხოლმე. „პრავდაში“ მუშაობამ მიმაჩვია ფრაზის ლაკონიურობას — გაზეთს თავისი განსაზღვრული ფართობი აქვს და იგი რაციონალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

**— ახლახან ჟურნალმა „მნათობმა“ დასტამბა თქვენი საინტერესო დოკუმენტური რომანი „ამხანაგი გუბერნატორი“. მკითხველმა მეტად გულთბილად მიიღო ეს ნაწარმოები. თქვენ, მართლაც რომ გააცოცხლეთ ერთ დროს მივიწყებული კაცი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ნამდვილად ლეგენდარულია.**

— დიდი ხანია მაწუხებდა სტაროსელსკის ხვედრი. ეს კაცი, მივიწყებული კი არა, უფრო მეტიც, დაჩაგრული იყო... რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა მასალებს ვეცნობოდი, ჩემს თვალწინ იშლებოდა, მართლაც, მგზნებარე რევოლუციონერის ნათელი სახე, მშრომელი ადამიანების დიდი ქომაგი პიროვნება. რომანზე კარგახანს ვიმუშავე, თითქმის თხუთმეტი წელი. ადრე რამდენიმე მასალა გამოვაქვეყნე „წითელი გუბერნატორის“ სათაურით გაზეთ „პრავდაში“. ჯერ კიდევ თავს ვიკავებ რომანის ცალკე წიგნად გამოცემისაგან.

**— გარდა ამ რომანისა, თქვენ მშვენიერი პატარა მოთხრობები გაქვთ. მკითხველს ძალიან უყვარს თქვენი მებრძოლი, მძაფრი სტატიები, მოსწონთ მხიარული იუმორისტული გამოსვლები...**

— სხვადასხვა დროს „პრავდაში“ დაბეჭდილი მაქვს ასზე მეტი პატარა მოთხრობა. სულ მალე მკითხველებს შევთავაზებ კრებულს, სადაც თავმოყრილი იქნება „პრავდაში“ გამოქვეყნებული რჩეული ნარკვევები და რეპორტაჟები. საკავშირო გამომცემლობამ „პოლიტიზდატმა“ შემიკვეთა წიგნი მშობლების პასუხისმგებლობის შესახებ ბავშვების აღზრდაში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსცემს ჩემს წიგნს „გადალახვა“. სამუშაო ბევრი მაქვს. ამას წინათ საუბარში ვიღაცამ მკითხა, როგორი ამინდი გიყვართო. მე დაუფიქრებლად მივუგე, როცა საწერ მაგიდას ვუზივარ, სჯობს გარეთ წვიმდესმეთქი. კარგი, მზიანი ამინდი, მუდამ გარეთ მიხმობს...

**— მით უმეტეს გაზაფხულზე, როცა ბუნება ილვიძებს და კაცის გულს რაღაც უცნაურად აფორიაქებს... ვიცი, რომ თქვენ ძალიან გიყვართ ყვავილები... თქვენს ბიბლიოთეკაშიც მუდამ ნაირნაირ ყვავილსა ვხედავ...**

— არავითარი საჩუქარი არა მწამს, ყვავილის გარდა. განსაკუთრებით მინდვრის ყვავილებს ვარჩევ, მათში მეტი სიმდიდრეა ბუნებისა, უფრო მეტი უბრალოება და სინაზე. შინ ყოველთვის გამოულევლადა მაქვს მინდვრის ყვავილები — შთაგონებისათვის, თვალის დასასვენებლად, სულის დასატკბობად.

**— თქვენ საქართველოს მწერალთა მეათე ყრილობის დელეგატად ბრძანდებით არჩეული. ყრილობას ახალგაზრდა მწერლებიც დაესწრებიან. რას ურჩევდით თქვენს ახალგაზრდა კოლეგებს?**

—ახალგაზრდა ავტორებს ვურჩევდი, სანამ მწერლობის მძიმე უღელში შეებმებოდნენ, ჟურნალისტიკის მკაცრი კურსიც გაიარონ. დამეთანხმებით, რომ ჟურნალისტი მუდამ ახლოა ცხოვრებასთან. ეს, მართლაც, დიდებული სკოლაა მომავალი მწერლისა...

**— მადლობა ღმერთს, ჩვენი ხანგრძლივი მეგობრობის მანძილზე პირველად გათქმევინეთ ორიოდე სიტყვა საკუთარ თავზე, ისიც ჟურნალისთვის. თქვენ იმდენი ამაგი მიგიძღვით მშობლიური მწერლობის ყველა თაობის წინაშე, ყველა ჩვენგანს თქვენი იმდენი სიკეთე და უანგარო მხარდაჭერა ახსოვს, რომ ძნელია სიტყვით გამოხატო მადლიერების გრძნობა. თქვენ მართლაც რომ სიმართლის, სიყვარულის და ერთგულების კაცი ხართ! ერთადერთი საყვედური, რაც სამართლიანად გეთქმით თქვენი დიდი ღვაწლისა და შრომის გულწრფელად პატივისმცემელი „დროშისაგან“, ის არის, რომ საგანგებოდ მისთვის, მისი მკითხველებისათვის არასოდეს დაგიწერიათ... წელს მაინც ხომ არ შეეცდებით ამ ნაკლის გამოსწორებას?**

— უახლოეს დროში სიამოვნებით შევასრულებ ჟურნალ „დროშის“ კოლექტივის ამ დავალებას.

**— დიდი მადლობა საუბრისა და დაპირებისათვის. ჩვენი მკითხველების სახელით კვლავ გისურვებთ ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას.**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

**1986 წლის ლენინური პრემია მიენიჭათ ქართული ფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ დამდგმელთა ჯგუფს — რეჟისორ რევაზ ჩხეიძეს, სცენარის ავტორს სულიკო ჟღენტს, ოპერატორ ლომერ ახვლედიანსა და მთავარი როლის შემსრულებელ თემურ ჩხეიძეს.**

**ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია მხურვალედ მიესალმება ლენინური პრემიის ახალ ლაურეატებს, ულოცავს მათ გამარჯვებას და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს შემდგომ მუშაობაში.**

სურათზე: ლენინური პრემიის ლაურეატები (მარცხნიდან) — რევაზ ჩხეიძე, სულიკო ჟღენტი, თემურ ჩხეიძე და ლომერ ახვლედიანი.

ფოტო ანატოლი რუხაძისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).











# წარმატებით სამსახურს გისურვებთ, ახალგაზრდებო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

**დადგა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის საგაზაფხულო გაწვევის დრო. იმაზე, თუ როგორ მოეწყობა იგი, ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადაწყდეს საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, საქინფორმის კორესპონდენტი ვ. გოლოვინი ესაუბრა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს, გენერალ-მაიორ ლევან შარაშენიძეს.**

ვიდრე სიტყვას საქინფორმის კორესპონდენტსა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარს მივცემდეთ, გენერალ ლევან ლევანის ძე შარაშენიძეს ჩვენი ჟურნალის მკითხველს წარუდგენს დიდი სამამულო ომის სახელოვანი მონაწილე, საბრძოლო ორდენების კავალერი ილია ტატიშვილი:

„ია და ვარდით მოფენილი არ ყოფილა მისი ცხოვრების გზა. ბავშვობიდანვე მოაკლდა დედის სითბო და ზრუნვა. როცა მამამისი — ლევანი სამარყანდში გადავიდა სამუშაოდ, თავისი პატარა შვილიც თან წაიყვანა. მკვირცხლმა და ნიჭიერმა ბიჭუნამ ამ უძველეს და ისტორიულ ქალაქში დაამთავრა საშუალო სკოლა, კარგად დაეუფლა უზბეკურ და რუსულ ენებს.

ლევანს ბავშვობიდანვე იტაცებდა ჯარისკაცური ცხოვრება და გადაწყვიტა, თავისი მომავალი მთლიანად და ბოლომდე დაეკავშირებინა სიძნელეებით აღსავსე სამხედრო სამსახურისათვის.

საჯაერო სადესანტო სკოლის დამთავრების შემდეგ კომუნისტი ლევან შარაშენიძე ერთ-ერთ სამხედრო ოლქში გაგზავნეს საპარაშუტო-სადესანტო ოცეულის მეთაურად. ოთხასზე მეტი გადმოხტომა შეასრულა ოფიცერმა შარაშენიძემ. მან სრულიად მოკლე დროში განვლო საბჭოთა ოფიცრისათვის გასავლელი ყველა საფეხური. მსახურობდა იქ, სადაც სამშობლოს სჭირდებოდა.

არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ ლევან შარაშენიძე დაჯილდოვდა ორდენით „საბჭოთა შეიარაღებულ ჯარებში სამსახურისათვის“. ეს მისი დიდი აღიარება იყო.

ლევან შარაშენიძემ სამხედრო სამსახურთან ერთად დაუსწრებლად დაამთავრა ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო შემდგომში ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო პოლიტიკური აკადემია.

პოლკოვნიკი ლევან შარაშენიძე წლების მანძილზე გახლდათ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე.

1979 წლიდან ლევან შარაშენიძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს სამხედრო კომისარიატს. 1980 წელს კი მას მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

შესანიშნავ ხელმძღვანელს, გულისხმიერ და განათლებულ პიროვნებას ლევან შარაშენიძეს მშვიდობიან დროს მიღებული აქვს 2 ორდენი და 12 მედალი, რაც მის მეტად ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს.

— 1986 წლის სამხედრო გაწვევა დაიწყო აპრილის შუა რიცხვებში და ივნისის ბოლომდე გასტანს, — თქვა გენერალ-მაიორმა ლევან შარაშენიძემ. — სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგება 18 წელს მიღწეული ყველა მოქალაქე, რომლებსაც არა აქვთ გაწვევის გადავადების უფლება, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც, რომლებმაც დაამთავრეს მორიგი სასწავლო წელი.

თავიდანვე გეტყვით, თუ რით განსხვავდება ახლანდელი გაწვევა წინანდელისაგან. ჯერ ერთი, ამიერიდან უმაღლეს სასწავლებლებში ყველა ფორმის სწავლების სტუდენტებს გაიწვევენ მხოლოდ ერთხელ წელიწადში — გაზაფხულზე, საგამოცდო სესიის დამთავრების შემდეგ. ამგვარად ახალგაზრდები, რომლებსაც 18 წელი ივლის-დეკემბერში შეუსრულდებათ, შეძლებენ მორიგი კურსის დამთავრებას და მათ არმიაში მომდევნო გაზაფხულზე გაიწვევენ. მეორეც, კანდიდატებს საზღვარგარეთ სამსახურის გასავლელად განსაზღვრავს მხოლოდ რესპუბლიკური გასაწვევი კომისია, ხოლო საქალაქო და რაიონული სამხედრო კომისარიატები განთავისუფლებული იქნებიან ამ მოვალეობისაგან.

გაწვევა მოეწყობა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად, რომელზეც ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, თითოეულისათვის იმ მზადყოფნის ჩანერგვა, რომ დაიცვას სოციალისტური სამშობლო.

რა თქმა უნდა, არმიაში გაწვეული ყველა ახალგაზრდა იმთავითვე როდი ხდება დისციპლინიანი და გამოწრთობილი, ყველა როდია მზად სამხედრო სამსახურის სიძნელეების გადასალახავად. მაგრამ ჩამოყალიბების პროცესი მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, რაც უფრო უკეთ არიან მომზადებული ახალგაზრდები თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის. ამიტომ განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და დოსაафის ცენტრალურ კომიტეტთან, მთელ რიგ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ვეწეოდით და ვეწევით დიდ მუშაობას, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, მორალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური მომზადების, მასთან სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ეს, უდავოდ, დაეხმარება ჭაბუკებს, უფრო სწრაფად მოექცნენ მეომართა კოლექტივების ცხოვრების რიტმში, აითვისონ სპეციალობა, გახდნენ უნარიანი მეომრები.

დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ასე ემსახურებიან სამშობლოს თბილისის ლენინისა და ოქტომბრის რაიონებიდან, აჭარის ასს რესპუბლიკიდან, ფოთიდან, რუსთავიდან, ტყვარჩელიდან, ზესტაფონის რაიონიდან გაწვეული ახალგაზრდები, სადაც წარმოებს შესაბამისი ზუსტად კოორდინირებული მუშაობა. თავიანთი საქმიანობა გააუმჯობესეს რესპუბლიკის დედაქალაქის საბურთალოსა და ორჯონიკიძის რაიონების სამხედრო კომისარიატებმა, რომელთა მუშაკებმა სწორი დასკვნა გამოიტანეს მწვავე კრიტიკიდან.

**— სკკპ XXVII ყრილობამ დასახა მოსახლეობის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სრულყოფის, საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავებისა და ომის საფრთხის ზრდის პირობებში სამშობლოს დასაცავად მთელი მოსახლეობის მომზადების ამოცანები. თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვითხარით, რა კეთდება ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში?**

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თითოეული კომუნისტი, ყოველი საბჭოთა ადამიანი მოვალენი არიან, ყველაფერი იღონონ, რათა ჯეროვან დონეზე ვიქონიოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ამიტომ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა საშუალო სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, დოსაафის სკოლებში მოზარდი თაობისათვის სამხედრო საქმის საფუძვლების სწავლების მწყობრი სისტემა.

მაგალითად, აჭარაში ეწყობა თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ერთთვიურები და კვირეულები. აფხაზეთში იზრდება სამხედრო-პატრიოტული თემატიკის მიხედვით სახალხო უნივერსიტეტებისა და კლუბების რიცხვი. სამხრეთ ოსეთში შექმნილია ლექტორიუმები გასაწვევი და წვევამდელი ასაკის ახალგაზრდებისათვის. ზემოთ დასახელებულ რაიონებში, აგრეთვე თბილისის გლდანის რაიონში, ქუთაისში, ტყიბულში, ახალციხის, მარნეულის და საგარეჯოს რაიონებში ფართო ფრონტით მიმდინარეობს გმირული ტრადიციების პროპაგანდა. ახალგაზრდების მომზადება სამსახურისათვის, მათი შერჩევა და გაგზავნა სამხედრო სასწავლებლებში. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, თელავის მთელი რიგი სკოლების კურსდამთავრებულები ღირსეულად მსახურობენ არმიასა და ფლოტში. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, მაიაკოვსკის, ხელვაჩაურისა და სხვა რაიონების სამხედრო კომისარიატები სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდა პატრიოტთა მომზადების ნამდვილ ცენტრებად იქცა. რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ეწყობა გასაწვევებისა და

მათი მშობლების კონფერენციები, შეკრებები და კრებები, სამი თაობის შეხვედრები, დათვალიერებები და კონკურსები, სამხედრო-სპორტული ასპარეზობანი და სპარტაკიადები. ტრადიციულად იქცა გამარჯვების დღესასწაულის წინ გასაწვევი ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება. და მთელ ამ მუშაობას ვრულვყოფთ. განვაზოგადებთ საუკეთესოთა გამოცდილებას, ვიყენებთ ახალ, საინტერესო ფორმებს.

მაგრამ დღეს არმიისა და ფლოტის ახალგაზრდა შევსების პოლიტიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური, ფიზიკური მომზადების დონე წინანდელზე გაცილებით უფრო მაღალი უნდა იყოს. ეს გვავალებს, არა მარტო ვეძებოთ ახალი გზები ახალგაზრდობასთან მუშაობაში, არამედ აგრეთვე აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, განვახორციელოთ კონკრეტული ღონისძიებანი მომწიფებული პრობლემების გადასაჭრელად. ვერ შევურიგდებით იმას, რომ ამბროლაურის, ახალქალაქის, გეგეჭკორის, გარდაბნის, დუშეთის, დმანისის, ყვარლის, მესტიის, ოჩამჩირის, თიანეთის და წალკის რაიონებში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადების საკითხებს, ჭაბუკების აღზრდა არმიაში სამსახურის წინ სუსტად არის დაყენებული. აქ ამ სამუშაოს კამპანიურობის ხასიათი აქვს, ხშირად მას სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღებსა და გაწვევის მოწყობის დროს მიუსადაგებენ ხოლმე. არის შემთხვევები, როცა არმიაში ახალწვეულთა გაცილება ფორმალურად მიმდინარეობს. მთელ რიგ სასოფლო რაიონებში სუსტად არის დაყენებული სასწავლებლებში რუსული ენის სწავლება. ყოველთვის ჯეროვან სიმაღლეზე არ დგანან სამედიცინო კომისიების და სამხედრო კომისარიატების მუშაკები.

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მივაღწიოთ მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების ძირეულ გარდაქმნას, ზოგადი ხასიათის ღონისძიებებიდან გადავიდეთ ადგილებზე კონკრეტულ ორგანიზატორულ მუშაობაზე. საქმე ეხება შეურიგებელ ბრძოლას ახალგაზრდობას შორის ლოთობის, ხულიგნობის, უსაქმურობის, მუქთახორობის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინების ფაქტების, ნაციონალისტური და რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ. გავაძლიერებთ ინდივიდუალურ-აღმზრდელობითს მუშაობას თითოეულ მომავალ მეომართან უშუალოდ შრომითს და სასწავლო კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილებში, გასაწვევთა ოჯახებში. უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ ახალგაზრდობასთან მუშაობაში პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, თადარიგის მეომრები. ერთი სიტყვით, წინ დიდი მუშაობა მოგველის.

**— გაზაფხული არა მარტო გაწვევის, არამედ აგრეთვე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროა იმათთვის, ვინც აპირებს სამხედრო სასწავლებელში შესვლას, და აქ სამხედრო კომისარიატების მოვალეობაა, დაეხმარონ ახალგაზრდებს სამხედრო პროფესიის არჩევაში...**

— რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ყველა დაინტერესებული სამინისტროსა და უწყების მეცადინეობის კოორდინაციას ამ საქმეში უკვე მოჰყვა საკმაოდ კარგი შედეგები. გაიზარდა ახალგაზრდების მისწრაფება სამხედრო სასწავლებლებში სწავლისადმი. 1984 წლიდან ჩვენი ქვეყნის ყოველ სამხედრო უმაღლეს სასწავლებელში საქართველოს წარმომადგენლობს სულ ცოტა ორი კურსანტი, ამასთან ბევრი მათგანი მაღალმთიანი და სოფლის რაიონების წარგზავნილია. ახლა მეტი ახალგაზრდები შედიან საავიაციო და სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში. ბევრ ქალაქსა და რაიონში დამკვიდრდა ოფიცრის გმირული პროფესიის პროპაგანდის ეფექტიანი ფორმები, ეწყობა იმ ახალგაზრდების შეკრებები, რომლებმაც გადაწყვიტეს. შევიდნენ სამხედრო სასწავლებლებში. მათი შეხვედრები მეზღვაურებთან, მესაზღვრეებთან თუ მფრინავებთან.

მაგრამ აქაც ჯერ ყველაფერი რიგზე როდია. ბევრი ჩვენი წარგზავნილი ვერ უძლებს პირველ დატვირთვას, ვერ ითვისებს პროგრამას რუსულ ენაზე, იჩენს უპასუხისმგებლობას, შინ კი მათ ამზადებდნენ, ხარჯავდნენ სახელმწიფო სახსრებს, მათი იმედი ჰქონდათ! ამიტომ ჩვენი ამოცანაა, უწინარეს ყოვლისა კომკავშირულ ორგანოებთან, მშობლებთან ერთად კონკრეტულად ვიმუშაოთ სასწავლებლად გაგზავნის თითოეულ კანდიდატთან, რათა მას კარგად ესმოდეს თავისი მომავალი პროფესიის სპეციფიკა, ჰქონდეს საკმარისი ცოდნა, პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი რესპუბლიკის წინაშე, რომელმაც იგი სასწავლებლად წარგზავნა.

**— პატივცემულო ლევან, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ტრიბუნიდან ითქვა, რომ გასაწვევი კომისიების მუშაობის ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კარგად აღჭურვილ გასაწვევ პუნქტებზე.**

— გასაწვევი (შეკრების) პუნქტი — ეს არის შესაბამისად აღჭურვილი სათავსების კომპლექსი, სადაც წარმოებს პრაქტიკულად მთელი მრავალმხრივი მუშაობა მომავალ მეომართან. აქ უნდა იყოს ყველაფერი იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჭედვა, აურზაური, შეცდომები, გაურკვევლობა, შევქმნათ მშვიდი, კეთილმოსურნე სამუშაო ატმოსფერო. მხედველობაში გვაქვს არა მარტო გასაწვევებისათვის ხელსაყრელი გარკვეული წესით განლაგებული ოფთალმოლოგიის, ოტოლარინგოლოგიის, სტომატოლოგიის, ნევროლოგიის, თერაპიის, ქირურგიის კაბინეტები, არამედ აგრეთვე გარდერობი, გასახდელები, ოთახები დოკუმენტების გაფორმებისა და შემოწმებისათვის, ბუფეტი და, რა თქმა უნდა, აგიტპუნქტი, სადაც იქნება ტელევიზორი, მოძრავი კინოდანადგარი, კარგად გაფორმებული თვალსაჩინო აგიტაცია, გაზეთები, ჟურნალები, სამაგიდო თამაშები. სწორედ აგიტპუნქტში ხვდებიან გასაწვევებს, აწყობენ მათთვის საუბრებსა და ლექციებს. სხვათა შორის, აგიტპუნქტების მუშაობა წარმოებს პარტიის რაიონულ კომიტეტებთან შეთანხმებული გეგმების თანახმად.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრია პრობლემა, რომლებიც უსწრაფეს გადაჭრას საჭიროებს. ჩვენი სამხედრო კომისარიატების თანამშრომლები, რომლებიც რეალურად აფასებენ თავიანთი მუშაობის შედეგებს, გრძნობენ მთელ პასუხისმგებლობას პარტიისა და ხალხის წინაშე, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ამ გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს არმიამ და ფლოტმა საქართველოდან ღირსეული შევსება მიიღონ.

წარმატებით სამსახურს გისურვებთ, ახალგაზრდა თანამემამულენო!


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯარისკაცი და მხატვარი

თედორე სერგიენკომ ბრძოლებით სავსე გზა გაიარა სტალინგრადიდან ბერლინამდე და გამარჯვება რაიხსტაგის კედლებთან იზეიმა. წარუშლელი კვალი დატოვა მის ცხოვრებაში დიდმა სამამულო ომმა, როგორც კი ოდნავ მიყუჩდებოდა ცეცხლი, ჭაბუკი მხატვარი ნაჩქარევად იხატავდა თანამებრძოლთა პორტრეტებს, მათი გმირული ბრძოლის მომენტებს.

თავის ფერწერულ ნამუშევრებში: „დაბრუნება“, „მძაფრი ბრძოლის შემდეგ“, „მეგობრის მოგონება“; პორტრეტებსა და პეიზაჟებში თედორე სერგიენკო ღრმად ჩასწვდა ცხოვრების სინამდვილეს.

1947 წელს პოლკოვნიკი თედორე სერგიენკო თბილისში ჩამოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში სამსახურის გასაგრძელებლად. მან აქვე დაამთავრა სამხატვრო აკადემიასთან არსებული სამხატვრო სტუდია. მალე თედორე სერგიენკო, როგორც ნიჭიერი შემოქმედი, მხატვართა კავშირის წევრად მიიღეს. ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის, საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებში სისტემატური მონაწილეობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მას საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება მიენიჭა.

მხატვარმა საქართველოს მდიდარ ბუნებას მრავალი პეიზაჟი მიუძღვნა.

თედორე სერგიენკოს დიდი დამსახურება მიუძღვის ნორჩი მხატვრების ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

მისი სახლის წინ მდებარე პატარა ფლიგელი-სახელოსნო მუდამ სავსეა ხატვაზე შეყვარებული ბავშვებით.

თედორე სერგიენკო საქართველოს მხატვართა კავშირში სამხედრო-საშეფო კომისიას ხელმძღვანელობს.

**იამზე ბასილია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გზა.

თედორე სერგიენკო

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი.

პეიზაჟი.









ეროვნული ბიბლიოთეკა



## გიორგი ოჩიაური

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

დიდების მემორიალი გამარჯვების პარკში.
მოქანდაკე გიორგი ოჩიაური.
არქიტექტორები: ალექსი მესხიშვილი, კიაზო სახუცრიშვილი, ოთარ ლითანიშვილი.





წლები.

ფოტოეტიუდი ვლადიმერ გულიაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო ლეჩუაშვილი

# ლირიკა



## სახელოსნოში

პალიტრა, ტილო,
                ტილოზე ვაზი,
ორიოდ სუნთქვა,
                სამიოდ ხაზი,
კედლებზე ხედვა,
                მკაცრი და ნაზი,
ფიქრთა სიუხვე,
                ფერების განძი,
აზობოქრება ნიჭის
                        და აზრის,
თაყვანისცემა სივრცეს
                და მანძილს...
გიტარის სიმი,
                ნაოჭი ფარდის,
მოლბერტი, ფუნჯი,
                ნატეხი ფანქრის..
სულ ორიოდე პატარა ხაზიც
        და ატირდება ტილოზე
ვაზი...

* * *

მიწის ყივილი მეძახის
        ჩემი მთისა და ბარის,
ცაში აფრენა არწივის,
კლდიდან მოთქმა ზვავის,
        წვიმების თავსხმად მოდენა,
ღამე წიწინი ქარის,
        ხევ-ხუვში ირმის ბღავილი,
შეყრა ფურის და ხარის.
        ჩემი იორი მეძახის,
მწვანედ ბიბინი ჭალის,
        ჩემი ფშავი და არხოტი,
ლექსად ყიალი ჩარგლის,
        ჩემი ლელა და კვირია,
ფიცი ხევსური ჯარჯის,
        გელათის ცისად თრთოლება,
ჩუქურთმად მღერა ზარზმის,
        ალაზნის ველთა სიუხვე,
ხმა მიტოვებულ ბაჩლის,
        ივრისპირს ბერი წნორები,
ჩუმად შრიალი ცაცხვის,
        ნისლების რუხად გოდება,
უხმოდ კრიალი ჯანღის,
        ჯიშად დარწევა აკვნების,
ნაღდად ტირილი ბალღის.
        მე ცის სილურჯე დამახრჩობს,
ზღვების სიმწვანე დამჭრის.
        მე ეს სიმღერა დამათრობს,
მე სიყვარული დამღლის...
        მიწის ყივილი მეძახის,
მთაში გოდება ჯანღის!

* * *

ოქროდ იკრიფება მზე,
ფეხად ჩამოვა ცა,
წამად გაფრინდება დღე,
კოზზით დაილევა ზღვა.
თუ კი დღეს არ მოხვალ შენ,
უცებ გათავდება გზა,
ხვალ აღარ შეგხვდები მე,
ზეგ იქნებ იპოვო სხვა...
ოქროდ იკრიფება მზე,
კოვზით დაილევა ზღვა.

* * *

ღრუბელს ეპატიება,
        უყვარს ცაზე ტანტალი,
მეორესთან შეხვედრა,
        დიდხანს ენის ჭარტალი,
ტყუილის თუ მართალის,
        ძველისა თუ ახალის,
იმ ცისა თუ ამ ცისა,
იმ მთისა თუ ამ ბარის,
ჭორის მეხად გახეთქვა,
        ელვად კვეთა ღამ-ღამით,
მთელ ცისეთში მოდება,
        საწყლად წვიმის კანკალი,
ძუნწი მთვარის შერყევა,
        ლურჯი მთების ზანზარი,
ნაჭარმაგალ მუხებსაც
        დაატყდებათ თავზარი,
თავქაღარა კლდეებსაც
        დაეტყობათ ნაზზარი,
ნეტავ ვისი ბრალია,
        ეს თქეში და ავდარი?!
ღრუბელს ეპატიება,
        უყვარს ცაზე ტანტალი,
მეორესთან შეხვედრა,
        დიდხანს ენის ჭარტალი!..

## დადნაფიც გვანცას

რა მონატრება სცოდნიათ ჭალებს,
        როგორ მაკლია მთანი,
რამ გამახსენა ვიწრო ბილიკი
        და ივრის ფშანი...
        — დიდია ფშავი!
თითქოს ჩამესმის: ტირის წნორი,
        ბოდავენ გზანი,
თითქოს მიხმობენ, მეძახიან
        ველზე თავთავნი,
ეს დალოცვილი, დიდია ფშავი!
        გამახსენდება ის ფიც-ვერცხლი,
        ხანჯლის კამკამი.
ის წმინდა სისხლი,
        ის ტკივილი, ცრემლში წამწამი...
შენც მოგანატრებს ეგ ჭრილობა
        ჭალებს, ბილიკებს,
თავს მოგაწყურებს კამკამა ფშანი.
        შენც მიემატე, როგორ გაშლილა,
როგორ გაზრდილა პატარა ფშავი!..

* * *

უკვე მაბოდებს გაზაფხული ფეთქებადი,
        მზეფოთოლა და მწვანეთვალება,
თეთრი აპრილის ნუშის რტოებად
        აზავთება და აფარფატება,
უკვე მეძახის, უკვე მახელებს
        ცისა და მიწის ფერთა ქანება,
გაყვავილება, გადაკვირტება,
        გადანასკვა და გასხმარტალება!
უკვე მაგიჟებს, უკვე მახელებს
        თეთრი აპრილის თეთრად ზმანება!

* * *

სულ პატარა სურვილი ვარ,
        მოკასკასე,
ერთი ბეწო მონატრების
        თარეში.
სულ პატარა წყურვილი ვარ
        მოკამკამე
და ვბინადრობ სიყვარულის
        ქარებში...
ჩამიფიქრე, იქნებ ერთხელ
        აგისრულდე...

* * *

დავაფრთხე შიში,
        შევირიგე სიტყვის თაველი,
გავყარე კრთომა, მორიდება,
        მოუცლელობა,
რითმების რაშით მოვიარე
        ლექსთა მთა-ველი,
მეპატიება:
        პოეტია ყველა ფშაველი!

* * *

სანთელივით მოალე,
        მე ვარ შენი მოვალე,
სევდასავით ნატიფი,
        მე ვარ შენი სათიბი,
ფრთაფარფატა სურვილი,
        მე ვარ შენი წყურვილი,
როგორც წყაროს ჩანჩქარას,
        დამეწაფე ჩქარ-ჩქარა.

მოდი მალე, ვალი დამიბრუნო,
ბალახი ვარ, აღარ გამახუნო!

* * *

ცვიოდა ფანტელი,
        ცვიოდა რამდენი,
სციოდათ ბეღურებს,
იწვოდა სანთელი,
ყიოდა მამალი,
        ბარდნიდა ზამთარი,
შიოდათ ბეღურებს...
        დამთავრდა ზღაპარი...

## გოგი ჩოგოვაძის ხსოვნას

ისევ ცხრამეტი წლისა ვარ,
ისევ ყაყაჩოს ვეტრფი,
რამდენი დამრჩა ოცნება,
რამდენი რამე ვერ ვთქვი.

„ისევ ჭახჭახებს თოლია,
ისევ ჩურჩულებს ვერხვი,
სამშობლოს გულში ვიხუტებ,
მეცა ვარ ერთი ფესვი.

ლამაზი დამრჩა სიცოცხლე —
მზისკენ მავალი ლექსი,
მეგობრობის და კაცობის
სულ ბოლო თასიც შევსვი,..

ისევ ცხრამეტი წლისა ვარ,
ისევ ყაყაჩოს ვეტრფი,
რამდენი დამრჩა ოცნება,
რამდენი რამე ვერ ვთქვი...

# საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ გაბრიაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

1941 წელს, როცა ქვემეხების ქუხილმა დიდი სამამულო ომის დაწყება გვამცნო, გრიგოლ გაბრიაძე საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე იდგა. იგი, როგორც სერჟანტი, გულმოდგინედ ეუფლებოდა სამხედრო ხელოვნებას. ლენინური კომკავშირის აღზრდილი, მალე საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი გახდა. მის წარმატებებზე ხშირად წერდნენ ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთები „სოვეტსკი კავალერისტი“ და „სოვეტსკი არტილერისტი“. 1940 წელს გ. გაბრიაძე კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

სერჟანტმა გ. გაბრიაძემ ჟიტომირის მახლობლად მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. ხელჩართულ შეტაკებაში სამი ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს. იგი ბრძოლების შუაგულში ტრიალებდა, მუდამ მოიერიშეთა პირველ რიგებში იდგა.

მტერთან შეუპოვარ, უთანასწორო ბრძოლაში ყუმბარის ნამსხვრევებით მძიმედ დაიჭრა მკერდსა და ფეხში, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ დაუტოვებია მაშველი ძალების მოსვლამდე. შემდეგ კუიბიშევის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მოათავსეს.

1942 წლის გაზაფხულზე ექიმების რჩევით ცოტახნით მშობლიურ სოფელ ძუყნურში ჩამოვიდა დასასვენებლად.

— ჩემს გრიგოლს შინ გული არ უდგებოდა, — იგონებდა გმირის დედა, ოთხმოც წელს მიღწეული მოხუცი, კარგი მოქართულე გალინა ქარქაშაძე, — ღამით იშვიათად ეძინა, ხშირად ბოლთას სცემდა; ახლაც კარგად მახსოვს მისი სიტყვები: მე აქ რა მინდა, ჩემი ამხანაგები იქ სისხლს ღვრიან, ჩემი ადგილი მათ გვერდით არისო.

გ. გაბრიაძე მისივე თხოვნით სამხედრო სასწავლებელში გაგზავნეს. 1942 წლის შემოდგომაზე მან წარმატებით დაამთავრა მოკლევადიანი სამხედრო სკოლა, მიიღო ლეიტენანტის წოდება და ერთ-ერთ პოლკში ოცეულის მეთაურად დანიშნეს.

ფრონტზე მიმავალი მშობლებს სწერდა: „მტერი საქართველოს აოხრებასაც ცდილობს. შურისძიებით ანთებული მივდივარ კავკასიის მთებში საბრძოლველად, რათა ფაშისტებმა ფეხი ვერ დაადგან ქართულ მიწას“.

დიახ, მტრის ჯარები კავკასიის მისადგომებთან იყვნენ და გააფთრებული ბრძოლებით მოიწევდნენ წინ. საბჭოთა მეომრები სიცოცხლეს არ ზოგავდნენ ფაშისტთა ურდოების შესაჩერებლად. გ. გაბრიაძის ოცეული იბრძოდა ქ. ორჯონიკიძის მისადგომებთან. შემდეგ მტრის გამაგრებულ ზღუდეში შეიჭრა, არტილერიისა და ნაღმსატყორცნების მძლავრი ცეცხლის საფარქვეშ გაანადგურა მოწინააღმდეგე. ამ ოპერაციის შესრულებისათვის გ. გაბრიაძე და მისი ოცეულის მებრძოლები მთავრობის ჯილდოზე წარადგინეს. მალე ოცეულმა ბრძოლით გადალახა მდინარე თერგი, შეიჭრა გერმანელთა განლაგებაში და მტერს ხელჩართული ბრძოლა გაუმართა.

სულ მალე გრიგოლი უფროსი ლეიტენანტი გახდა და ასეულის მეთაურად დანიშნეს. ჰიტლერელებმა არაერთხელ სცადეს მისი ასეულის თავდაცვის ზღუდის გარღვევა. ხან ერთ, ხან მეორე უბანზე მიჰქონდათ იერიში. მოულოდნელად მოწინააღმდეგის მხრიდან ცაში ზედიზედ რამდენიმე შუშხუნა ავარდა. ყველაფერი დღესავით განათდა. გ. გაბრიაძემ წუთიერი განათებით ისარგებლა და მიდამოს თვალი მოავლო. მან სწრაფად განსაზღვრა ფაშისტთა განლაგების ადგილი, ასეული შეტევაზე წაიყვანა და მტერს ხელდახელ ეკვეთა. გერმანელები არ მოელოდნენ თავდასხმას და გაქცევით უშველეს თავს. გ. გაბრიაძის ქვეგანაყოფმა მისდია მტერს და მუსრი გაავლო. ამ ბრძოლებში გრიგოლი დაიჭრა. ჭრილობა შეუხვიეს, მაგრამ იგი მხოლოდ ბრძოლის დამთავრების შემდეგ წავიდა ჰოსპიტალში.

გრიგოლი მალე გამოჯანსაღდა და ახლა ყუბანის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება. მისი ასეული მრავალი დასახლებული პუნქტის განთავისუფლებაში მონაწილეობდა. გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკ პორფილე ჩანჩიბაძის ნაწილებსა და შენაერთებში მუდამ მოწინავე ხაზზე იმყოფებოდა გაბრიაძის ასეული.

დაიწყო ბრძოლა ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის, რომელიც გერმანელებს საგულდაგულოდ გაემაგრებინათ. გაბრიაძის მეომრებმა ხელჩართულ ბრძოლაში მრავალი ფაშისტი გაჟლიტეს და მტრისათვის წართმეულ ზღუდეზე მტკიცედ განლაგდნენ. გერმანელები ვერ შეურიგდნენ მარცხს, თავიანთი ჯარისკაცების გვამებზე გადადიოდნენ და გაბრიაძის მიერ დაკავებული ზღუდისაკენ მიძვრებოდნენ. მეთაურმა ასეულს უბრძანა, ცეცხლი გაეხსნათ და მტერი ახლოს მოეშვათ. ფაშისტებმა იფიქრეს, დავჯაბნეთო და წელგამართულები ღრიანცელით წამოვიდნენ. რამდენიმე მეტრიღა იყო დარჩენილი ზღუდემდე, რომ ერთდროულად ამოქმედდა ასეული და ორმოცზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტა. ცოცხლებმა გაქცევით უშველეს თავს. ტამანზე გამარჯვების დროშა აფრიალდა.

1943 წლის 30 დეკემბერს ზღვისპირეთის არმიის ჯარებმა ქერჩის სრუტის გადალახვა დაიწყეს, ნაწილები ღამით გადასხეს. სრუტეზე პირველი გ. გაბრიაძის ასეული გადავიდა. მას ბატალიონის სხვა ასეულებიც მიჰყვნენ. ასეულმა ხელსაყრელი ზღუდე დაიკავა. განსაკუთრებით მძიმე დღე აღმოჩნდა 1944 წლის 22 იანვარი. მთელ დღეს არ შეწყვეტილა დილიდანვე გაჩაღებული სისხლისმღვრელი ბრძოლა, მხოლოდ ორასი მეტრით შეძლეს წინ წაწევა. ამ ასეულის ყოფილი მებრძოლი გ. გიორხელიძე თავის მოგონებაში წერს: „კარგად ვხედავდი, როგორი გააფთრებით იბრძოდა მთლიანად სისხლში მოსვრილი გ. გაბრიაძე. ის დაჭრილი იყო, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ დატოვა“.

1944 წლის 22 აპრილს დაიწყო სევასტოპოლისათვის ბრძოლები. აქ ერთ-ერთი სიმაღლე გერმანელებს ძნელმი-

# საბჭოთა კავშირის გმირები

სადგომ სიმაგრედ ექციათ, რომლის აღებაც გ. გაბრიაძის ასეულს დაევალა. მეთაურმა გადაწყვიტა, იერიშის დაწყებამდე გაენადგურებინა სიმაგრის წინა ხაზზე განლაგებული მტრის სატყვიამფრქვევე წერტები, რომლებსაც თვითონ ორი მებრძოლის თანხლებით ხოხვით მიუახლოვდა და ხელყუმბარებით მოსპო მტრის ერთი დაზგისა და ორი ხელის ტყვიამფრქვევი. ამის შემდეგ მისმა ასეულმა ელვისებური იერიშით დაატოვებინა მტერს სიმაღლე.

ასეულს ახალი დავალება მიეცა: უნდა გაეთავისუფლებინა ხუტორი კირიკი. გ. გაბრიაძის საზრიანი მოქმედებით მეომრებმა ხუტორის მისასვლელთან მდებარე ჭაობი გადალახეს და მტერს იმ მხრიდან შეუტიეს, საიდანაც იგი საფრთხეს არ მოელოდა.

მეომრები მტერს ყოველი მხრიდან ურტყამდნენ. ალყაშემორტყმულმა მოწინააღმდეგემ ცეცხლი შეწყვიტა. ხუტორი გაათავისუფლეს. ბრძოლის ველზე დარჩა ფაშისტთა გვამები და ბევრი სამხედრო აღჭურვილობა. ტყვედ ჩაიგდეს მტრის რამდენიმე ჯარისკაცი და ოფიცერი.

7 მაისს სევასტოპოლში გამაგრებულ მტერს შეუტიეს. ცეცხლის ალი გიზგიზებდა მის მისადგომებთან. უთანასწორო სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა დასახლებული პუნქტისათვის, დილით ადრე ჩაება ბრძოლაში გაბრიაძის ასეული. მტრის ტანკები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ, მდგომარეობა გართულდა. ბრძოლის ველზე ცეცხლის კორიანტელი დადგა. გ. გაბრიაძის ასეული, რომელიც ამ დროს ბატალიონის მარცხენა თავზე იდგა, განუწყვეტელი ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა გათავხედებულ მტერს. ტანკები წინ მოიწევენ. არ დაიბნა გაბრიაძე, პირველი გასროლილი ხელყუმბარით მეწინავე ტანკი იმსხვერპლა, მას მოჰყვა მეორე. იგი ამ კრიტიკულ მომენტში, როგორც ყოველთვის, ავანგარდში იმყოფ ე ბ ო დ ა, ბრძოლა საბჭოთა მეომრების სასარგებლოდ წარიმართა. მტერი უკუიქცა.

გ. გაბრიაძის ასეულის წინაშე ახალი ამოცანაა — მთის შემოვლით სოფელ კამიშლში შეიჭრას და ხელთ იგდოს იგი. მის აღებას ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის. 19 აპრილს, განთიადისას, დაიწყო საარტილერიო მზადება. ჰიტლერელთა სანგრებში ცეცხლის ალია, არტილერიის განუწყვეტელი ცეცხლი სანგრიდან სანგარში გადადის. იგი რამდენიმე წუთს გრძელდება. მტერი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, რომ ყუმბარებისაგან ანგრეულ სანგრებში პირველნი გაბრიაძის ასეულის ჯარისკაცები შეიჭრნენ. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

— წინ! წინ! — ისმის გაბრიაძის მჭექარე მოწოდება, ჯარისკაცებიც მასთან ერთად თავგამოდებით მიიწევენ წინ, სევასტოპოლისაკენ, მაგრამ აქ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ქარცეცხლში, მტრის ყუმბარის ნამსხვრევმა განგმირა გრიგოლი. ვაჟკაცურად დაეცა მამულის ერთგული შვილი, საბრძოლო მწყობრს გამოაკლდა 26 წლის მამაცი ქართველი მეთაური.

დამწუხრებულმა მეომრებმა მიწას მიაბარეს მეთაური. საფლავზე გაისმა ფიცი:

— მტერს ასმაგად ვაზღვევინებთ შენს სისხლს, საყვარელო მეთაურო!

ასეულის პირადი შემადგენლობის ეს ფიცი ავტომატების ჯერმა დაფარა. ეს ნიშანი იყო იმისა, რომ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულიყო, შეტე ვ ა გრძელდებოდა.

დაღუპვიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1945 წლის 28 მარტს, საბჭოთა პრესის ფლაგმანი გაზეთი „პრავდა" იტყობინებოდა, რომ უფროს ლეიტენანტს გრიგოლ ივანეს ძე გაბრიაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გ. გაბრიაძის ცხოვრების გზა, სისხლით დაწერილი მისი ბიოგრაფია საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

გმირის ოჯახში სათუთად ინახავენ ფრონტიდან გამოგზავნილ, დროჟამისაგან გაყვითლებულ, გაცრეცილ სამკუთხა ბარათებს. შთამბეჭდავი სიწრფელითა და უშუალობით, სიმართლითა და ალალი გულით არის ნაწერი ეს ბარათები ბრძოლის ცეცხლსა და გრიგალში, წუთშესვენებაზე, მიწურსა თუ სანგარში. გეჩვენებათ, რომ ამ ბარათებს თითქოს ახლაც დენთის სუნი ასდით. უკანასკნელ წერილში გრიგოლი მეუღლეს სთხოვს, რომ გაუგზავნოს მისთვის უცნობი მეორე ქალიშვილის თამარის სურათი. მეუღლემ თხოვნა შეუსრულა, მაგრამ ამ წერილმა ვეღარ მიუსწრო გრიგოლს (გრიგოლ გაბრიაძის ფრონტული ბარათები შეტანილია ა. კოკილაშვილის მიერ შედგენილ კრებულში „ლაპარაკობენ დაღუპული გმირები").

დიახ, ამაყობდნენ მშობლები, ამაყობენ მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, მთელი სოფელი და რაიონი.

გმირის მეუღლემ ე. სირბილაძემ ოთხ ათეულ წელზე მეტი დრო მოახმარა ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს; იგი ძუყნურის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად მუშაობდა. მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, ამასთანავე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. წლების მანძილზე არჩეული იყო სასოფლო საბჭოს დეპუტატად. მისი თაოსნობით ბევრი რამ გაკეთდა სოფლის საკეთილდღეოდ.

გმირის ოჯახის წევრებმა, ახლო ნათესავებმა 1967 წელს სევასტოპოლის მახლობლად, სოფელ ვერხნესადოვოეში, ინახულეს გრიგოლ გაბრიაძის საფლავი. ცხარე ცრემლებით დაიტირეს საყვარელი ადამიანი, საფლავზე მოაბნიეს მშობლიური სახლის ეზოდან აღებული მიწა და ყვავილები დარგეს. ამ დღიდან მეგობრული კავშირი დამყარდა ვერხნესადოვოეს და ძუყნურელ მშრომელებს, ვერხნესადოვოეს რვაწლიან სკოლასა და ტყიბულელ მოსწავლეებს შორის.

დიდების ნაკვალევზე მოწყობილი ექსკურსიების მუდმივ მარშრუტში შევიდა გრიგოლ გაბრიაძის საფლავის პატივისცემა ვერხნესადოვოეში, სადაც გასულ წელს, ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით იმყოფებოდა ტყიბულელთა 40-კაციანი დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ გმირის ახლო ნათესავები, სიყრმის მეგობრები, ომისა და შრომის ვეტერანები, მოწინავე კოლმეურნეები, სოფლის ახალგაზრდები. აქ გაიმართა ინტერნაციონალური ძმობის მიტინგი და გმირის საფლავზე აღიმართა გრანიტის ფილა წარწერით: „სახიქადულო მამულიშვილს — მადლიერი თანასოფლელებისაგან".

უკვდავებას ეზიარა ქართველი გმირი:

ვერხნესადოვოეში ძმათა სასაფლაოზე აღმართულია გრიგოლ გაბრიაძის უნიკალური ძეგლი.

ვერხნესადოვოეს ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებული აქვს გრიგოლ გაბრიაძის სახელი.

**გივი გეწაძე,**
გაზეთ „ტყიბულის" რედაქციის განყოფილების გამგე.



რაჟდენ ბარციცი. (ცხოვრობს გაგრაში).



ალექსანდრე პირმისაშვილი. (ცხოვრობს თბილისში).

ივანე გვენცაძე. (ცხოვრობს თბილისში).



# ნაძალადევის სამკითხველოს კურთხევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის იუბილესათვის, ერთხელ კიდევ ვავლებთ თვალს მის სწორუპოვარ შემოქმედებას და ცხოვრებას, მის ღვაწლსა და ამაგს, მის ერისკაცობას, პირდაპირ გაკვირვებას იწვევს მისი ტიტანური შრომა. სად აღარ სწვდებოდა მისი თვალი, გონება... განა უმისოდ რაიმე საკითხი გადაწყდებოდა? დიდი იყო თუ პატარა, ყველა კეთილი საქმე მისგან იწყებოდა და მისგანვე გვირგვინდებოდა.

ან სად იცლიდა და ყველაფერს თავის მზრუნველ ხელს როგორ დაატყობდახოლმე, ის დალოცვილი!

ამას წინათ ერთ ოჯახში სრულიად შემთხვევით წავაწყდი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფერდაკარგულ ნომრებს (ჟურნალი იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა). მათ შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო 1924 წლის № 15 (18)-ში მოთავსებულმა სოსო მაჭავარიანის მოგონებამ „ნაძალადევის სამკითხველოს კურთხევა“. მასში მოთხრობილია ნაძალადევის მუშათა სამკითხველოს გახსნისა და კურთხევის შესახებ, რასაც თურმე ილია ჭავჭავაძე დასწრებია.

აი ეს მოგონებაც მცირეოდენი შემოკლებით:

„არ მახსოვს სწორედ, 1903 წ. იყო მგონი, ჩოჩქოლი შეიქმნა, ტფილისის მუშათა წრეებში: კვირას ნახალოვკის სამკითხველო უნდა აკურთხონ და იქ მიდიან ი. ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძეო. მუშები და მათი ხელმძღვანელები ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ: კრებები კრებებზე იმართებოდა, თუ როგორ შევხვდებოდით....

კვირა დღე იყო. ჯერ კიდევ დილით ადრე აუარებელ მუშებს მოეყარა თავი და ელოდნენ, რომ სამკითხველოს ეს კურთხევა, გადაექციათ მიტინგად და მიეცათ ნამდვილი პოლიტიკური ხასიათი... აგერ მღვდელიც მოვიდა. მღვდელიც იმ ბანაკს ეკუთვნოდა, ვისაც ჩვენ მოველოდით... შემოვეხვივენით და ვკითხეთ: ჭავჭავაძე და სხვები მოდიოდნენ თუ არა. მან გვითხრა „მოვლენო“ და ჩვენც ველით მოუთმენლად, ძარღვებდაჭიმულნი. პირველად მოვიდა არჩილ ჯორჯაძე. მაგრამ ჩვენ მაშინ ის იმდენად არ გვაინტერესებდა, რადგანაც ახლად იყო სამწერლო ასპარეზზე გამოსული...

ილიამ დააგვიანა, თორმეტმა საათმა მოატანა, მღვდელმა გამოაცხადა, რომ ალბათ გადაიფიქრა, თორემ აქამდის არ დაიგვიანებდაო. ის იყო, უნდა შევდგომოდით წესის ასრულებას გულნატკენნი, რომ უცებ მოგრიალდა ეტლი. ეტლიდან გადმოვიდნენ: ილია ჭავჭავაძე, არტემ ახნაზაროვი (ჩიორა) და დემურიას ქალი... შემოვიდნენ სამკითხველოში. ჩვენც დავირაზმენით, თუ ილია სიტყვას იტყოდა, პირველი საპასუხო სიტყვა უნდა ეთქვა გ. თელიას. მღვდელმა გაათავა თავისი მოვალეობა და შევყურებდით ილიას, მაგრამ მან არაფრის თქმა არ მოინდომა: ამოიღო ერთი თუმანი, შესწირა სამკითხველოს და გამოვიდა გარეთ ეტლში ჩასაჯდომად. აუარებელ მუშა ხალხს მოუყრია თავი და ყველა ელის სიტყვის თქმას... სანამ ილია ეტლში ჩაჯდებოდა, თელიამ დაიწყო თავისი სიტყვა და შესანიშნავად დაასურათა მაშინდელი ორი მიმდინარეობა ჩვენში. ჭავჭავაძე დიდი ყურადღებით ისმენდა ბოლომდის, ილია წავიდა. შეგვრჩა ხელში არჩილ ჯორჯაძე და თითქმის მზის ჩასვლამდის ვკამათობდით მასთან. მახსოვს, არჩილის უკანასკნელი სიტყვები, გამომშვიდობების დროს ნათქვამი:

„მე დიდად კმაყოფილი ვარ თქვენი შეხვედრით, ჩემი თავი ევროპიელ მუშებთან მგონია... სასურველია, რომ ხშირად შევხვდეთ ერთმანეთსაო“.

ამ სიტყვებით დაგვშორდა არჩილი“.

მუშათა სამკითხველოს გახსნაში დიდი ილიას მონაწილეობა, მართლაც, ბევრ რამის მეტყველია.

იმ პატარა ქოხში მოთავსებულ „ნახალოვკის“ მუშათა სამკითხველოს დღეს ორსართულიანი შენობა აქვს დათმობილი. ახლა მისი წიგნადი ფონდი 50.000-ს აღწევს. ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები და მათი ოჯახის წევრები. ის ძველი „ნახალოვკაც“ ისეა სახეშეცვლილი და დამშვენებული მრავალსართულიანი შენობებით, ასფალტიანი გზებით, ხეივნებით, კულტურის კერებითა და სხვა ღირსებებით, რომ თვალსაც უხარია და გულსაც. ახდა დიდი ილიას თქმული:

„და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების“.

**ვახტანგ გორგანელი**



## იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმი

კარდენახში, კახეთის ამ ულამაზეს, ხილიან-ვენახიან სოფელში, პურ-ღვინითა და ალალმართალი ადამიანებით სახელგანთქმულ მიწა-წყალზე, პროფესიონალი რევოლუციონერის ელიოზ ნონეშვილის ღარიბ ოჯახში დაბადებულა იოსებ ნონეშვილი, მთელმა საქართველომ რომ შეიყვარა თავისი ჭეშმარიტი პოეზიის გამო.

მამით ადრე დაობლებულს, დიდი ვაივაგლახით ზრდიდა დედა, ხელაშვილის ქალი. ჯერ კიდევ თბილისის საშუალო სკოლის მოსწავლემ, დედაც — ერთადერთი იმედიც, დაკარგა და სამუდამოდ მოიშალა მისი მშობლიური კერაც კარდენახში.

საქვეყნოდ სახელგანთქმულ პოეტს, სიჭარმაგეში უჩვეულოდ მოეძალა თავის ნააკვნარზე სახლის გამართვისა და მამაპაპური კერის გაჩაღების სურვილი. სამწუხაროდ, ისე გაშორდა სამზეოს, ეს დიდი ხნის ნანატრი ოცნება ვერა და ვერ შეისრულა.

პოეტთან სამუდამო განშორების დღეს, როცა სამგლოვიარო პროცესია დიდუბისაკენ დაიძრა და თბილისის ცენტრალურ ქუჩებში ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა, ყველა ჩვენგანმა იგრძნო, რა მართალი შემოქმედი და დიდებული მოქალაქე დავკარგეთ.

იმ დღიდან შეუნელებელი ენერგიით დაიწყო პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად ზრუნვა: მას მიენიჭა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია (სიკვდილის შემდეგ), გურჯაანში, პოეტის მშობლიურ რაიონში, ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას იოსებ ნონეშვილის პროსპექტი ეწოდა და კარდენახში საფუძველი ჩაეყარა პოეტის სახლ-მუზეუმის მშენებლობას.

ამ ჭეშმარიტად სახალხო პოეტისადმი ხალხის განწყობილება მისმა მეგობარმა პოეტმა ასე გამოხატა: „აგისრულებენ ამ ნატვრასაც შენი სანდალა, შენი კახეთი და კარდენახი: და ნასახლარზე აშენდება სახლი პატარა და მის ეზოში იშრიალებს ბაღი, ვენახი“.

ეს სახლი უკვე აშენდა. იგი ახლა ამაყად და თავმომწონედ გადაჰყურებს ალაზნის ველს — ორსართულიანი, წითელი აგურით მკვიდრად ნაშენები ულამაზესი ნაგებობა. მის მშენებლობაში კარდენახელ და გურჯაანელ მშრომელებთან ერთად მხურვალედ მონაწილეობდნენ პოეტის მეუღლე ქალბატონი მედეა და ერთადერთი შვილი ალექსანდრე ნონეშვილი — არქეოლოგიური მეცნიერების ახალგაზრდა წარმომადგენელი.

იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმი, რომლის პროექტის ავტორია არქიტექტორი ირაკლი მოსულიშვილი, მხატვარ-დიზაინერი ნოდარ ჯობაძე, თავისი ორიგინალური ფასადით, ნათელი დარბაზებით, გრძელი და განიერი ვერანდით, ჰურ-მარნითა თუ პალატებით, უეჭველად ერთ-ერთი პირ-

**შალვა ჩირაძე**

მოთხრობა

# ნალმი

ათი წლის შემდეგ მოვიდა მხატვარი ამ პატარა ზღვისპირა სოფელში. შესცქეროდა იმავე მთებს, ზღვასა და ტყეებს, რომლებიც ომის დროს ყუმბარების ზათქსა და გრიგალში იწვოდნენ. ის მაშინ ოცი წლისაც არ იყო.

აი, ის მთა, ცას რომ აჰკვრია და გარინდებულა, ჯოჯოხეთის საზღვრად მიაჩნდათ მაშინ. ვინც ამ მთას გასცდება, უკან ველარ დაბრუნდებაო, ზღაპრად ამბობდნენ. ზღაპარი ზღაპრად დარჩა.

კიდევაც გადაიარეს და კიდევაც დაბრუნდნენ უკან.

ისიც მეომართა შორის იყო. მაშინ ვერავითარ სილამაზეს ვერ ხედავდა, ირგვლივ ყველაფერს სიკვდილისა და სისხლის ფერი დასდებოდა.

დღეს კი რაოდენ მშვიდია მთებში ჩაწოლილი ღამეები და მეწამული დაისები; სინათლით სავსე რიჟრაჟები და წყნარად მოლივლივე ზღვის სარკე, ფოთოლთა ნაზი შრიალი და ნაკადულების გაუთავებელი დუდუნი...

იგი დადიოდა მთა-მთა, ზღვის ნაპირებზე, მინდვრად, ტყეში, მის ნახატში იგრძნობოდა მთებში ამტყდარი ქარიშხლის ქროლა, ზღვის ტალღების ხმაური, ფოთლების შრიალი, ჩანჩქერების ჩუხჩუხი...

ამ მიდამოებში არავინ იცოდა მისი სახელი, ყველა მხატვარს უწოდებდა. გათენდებოდა თუ არა, ზურგზე მოლბერტს მოიგდებდა, იღლიაში საეტიუდო ყუთს ამოიდებდა და მიდიოდა. ხან კონცხზე მოიკალათებდა და საათობით გასცქეროდა ზღვას, ხან დილიდან საღამომდე ტყის პირას იჯდა, ხანაც, მდელოზე მიწოლილი, ფირუზისფერ ცას შესცქეროდა.

მღელვარედ ილვრებოდა ტილოზე ბუნების ფერები. თითქოს იგრძნობოდა იისა და გვირილის დამათრობელი სურნელება. მის ტილოებში ადამიანივით ცოცხლად იდგა მუხა, მოძრაობდა ღრუბელი, იცინოდა მზე და ყველაფერში უსაზღვრო სინათლე და სიკეთე გამოკრთოდა.

მხატვრის ოთახში არავინ შედიოდა, მაგრამ ყოველ საღამოს კუთხეში მაინც ზურგშექცევით დგამდა მოლბერტს. გაზაფხულიდან შემოდგომამდე ცხოვრობდა ამ სოფელში. ქალაქის ხმაურისაგან გამოქცეული, ბუნების წიაღში ეძებდა სიხარულს.

ერთი გოგონა მიევჩია. მისი ოთახის კარს მხოლოდ იგი შეაღებდა ხოლმე და მოკრძალებით მიმართავდა:

— შეიძლება, ძია?..

— მოდი, პატარავ! — მიუალერსებდა მხატვარი.

გოგონას ინტერესს უღვიძებდა იდუმალებით მოცული მოლბერტი.

— ის რა არის, ძია? — შეეკითხა ერთხელ გოგონა.

— არაფერი.

— მაჩვენე ეგ არაფერი!..

— არაფერი როგორ უნდა გაჩვენო?!.

— მე დავინახავ მაგ არაფერს, მაჩვენე! — არ მოეშვა.

მხატვარი ყოველთვის ღიმილით ეუბნებოდა უარს, მუდამ ალერსით ისტუმრებდა, მაგრამ ერთ დღეს ველარ გაუძლო ბავშვის მომლოდინე თვალებს და ნახატი აჩვენა.

ბავშვი უცებ წინ წაიწია, ია, რომელიც მუხის ძირას ამოსულიყო, ცოცხალი ეჩვენა და მოწყვეტა მოიწადინა, მაგრამ იქვე შეჩერდა. დაირცხვინა. მიხვდა, რომ მოტყუვდა. გაწბილებული შეტრიალდა და კარგა ხანს გაუნძრევლად იდგა ნახატის წინ. მხატვარი აღტაცებით შესცქეროდა ბავშვის უბიწო სახეს.

ბავშვი ხმას არ იღებდა, თითქოს ისიც ნახატად გადაიქცაო.

— ნატა! — გაისმა ამ დროს, — სადა ხარ?..

— აქა ვარ, დედა! — და ბავშვი ოთახიდან გავარდა.

მხატვარი საგონებელში იყო ჩავარდნილი: „სურათს რაღაც აკლია“. სწუხდა. ხანდახან მთელი კვირაობით მიატოვებდა ნახატზე ფიქრს, რომ მერე ახალი განცდით დაენახა თავისი ნამუშევარი და მიეგნო იმ ნაკლისათვის, რაც სრულყოფილებას სჭირდებოდა.

დღეს კი მხატვარს გონების თვალში, დიდ მუხასთან, გოგონას სახე წარმოუდგა. ახლა ის უკვე ნათლად ხედავდა კომპოზიციაში ჩასმულ პატარა ნატას. მხატვრის ფიქრებში იგი თანდათან შეეზარდა სურათს და გონებიდან ველარ იცილებდა.

აი, თურმე რა აკლდა... ადამიანი!.. ბუნებას ავსებს ადამიანი! მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი! აბა, რა არის ცა, მთები და მინდვრები, თუნდაც მზე უადამიანოდ?!

მხატვარი ახალ სურათს ხედავდა.

* * *

ერთ საღამოს ზღვისპირა ქალაქში საზეიმო შუშხუნებით აჭრელდა ზეცა. ცა ფერადი, ცეცხლოვანი ნაპერწკლებით იქარგებოდა. მახლობელ სოფლიდანაც მოჩანდა ეს ბრჭყვიალა წვიმა. იგი მარაოსებურად იშლებოდა, ცვიოდა და თანდათან ქრებოდა. ქვემეხების ყოველ ქუხილთან ერთად ხელახლა ენთებოდა ეს წამიერი სინათლეები.

ნატა აივანზე იდგა და გასცქეროდა ღამის სიბნელეში მიწიდან ცაში ატყორცნილ ვარსკვლავებს. ბავშვი ხარობდა. ის ყოველ გასროლას ითვლიდა. ოცი დათვალა და სალუტიც დამთავრდა. მან ხომ სწორედ ოცამდე იცოდა თვლა. ნატა კიდევ დიდხანს იცქირებოდა მაღლა. იქნებ ცა კიდევ გაბრწყინდესო, მაგრამ მაისის საღამოს მხოლოდ მუქურა მთვარე დაჰკიაფობდა.

* * *

მეორე დღეს ახალგაზრდები ტყისპირა მდელოზე გავიდნენ. ბავშვები დარბოდნენ, ყვავილებს აგროვებდნენ, ქალიშვილები გვირილებს წნავდნენ. ნატასაც დაეწნა გვირგვინი და ქერათმიან თავზე დაეხურა. ნეტავ, რას ფიქრობდა ნატა, ვინა ვარო?.. დედოფალი?.. ასე პატარა?.. იქნებ ფერია?.. ტყისა თუ მინდვრის?.. ზღვისა თუ მდინარის?.. არა, არც ერთისა და არც მეორის, ის იყო სიცოცხლის ფერია, როგორც ყველა ბავშვი.

ტყისპირა მდელოზე კი ქალ-ვაჟთა სიცილ-კისკისი ძლიერდებოდა, გარემოს საამური ხმები ავსებდა.

მხატვარი თავისი საქმით იყო გატაცებული, ეტიუდს ხატავდა. ესმოდა ბავშვების ჟრიამული, რომელიც ხან სადღაც შორს მიიკარგებოდა, ხან კი იქვე ახლოს გაისმოდა.

უცებ ბურთმა ხტუნვა-ხტუნვით ჩაუქროლა და შენიშნა, ნატა ბურთს რომ გამოედევნა. გოგონას თვალი ალერსიანად გააყოლა... და უცებ ბალახში დაყანგებული ლითონის კორპუსი შენიშნა... გოგონა სწორედ იქითკენ გარბოდა. შინაგანმა ძალამ მხატვარი უცებ წამოაგდო, დაუფიქრებლად მოსწყდა ადგილს, გოგონას დაეწია, სწვდა და გვერდზე მთელი ძალით მოისროლა. თვითონ კი თავი ვერ შეიკავა და ლითონის კორპუსს წაემხო... გაისმა ნალმის აფეთქების შემზარავი ხმა...

ველია ჩვენი რესპუბლიკის მემორიალურ სახლ-მუზეუმებს შორის.

იოსებ ნონეშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად აგებული ეს სახლი, გურჯაანის რაიონის მრავალ სხვა ათეულ საკლუბო-საბიბლიოთეკო დაწესებულებასთან, მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან, შინმოუსვლელთა დიდების მემორიალთან და ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმთან ერთად, უთუოდ დიდ წვლილს შეიტანს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

მაისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმი კარდენახში და იგი სიამოვნებით უმასპინძლებს ღვაწლმოსილი პოეტის მოქალაქეობრივი პათოსით აღსავსე შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

ეს პატარა წერილი მინდა დავამთავრო იოსების მეგობარი პოეტის სტრიქონებითვე: „..სულ იკიაფებ მშობლიური სიტყვის ლაზათში, შენი სანთელი მის ტაძარში მარად ენთება და დიდუბესთან ცრემლიანი ასიათასი შენს ნაკვნარსაც ნუგეშივით გაახსენდება“.

**ელიზბარ უბილავა**

**გიორგი პაპუაშვილი**

## იოსების გახსენება

კაცი იყავი, სიტყვა უნდა გითხრა კაცურად,
ლექსკაცი იყავ, ლექსით უნდა გაგესაუბრო,
შენმა ხომალდმა თავისი გზა ძლევით გასცურა
და აფრაგაშლით მიაშურა უკვდავ საუფლოს.

ალალი იყავ, გძულდა ვერაგთ ნამუზმუზევი,
ალალი კაცი, თავად იცი, რარიგ ძვირია.
ჰადრებს თავები დაუხრიათ, კრთიან მუზები —
ვინ გაიკვირვებს, დანანებით თუ მოგტირიან.

შენ რომ კვნესოდი, შენი კვნესით, მეც არ მეძინა
და, როცა წახველ, დაგეუფლა რა წამს ღრმა ძილი,
ჩემს სანუგეშოდ, ბედმა ჩემს შვილს ვაჟი შესძინა,
ჩანს, შენც დამლოცე, დამიტოვე სულის ნაწილი.

მისი აკვანი კარგ ვარსკვლავზე დამარწევინე,
„ვაი საწუთროვ, — რომ არა თქვას, —
ცრუო სოფელო!“

ლექსი არ მითქვამს ოცი წელი, შენ მათქმევინე,
უფროსო ძმაო, მეგობარო და ახლობელო!

შენი ქვეყნისთვის ჯილდო იყო შენი სიცოცხლე,
თორემ ნამცეცა მელექსეებს რა ემგოსნებათ?!
ან მათი რა ვთქვა, თითებით რომ ყურებს იცობენ,
თავის ხმის გარდა, რადგან არ სურთ სხვისი
მოსმენა.

ო, მაპატიე, თუ ვერა ვთქვი შენებრ კაცურად.
ან შენებური სინატიფით თუ ვერ ვსაუბრობ,
შენმა ხომალდმა თავისი გზა ადრე გასცურა
და სამუდამოდ დაივანა უკვდავ საუფლოს.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ივირონის მონასტერი

**ათენში გამომცემლობამ „ეკდოტიკი ათინონ“ დასტამბა არქეოლოგ სოტირის კადასის წიგნი „ათონის მთა“. აღნიშნული ნაშრომი მკითხველს აცნობს ათონის მთის სამონასტრო კომპლექსს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ქართული მწერლობისა და კულტურის უძველეს კერას ათონზე — ივირონის მონასტერს. ქართველ მკითხველს ვთავაზობთ თარგმანს ერთი ნაწილისა, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს ათონის ივერთა მონასტრის შესახებ.**

ივირონის მონასტერი მიძღვნილია ღვთისმშობლის მიძინებისადმი. ის მდებარეობს ქალკედონის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით თვალწარმტაცი ყურის ზემოთ, სწრაფი მდინარის ნაპირზე, კარიესიდან ფერდობით ნახევარი საათის სავალ მანძილზე.

მონასტერი აშენებულია მეათე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ცოტა უფრო გვიან, ვიდრე დიდი ლავრა და ვათოპედი. ის აშენდა ყოფილ წმ. კლემენტის ლავრის ნაფუძვარზე, ან მის მახლობლად. მონასტრის დაფუძნებასთან დაკავშირებულია იოანე იბერისა და იოანე-თორნიკეს სახელები. როგორც ჩანს, ეს ორი სახელი ერთსა და იმავე პიროვნებას ეკუთვნის, თუმცა ქართული წყაროები სხვაგვარად გვაფიქრებინებს. იოანე-თორნიკე იყო დიდებული იბერიის (საქართველოს) მმართველის დავითის კარზე, და ბიზანტიელი მოწესე. მან უარყო საერო დიდება და პატივი, რათა ბერად შემდგარიყო. იოანე-თორნიკემ ფიცი დადო მაკედონიის ერთ-ერთ მონასტერში და შემდეგ წავიდა ოლიმპის მთაზე. აქედან იგი წავიდა ათონზე, სადაც დაემკვიდრა ერთ განცალკევებულ ადგილას, ლავრის მახლობლად. მას საშუალება ჰქონდა, გასცნობოდა ათანასეს, დაახლოებოდა მას და ყოფილიყო მისი მოწაფე. მან თავის ვაჟთან ეფთვიმესთან და ძმისწულ გიორგისთან ერთად მოკლე დროში პრაქტიკულად შეისწავლა სამონასტრო ცხოვრება.

იმპერატორმა ბასილი II-მ მიიწვია ბერი თორნიკე დედაქალაქში, რათა ესარგებლა მისი ოსტატობით და მოეგვარებინა მთელი რიგი დიპლომატიური და სამხედრო საკითხები, განსაკუთრებით კი დახმარებოდა ამბოხების ჩახშობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სარდალი ბარდა სკლიაროსი — მეთაური იმპერატორის საწინააღმდეგო აჯანყებისა. თორნიკე დაემორჩილა საიმპერატორო კარის ბრძანებას, გაიძრო ბერის სამოსელი და დავით კურაპალატთან ერთად გაილაშქრა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ, რომლის აჯანყებაც ჩაახშო. შემდეგ თორნიკე დაბრუნდა ათონის მთაზე და შეუდგა მონასტრის მშენებლობას, უფრო სწორად, განაახლა და გაადიდა წმ. კლემენტის ლავრის ნაგებობანი. ეს ფართო მასშტაბის წამოწყება დაიწყო და დასრულდა იმპერატორისაგან მიღებული უხვი საჩუქრებითა და თორნიკეს მიერ ომში მოპოვებული ნადავლით.

თავდაპირველად ახალი მონასტერი იწოდებოდა ივირონად, მისი ფუძემდებლებისა და პირველი ბერების გამო, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ; ეს სახელი დღესაც შემორჩა მიუხედავად იმისა, რომ 1357 წელს პატრიარქ კალისტეს დადგენილებით ეს ქართული შენობა გადაეცა ბერძენ ბერებს, რომლებიც იმ დროისათვის რაოდენობრივად ჭარბობდნენ იბერებს.

თავისი არსებობის პირველი დღიდან, ვიდრე მეთოთხმეტე საუკუნემდე, განახლებული მონასტერი უმატებდა თავის სამფლობელოს მრავალ პატარა შენობას, როგორიცაა ლეონტიას მონასტერი თესალონიკეში, იოანე კოლოვუს მონასტერი იერისოში, წმ. საბას, ქალდოს, კასპაკოს და მრავალ სხვას. რა თქმა უნდა, ივირონი არ დარჩენილა ხელშეუხებელი ათონის მთაზე მრავალჯერადი თავდასხმების გამო. განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო მეკობრეებისა და უნიატების ჯარების, აგრეთვე ადრე, მეთოთხმეტე საუკუნეში, კატალონიელ დაქირავებულთა თავდასხმები. ყოველივე ამის შემდეგ პალეოლოგი იმპერატორები, სერბიის მთავარი სტეფანე IV დუშანი და განსაკუთრებით გორგორანელები — საქართველოს მმართველნი და მათი მემკვიდრეები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს მონასტრის აღდგენას.

მონასტერი განიცდიდა აყვავების ახალ პერიოდს, რომელიც გაგრძელდა მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულამდე, როდესაც სერიოზულმა ეკონომიკურმა კრიზისმა იჩინა თავი. მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ ეძებდნენ რა გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან, იბერები დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში, ხოლო მონასტრის გასაღები ჩააბარეს წინამძღვარს, ალექსანდრე VI-ს და სთხოვდნენ მას ფინანსურ დახმარებას. იბერებმა ამ მისიით მოინახულეს აგრეთვე მეზობელი ქვეყნები და შეძლეს, მოეპოვებინათ დიდძალი თანხა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა მათ არა მარტო დაეფარათ მონასტრის ვალები, არამედ აღემართათ ახალი შენობებიც. ბერების რიცხვი გაიზარდა და მოკლე ხანში სამასს მიაღწია.

მეჩვიდმეტე საუკუნის შუახანებში იბერი ბერები მეფე ალექსანდრეს მიწვევით ესტუმრნენ რუსეთს; მათთან საჩუქრად წაიღეს ღვთისმშობლის პორტაიტისას (კარიბჭის) ხატის ასლი, რომელმაც განკურნა მეფის სნეული ქალიშვილი. მეფე ალექსანდრემ მადლიერების ნიშნად, ნაცვლად ფინანსებისა, საჩუქრად უძღვნა მათ წმ. ნიკოლოზის მონასტერი, რომელიც მოსკოვის ცენტრში მდებარეობდა.

მრავალმა პატრიარქმა გაიზიარა ივირონის კეთილდღეობის საკითხი და არაფერს იშურებდნენ, რათა სხვადასხვაგვარი გზით დახმარებოდნენ მას. ამგვარად, 1622 წელს კირილე I-მა ოფიციალური დადგენილებით უძღვნა საჩუქრად მონასტერს კომიტისა, ხოლო კირილე II-მ კი 1635 წელს დეკრეტით დაამტკიცა ივირონის უფლებები ვლატადონის მონასტერზე თესალონიკეში, 1675 წელს ივირონის მონასტერს პართენიოსმა უბოძა საპატრიარქოსა და სტავროპაგის ტიტულები, ხოლო 1678 წელს დიონისე IV-მ უძღვნა თავისი ბიბლიოთეკა. მონასტერს მფარველობდნენ აგრეთვე მომდევნო მსოფლიო კრების პატრიარქები, მათ შორის სერაფიმე I, იოანიკოს III, ნეოფიტოს VIII და კალინიკე IV. საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყებამდე აქ ცხოვრობდა მცირე ხნით და მარტვილობდა გრიგოლ V.

საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდეგ (1821 წ.) ივირონი კვლავ განიცდიდა ეკონომიკურ სიძნელეებს, ძირითადად ამ ბრძოლაში მონაწილეობის გამო. ეს სიძნელეები კიდევ უფრო გაართულა ორმა ძლიერმა ხანძარმა, რომლის შედეგადაც დაინგრა მონასტრის ერთი ფრთა (1845 და 1865 წწ.), იგი ხელახლა ააშენეს მორწმუნეების მიერ გაღებული თანხით.

მონასტრის კათოლიკონი, მიძღვნილი ღვთისმშობლის მიძინებისადმი, აღდგენილია 1513 წელს. თავდაპირველად იგი აგებულ იქნა XI საუკუნის პირველ ნახევარში იბერი ბერის გიორგი ვარაზვაჩეს მიერ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იყო წინამძღვარი. კათოლიკონი, რომელიც აგებულია ათონის ბიზანტიური ეკლესიის ტიპიური გეგმის მიხედვით, მდებარეობს ეზოს ცენტრში. კარგად არის დაცული მარმარილოს შესანიშნავი მოზაიკური იატაკი სხვადასხვაგვარი გეომეტრიული ფიგურების გამოსახულებებით და აქვს წარწერა: „მე გავამყარე ეს სვეტები და უკუნისამდე არ შეიძრან. გიორგი ქართველი ბერი და მაშენებელი“.

აღსანიშნავია აგრეთვე ხელმეორედ გამოყენებული კაპიტელები, შემკული აკანტის ფოთლებითა და ცხვრის თავებით, რომლებიც აბოლოვებენ ნეფის სვეტებს.

ფრესკები სხვადასხვა პერიოდისაა, მეთექვსმეტე და მეცხრამეტე საუკუნეებს შორის, ამ მონაკვეთში ხდებოდა მათი ხელახალი მოხატვა. საინტერესოა აგრეთვე პოსტბიზანტიური ხანის ხის კანკელები, რომლებზეც ამოჭრილია ფოთლის მდიდრული ორნამენტები. შესანიშნავი გრავირებული კარი, გაკეთებული ვერცხლისა და შავი ხისაგან, რომელსაც მივყავართ გარე ნართექსიდან შიდა ნართექსისაკენ, შვიდტოტიანი შანდალი ლიმონის ხის გამოსახულებით ოცდაათი მოოქრული ლიმონით, რომელიც თანახმად ბერძნული და რუსული მეტრიკული წარწერებისა, 1818 წელს მოსკოვის მკვიდრთ უძღვნეს არქიმანდრიტ კირილეს მონასტრისათვის შესაწირად.

მესამე, შემინული ნართექსი შემკული ფრესკებით 1795 წელს დაემატა ორმაგ ნართექსს.

ეკლესიის წინ დგას წყლის საკურთხეველი ფიალა აღდგენილი 1865 წლის ხანძრის შემდეგ. ეკლესიის დასავლეთის კარის პირდაპირ არის ტრაპეზი, რომელიც არქიმანდრიტმა ათანასე ავარნელმა 1842 წელს ხელახლა ააშენა და გაადიდა. მაღალი სამრეკლო, მისი შესასვლელის ზემოთ, აშენდა იმავე წელს.

მთავარი შესასვლელის პირდაპირ, დაახლოებით სამხრეთი ფრთის ცენტრში, აღმართულია მონასტრის თავდაცვის კოშკი, აშენებული 1725 წელს. დღეისათვის ის საგრძნობლად დანგრეულია ძველი ხანის (1626 წ.) შესანიშნავი საპორტო კოშკისაგან განსხვავებით. კოშკი ზღვასთან ახლოს მდებარეობს.

გარდა კათოლიკონისა, მონასტრის შემოკავებულ ტერიტორიაზე მდებარეობს თექვსმეტი პატარა ეკლესია. მათგან ორი მოხატულია ფრესკებით: წმ. ნიკოლოზის (1846) და მთავარანგელოზისა (1812), რომლებიც მდებარეობენ შიდა ნართექსის მარჯვნივ და მარცხნივ. ამ ეკლესიაში დაცულია რელიქვიები ასორმოცდაათი წმიდანისა, ქრისტეს წამების იარაღები და ჭეშმარიტი ჯვრის ნაწილები.

ეზოში არის აგრეთვე ორი შესანიშნავი ეკლესია; ერთი მათგანია ღვთისმშობლის პორტაიტისა, ხოლო მეორე კი იოანე ნათლისმცემლისა. პირველი მათგანი ახლოს მდებარეობს მონასტრის თავდაპირველ შესასვლელთან, იგი დათარიღებულია 1680 წლით. მასში მოთავსებულია ღვთისმშობლის (პორტაიტისას) სასწაულმოქმედი ხატი ოქროს სახურავით. გადმოცემის თანახმად, ეს ხატი მოდიოდა ზღვით კონსტანტინოპოლიდან და მოაღწია ხმელეთს მონასტრის მახლობლად. საყდარი მოიხატა 1683 წელს, ხოლო კანკელი ამოიკვეთა 1785 წელს. ნართექსში, რომელიც ფრესკებით მოიხატა 1774 წელს, წმიდანთა გამოსახულებებს შორის არის, აგრეთვე, ძველი საბერძნეთის თვალსაჩინო მოღვაწეთა გამოსახულებებიც: კანონმდებელი სოლონი, მწერლები სოფოკლე, თუკიდიდე და პლუტარქე, ფილოსოფოსები პლატონი, არისტოტელე და მეფეები ალექსანდრე და დარიოსი.

წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია მდებარეობს ღვთისმშობლის პორტაიტისას აღმოსავლეთით. იგი ძველ საძირკველზე ააშენა წინამძღვარმა ალაპიოსმა 1710 წელს, ხოლო ფრესკებით მოიხატა უფრო გვიან 1714 წელს. მისი კანკელები ბრწყინვალე ნიმუშია ხეზე ამოკვეთის ხელოვნებისა (1711 წ.).

მონასტრის გარეთ მდებარეობს თერთმეტი კათისმა, ცამეტი სენაკი კარიესის მიმართულებით, დანარჩენი სამი ფილოთეოსის მხარეს და კიდევ ათი კარიესში, ან მის მახლობლად. მათგან წმ. დემეტრესი — დღეს კარიესში მონასტრის წარმომადგენლის რეზიდენციაა. მონასტერს მთის საზღვრის მიღმა აქვს მეურნეობა (მეტოქი); ასე, მაგალითად, სამოთრაკი.

ივირონის მონასტერს ეკუთვნის წმ.

იოანე ნათლისმცემლის სავანე, ან იბერიული სავანე, რომელიც მდებარეობს მონასტრის დასავლეთით, მთისკენ მიმავალ გზაზე, დახლოებით ნახევარი საათის სავალ მანძილზე. ეს არის ბერძნული იდიორითმული სავანე, რომელიც აშენებულია 1730 წელს, თუმცა კირიაკონი ფრესკების საფუძველზე მას 1779 წლით ათარიღებს. დღეისათვის სავანე შედგება რვა კალივასაგან, რომლებშიც მხოლოდ ხუთი თუ ექვსი ბერი ცხოვრობს.

ივირონის საუნჯე შეიცავს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უმდიდრეს კოლექციას ათონზე. ის მდებარეობს ბიბლიოთეკის გვერდით ახალ ერთსართულიან შენობაში. მისი განძეულობა ფასდაუდებელია და შეიცავს ოქრომკედით ნაქარგ მღვდელმთავართა სამოსელს, ჯვრებს, ზიარების თასებს, სამკერდულებს, მიტრებს. პატრიარქ დიონისე IV-ს მღვდელმთავრის სრულ სამოსელს, გრიგოლ V-ს მოსასხამს, სამეფო კარის მოხირმულ ფარდას, მქარგველ **Kokkona Orologa**-ს ნამუშევრებს, რომლებზეც გამოსახულია ღვთისმშობლის ამაღლება, მრავალი წმიდა საგანი და რელიქვია. და ბოლოს, იმპერატორ იოანე ციმისხის ე. წ. საკკო, გამოფენილი ბიბლიოთეკის კარადაში. ლიტურგიისათვის განკუთვნილი ეს სამოსელი შემკულია სხვადასხვა ფორმის არაბესკებით, მასზეა ლომის თავის ათი გამოსახულება და ოთხი ორთავიანი არწივისა. როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო მეთხუთმეტე საუკუნის მღვდელმთავართა სამოსელი.

ბიბლიოთეკა ფრიად მდიდარი და კარგად ორგანიზებულია. იგი შეიცავს სხვადასხვა შინაარსისა და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ 2000-ზე მეტ ხელნაწერს, აგრეთვე 15 ლიტურგიკულ გრაგნილს. ამ კოდექსთან 123 დაწერილია ეტრატზე, დანარჩენი 23 ბომბიცინზე, ან ქაღალდზე. აქვე უნდა დავძინოთ, რომ დაახლოებით 100 ეტრატზე დაწერილი ტექსტი ქართულ ენაზეა შესრულებული. მეტად საინტერესოა რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერთა ილუსტრაცია (№№ 1, 5, 55, 56, 111, 463, 874 და ა. შ.). გარდა ხელნაწერებისა, ბიბლიოთეკა შეიცავს 15000-ზე მეტ ნაბეჭდ წიგნს, რომელთა შორის რამდენიმე შესანიშნავი პირველი გამოცემა და ინკუნაბულაა.

ბიბლიოთეკა შეიცავს აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელოვან საიმპერატორო და საპატრიარქო დოკუმენტს, განსაკუთრებით აღსანიშნავია იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (946 და 958), რომან II-ისა (960) და ბასილ II-ის ხრისობულები.

ივირონის მონასტერს უჭირავს მესამე ადგილი ათონის ოცი მონასტრის იერარქიულ რიგში. იგი იდიორითმულია და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიდანვე დასახლებულ იქნა იბერიელი ბერებით. უკანასკნელი იბერი ბერი გარდაიცვალა 1955 წელს...

ინგლისურიდან თარგმნა
მარიკა ჩაჩიბაიამ.

# მეგობრობის ხიდი

დიდი ხნის შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებთ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს სლოვაკიის თეატრებთან. ამ მეგობრობამ ნაყოფიც შესანიშნავი მოგვცა — სოხუმელი მაყურებელი დღეს იცნობს სლოვაკი ხალხის მიღწევებს, მის თეატრალურ ხელოვნებას, დრამატურგიას. ასევე საინტერესო გამოდგა ეს მეგობრობა სლოვაკიის დედაქალაქის — ბრატისლავის თეატრალური საზოგადოებრიობისათვის. იგი გაეცნო ქართული რეჟისურის ერთი საუკეთესო წარმომადგენლის გოგი ქავთარაძის ხელოვნებას. ამავე დროს ქართველი თეატრალური მხატვრების — ჯეირან ფაჩუაშვილისა და თეიმურაზ ნინუას სცენოგრაფიას. ამის თაობაზე ჩვენს კორესპონდენტს **ხაჩატურ ვართანიანცს** ესაუბრებიან:

**გოგი ქავთარაძე** (საქართველოს სახალხო არტისტი, რესპუბლიკის კომკავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიების ლაურეატი): დიახ, ეს მეგობრობა ჩვენთვის, მართლაც რომ ნაყოფიერი და საინტერესო გამოდგა, ამას თეატრის ბოლოდროინდელი პრემიერაც მეტყველებს. სლოვაკიის ქალაქ ნიტრას თეატრის მთავარმა რეჟისორმა კაროლ სპიშაკმა ჩვენს თეატრში განახორციელა ჩეხი დრამატურგის იგორ რუსნიაკის „ღამე მშვიდობისა, მელიებო“. ამ პიესამ დაგვაინტერესა თავისი ფაქიზი ადამიანური გრძნობებით, მასში წამოჭრილი ზნეობრივი პრობლემებით. ეს პრობლემები — ახალგაზრდა თაობის ზნეობრივი სიწმინდე, კოლექტივში ჯანსაღი მორალური კლიმატისათვის ბრძოლა, ჩვენთვისაც სისხლხორცეულია და, სწორედ ამიტომ მიგვიზიდა ამ ნაწარმოებმა. ამას წინათ ავტორიც გვეწვია, მან მაღალი შეფასება მისცა მსახიობთა შესრულებას.

ამ სპექტაკლით ჩვენ გავაგრძელეთ ადრეულ წლებში დაწყებული შემოქმედებითი მეგობრობა. მანამდე ჩვენს სცენაზე დაიდგა სლოვაკიის მწერალთა კავშირის მდივნის, ცნობილი მწერლის იან სოლოვიჩის პიესა „შეცდომის უფლება“, რომელიც ბრატისლავის თეატრ „ნოვა სცენის“ მთავარმა რეჟისორმა განახორციელა, შემდეგ ლ. ხანეკის რომანის „აკულიის“ ინსცენირება (ო. შულაის დადგმა). ამავე დროს მე სლოვაკიის [illegible]ელს გავაცანი მ. გორკის „მოაგარაკენი“, ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ეს უკანასკნელი გასული წლის ბოლოს დავდგი და უნდა გითხრათ, რომ სასიამოვნო შედეგი მივიღეთ — მაყურებელი გულთბილად შეხვდა სპექტაკლს, მისი პოპულარობის დასტურია ის, რომ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ პრაღაში ითამაშეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის წინა დღეს.

**იგორ რუსნიაკი** (დრამატურგი): მე ორ საღამოს სიამოვნებით ვუყურე სოხუმელთა სპექტაკლს და უნდა გითხრათ, რომ მომეწონა მსახიობთა ანსამბლი. ეს პიესა ჩეხოსლოვაკიისა და უცხოეთის მრავალ თეატრში დაიდგა. სოხუმელთა ნამუშევარი ერთ-ერთი საინტერესოა.

მე მივესალმები ქართველ და სლოვაკ თეატრალურ მოღვაწეთა მეგობრობას, რადგან მან სამი კარგი სპექტაკლი გვაჩუქა. ქართული მწერლობა, კინოხელოვნება დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენში. სიამოვნებით ვკითხულობთ ქართულ პროზას, ვუყურებთ ქართულ ფილმებს.

ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ გ. ქავთარაძის სპექტაკლებზე სლოვაკიაში — „მარადისობის კანონი“, რომელიც მან სამი წლის წინათ დადგა ჩვენში, დღესაც დიდი წარმატებით სარგებლობს მაყურებელთა შორის. ეს არის მშვენიერი სცენური ქმნილება კომუნისტზე, პარტიის იდეებით ანთებულ ადამიანზე, რომელიც გვხიბლავს ცხოვრებისეული სიმართლით, იუმორით.

**გურამ ბათიაშვილი** (დრამატურგი, „თეატრალური მოამბის“ რედაქტორი): მე სიამოვნებით ვთარგმნე იგორ რუსნიაკის „ღამე მშვიდობისა, მელიებო“, რადგან მომხიბლა დრამატურგის ოსტატობამ, ადამიანურ ურთიერთობათა გადმოცემის სიღრმემ, ხოლო, რაც შეეხება მესამე მოქმედებას, იგი დაწერილია ბრწყინვალედ, ნამდვილი პროფესიული ოსტატობით.

გავეცანი თვით დრამატურგს, იგი გვეწვია ბიჭვინთაში ახალგაზრდა დრამატურგთა სემინარზე. მჯერა, რომ ეს კონტაქტები ჩინებულ ნაყოფს გამოიღებს როგორც ჩვენთვის, ქართველი მწერლებისა და თეატრალური მოღვაწეებისათვის, ისე სლოვაკთათვის. ეს მეგობრობა გვამდიდრებს, მე მომავალში კვლავაც სიამოვნებით ვთარგმნი იგორ რუსნიაკის პიესებს.

## საბჭოთა კავშირის გმირები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლადისლავ ტურკული. (ცხოვრობს ქ. ელგავაში).



შოთა შურღაია. (ცხოვრობს თბილისში).

გალაქტიონ რაზმაძე. (ცხოვრობს მოსკოვში).



# თორმეტი კილომეტრი ჭერქვეშ

აი აქ, ქართლის მიწაზე, ორმოცდაათი წლის წინ დაიბადა ქართული შაქარი, ამუშავდა კომბინატი. ხაშური, ქარელი, გორი, კასპი და ცოტა მოგვიანებით ცხინვალი, ზნაური, ლენინგორი მისი ნედლეულის პირველი მიმწოდებლები გახდნენ...

ჭარხლის შემოსვლამ ამ რაიონებში გლეხობისა და სოფლის ზოგიერთი ინტელიგენტის წინააღმდეგობა გამოიწვია. ისინი ცდილობდნენ, თავიანთ მიწა-წყალზე არ დაემკვიდრებინათ ეს „უცნაური მცენარე“.

დასახელებულ რაიონებში შაქრის ჭარხლის კულტურის დანერგვა ბეწვზე ეკიდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა სასწრაფოდ შეიმუშავეს შაქრის ჭარხლის დაცვის ღონისძიებანი, რომელთა შესრულება ძირითადად დაეკისრათ შაქრის კომბინატის აგრონომ-სპეციალისტებს. მაგრამ მათი ლექცია-საუბრები გლეხებზე დამარწმუნებლად ვერ მოქმედებდა.

რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი იძულებული გახდა, ადგილებზე მიევლინებინა თავისი ავტორიტეტული წარმომადგენლები — შესანიშნავი აგრონომები ილია პატიაშვილი, აკაკი კაპანაძე, გიორგი ჩეჩელაშვილი...

კომბინატის ამუშავებამდეც ითესებოდა შაქრის ჭარხალი ქართლის რაიონებში, მაგრამ მას ექსპერიმენტული ხასიათი ჰქონდა, მოსავალს პირუტყვის საკვებად იყენებდნენ. კომბინატის ამუშავებისას (1933 წელი) „ტკბილი პლანტაციების“ ფართობები უკვე ხუთი ათას ჰექტარზე იყო გადაჭიმული, მცენარემ ზოგან კარგადაც აიყარა მხრები, მაგრამ საჰექტარო მოსავალი 50-60 ცენტნერს არ ასცილებია. ცხადი გახდა, რომ დამუშავების აგროტექნიკას სრულად ვერ ახორციელებდნენ. კომბინატმა მხოლოდ 29 დღე-ღამეს იმუშავა, 330 ტონამდე შაქარი გამოუშვა და გაჩერდა ნედლეულის მიღების მოლოდინში.

„ჭარხლის პროპაგანდამ“, ბოლოს და ბოლოს, მიზანს მიაღწია, სოციალისტურ ვალდებულებათა თაოსნებიც კი მომრავლდნენ. კოლმეურნეებმა მოითხოვეს ნათესების გაპიროვნება, რამაც გაზარდა შაქრის ჭარხლის საჰექტარო მოსავალი. იმ დროს განსაკუთრებით იყოჩაღეს აგარის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა, რომელთაც სათავეში ედგათ გამოცდილი სამეურნეო ხელმძღვანელი ათანასე გავაშელაშვილი. აგარელებმა ჰექტარზე 350 ცენტნერი მოიყვანეს.

ეს იყო პირველი და გადამწყვეტი ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია უფრო მაღალი მოსავლის მოყვანა.

აგარელებმა გაფანტეს შაქრის ჭარხლისადმი უნდობლობა გლეხობაში, საფუძველი ჩაუყარეს ამ კულტურის აღმასვლას. გორიდან, რომელიც შემდეგ შაქრის ჭარხლის რაიონებში მოწინავე პოზიციებზე დამკვიდრდა, ყველაზე კარგი მოსავალი — ჰექტარზე 140 ცენტნერი — მოიყვანეს ზერტელმა კოლმეურნეებმა.

გავიდა ხანი, შაქრის ჭარხლის უფრო მაღალი მოსავლის მოყვანის ოსტატებიც გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ სოციალისტური შრომის გმირები, ორდენოსნები — ფლაველი ვახტანგ გოგშელიძე და გიორგი ლაფაჩი, ნიქოზელი ელენე მჭედლიძე, ხვითელი თამარ მეგრელიშვილი, სკრელი ეთერ სეფიშვილი, მერეთელი ნანული გორგიშელი, კასპელები — მარიამ ჩადუნელი, სოფიო მარიდაშვილი, ქარელელები — ნიკოლოზ სადუნაშვილი, ნატალია გეგელაშვილი და სხვები.

ერთი სიტყვით, შაქრის ჭარხალმა სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მკვეთრად დაიკავა საპატიო ადგილი.

ნახევარი საუკუნე გალია აგარის შაქრის კომბინატმა. 135 ჰექტარს მოიცავს მისი ტერიტორია. 35 ჰექტარზე ქერსა და იონჯას თესავენ და ამით საკუთარ პირუტყვს კვებავენ. დანარჩენი ტერიტორია წარმოებას და მის დამხმარე ნაგებობებს, მუშამოსამსახურეთა ბინებს, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დაწესებულებებს უჭირავთ.

კომბინატი და სადაბო საბჭო კარის მეზობლები არიან. თავიანთი კუთხის კეთილმოწყობაზე ორივე ფიქრობს, მაგრამ გასაკეთებელი უმეტესად კომბინატის წილად მოდის. **საწყენია, რომ სადაბო საბჭომ სრული უგერგილობა გამოიჩინა და კეთილმოსაწყობად გამოყოფილი 30 ათასი მანეთი ვერ აითვისა. მერედა, როგორ აკლია დაბას მზრუნველი ხელი!**

ქვეყანაში სასურსათო ამოცანების გადაჭრას აგარელები დიდი გარჯით უპასუხებენ — კარგ პროდუქციას უგზავნიან დედასამშობლოს. მუშათა სასადილოს აძლევენ ხოლმე თავიანთი წარმოების ღორის ხორცს. შარშან, მაგალითად, 500 კილოგრამი გამოუყვეს, ხოლო სახელმწიფოს სამი ტონა მიჰყიდეს. ფიქრობენ მსხვილფეხა პირუტყვის ფერმის შექმნაზეც, უკვე მზადა აქვთ ტიპური პროექტი 25 სული ფურისათვის ბინის ასაგებად, კოოპერირების მეთოდსაც მიმართავენ. გადაწყვეტილი აქვთ, მოაწყონ სათბური 300 კვადრატულ მეტრზე და შიგ კიტრი და პამიდორი დათესონ, შექმნან კოლექტიური მებაღეობა.

შაქრის კომბინატი უფრო და უფრო შლის ფრთებს, ფართოვდება, ეკონომიკურად ძლიერდება. ამ საქმეს ხელმძღვანელობს შაქრის წარმოების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი.

კომბინატის გენერალური რეკონსტრუქცია ითვალისწინებს ელექტრომომარაგების სისტემის გადაკეთებას, გამომდინარე წყალთა გაუვნებლებასა და მის ხელმეორედ გამოყენებას, ახალი ადმინისტრაციული ბინის აგებას, წყალმომარაგების გაუმჯობესებას...

დამთავრდა და უკვე მოქმედებს სადიფუზიო განყოფილება, რომელიც აღჭურვილია ლოხოვის მანქანათსაშენი ქარხნიდან მიღებული მოწყობილობით. განყოფილების ექსპლუატაციაში გაშვებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ნედლეულის გადამუშავების ოდენობა. სპეციალისტების დასკვნით, ჭარხლიდან შაქრის გამოსავლიანობამ 0,4 პროცენტით მოიმატა, ტონა შაქრის თვითღირებულება შემცირდა 21 მანეთითა და 72 კაპიკით, რაც კომბინატს წელიწადში აძლევს 231.200 მანეთის მოგებას.

კომბინატის პერსპექტივები ცხოვრებისეულ აუცილებლობას წარმოადგენს. რეკონსტრუქციის შემდეგ იგი გადაიქცევა შაქრის მრეწველობის ერთ-ერთ მძლავრ საწარმოდ...

ეცნობი საამქროებს, განყოფილებებს, მათთან შერწყმულ სხვადასხვა ტექნიკურ უბანს და თქვენ თვალწინ „უცებ“ დასრულდება მრავალსაფეხურიანი პროცესი.

თორმეტი კილომეტრი ჭერქვეშ!

აი მანძილი, რომელიც ნედლეულმა უნდა გაიაროს „ვენებით“ ურთიერთთან ჩახლართულ მექანიზმებში, რომ მივიღოთ სანუკვარი პროდუქტი.

აი, შაქარი უკვე მიღებულია! ამ რთულ პროცესებს ათობით ადამიანი ადევნებს თვალს. ერთ-ერთი მათგანია გიორგი ხაჭაპურიძე. იგი 1932 წლიდან ილვწის ქართული შაქრის ღირსებისათვის. შარშან მას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის ორმოცდაათი წელი შეუსრულდა და ვეტერანის სამკერდე ნიშანი გადაეცა.

ივანე ნასყიდაშვილი, ცვლის ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული უფროსი, წარმოების, სამამულო ომის ვეტერანი, ახალგაზრდა კადრების დაოსტატებაზე შეყვარებული კაცია. ივანე მუდამ სიამოვნებას განიცდის, როცა მის აღზრდილზე კარგს იტყვიან. ასეთი კი აქ ბევრია. მათ შორისაა ახალგაზრდა მიხეილ თოთლაძე, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე კომბინატში მოვიდა და ნასყიდაშვილის გვერდით მიიღო შრომითი ნათლობა. მიხეილმა შემდეგ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ინჟინრის დიპლომით დაუბრუნდა მშობლიურ საწარმოს. მის მიერ გაზრდილი ბიჭების რიგში არიან ზეინკალთა ბრიგადირი, რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორი შოთა ზედგენიძე და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ ბერიძე. მოწინავე ადამიანთა შორის ასახელებენ თეიმურაზ ჩუტკერაშვილს, ნოშრევან მახარობლიძეს, სეირან თოთლაძეს, ავთანდილ რაზმიაშვილს, ბიჭიკო გელაშვილს, ზაქარია ამბოკაძეს...

პროფესიაზე შეყვარებული ადამიანები მუდამ ტექნიკური აზრის ძიებაში არიან. ისინი დიდ სასიკეთო სამსახურს უწევენ კომბინატს. რაციონალიზატორთა საბჭომ, რომელიც 95 გამომგონებლისა და რაციონალიზატორის წინადადებებს წონის და აზუსტებს, შარშან წარმოებას მისცა 200 ათასამდე მანეთის ეკონომიკური ეფექტი.

ერთი შეხედვით მარტივად გამოიყურება ლერი ბაკურაძის წინადადება — შემფუთავ საამქროსა და მზა პროდუქციის საწყობს შორის ლენტური სისტემის დანერგვა, აგრეთვე ლენინის ორდენოსან სერგო მათიაშვილის მიერ ავტომატური მრიცხველის დამონტაჟება. ერთმაც და მეორემაც დიდი საქმე გაუკეთეს წარმოებას.

პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის აგარელი მშრომელებიც თავდადებით იბრძვიან. წინსვლა და გამარჯვება ვუსურვოთ მათ!

**ილო ალაზნელი**




# პაიჭაძე დღესაც პაიჭაძეა

როდესაც საქართველოს სპორტული საზოგადოების სიამაყემ — ბორის პაიჭაძემ, სამოცდაათ წელს, ტრადიციულ საიუბილეო თარიღს გადააბიჯა, სურვილი გამიჩნდა, რომ იუბილარისადმი ღრმა პატივისცემა მოკლე წერილით მაინც გამომეხატა.

ფოტოსურათებისათვის ბატონ ბორისს ვეწვიე. თავმდაბალი უარით გამომისტუმრა და მდგომარეობიდან ისევ ჩვენი საოჯახო ალბომის დახმარებით გამოვედი. ფოტოსურათებს რომ ვარჩევდი, ყურადღება მაშინღა მივაქციე, რომ პაიჭაძე და თბილისის „დინამოს" მეკარე — სერგო შუდრა (მამაჩემი) ყველა ფოტოში ერთმანეთს უმშვენებდნენ მხარს (კაპიტანი და მეკარე ხომ ერთად გამოდიან მოედანზე და ერთად ტოვებენ მას). ასევე მეგობრობდნენ ისინი ცხოვრებაში და ერთად იზიარებდნენ ჭირსაც და ლხინსაც. ბორის პაიჭაძის იშვიათი პიროვნული თვისებები ყოველთვის მიზიდავდა და ამიტომ მამის მოგონებები მისი თამაშის მანერის შესახებ კარგად დამამახსოვრდა:

„ბორიას მოედანზე გამოსვლა საოცარი ძალით გვაკავშირებდა ერთმანეთს, მის გარშემო ადვილად ყალიბდებოდა კოლექტივი...

ტემპერამენტიანი თამაში იცოდა, არასოდეს კარგავდა მებრძოლის თვისებებს. თუ ვაგებდით, ბორია თავს მოიკლავდა და საჭირო ბურთს კი გაიტანდა. გასვლით თამაშს რომ წავაგებდით, მატარებლიდან მცხეთაში ჩამოვდიოდით, ისე ერიდებოდა ჩვენს კაპიტანს გულშემატკივრებთან შეხვედრა...

დიდი ენერგიისა და მოსაზრებულობის, სწრაფი ორიენტაციის უნარის მქონე, ისე კეთილშობილურად თამაშობდა, რომ არ მახსოვს, მსაჯისაგან შემჩნევა მიეღოს...

მწვრთნელს თავისი ავტორიტეტით კი არ უპირისპირდებოდა, არამედ ეხმარებოდა მუშაობაში. სამხრეთელი კაცი ემოციურია და მწვრთნელის შემჩნევას ყოველთვის ერთნაირი სიმშვიდით ვერ ისმენს, ამიტომ ხშირად თამაშის გარჩევას მწვრთნელი ბორიასაგან იწყებდა — მისი თავშეკავება და სპორტული რაინდობა კი ყველასათვის სამაგალითო იყო..

მას პელეზე ნაკლები სახელი არ ექნებოდა, მსოფლიო ასპარეზზე მისი თამაში რომ ენახათ, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო".

ყველამ არ იცის, რომ იუბილარის ცხოვრება ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. იყო დრო, როცა მას სტანდარტულ ფეხბურთელად გადაქცევას უსაყვედურებდნენ და საჯაროდაც კი აკრიტიკებდნენ... ავიღოთ თუნდაც 1952 წელი, როცა ბორის პაიჭაძემ თავი დაანება თამაშს. ამ წლებში რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ყოველთვის ობიექტური როდი იყო მასთან ურთიერთობაში...

1963 წლიდან ბორის პაიჭაძე ორი ათეული წელი იყო თბილისის „დინამოს" სპორტკომბინატის დირექტორი. მე ბედმა მარგუნა ამ წლებში ბატონ ბორისთან სიახლოვე და არ შემიძლია, მკითხველს არ გავუზიარო მის პიროვნულ, წმინდა ადამიანურ თვისებებზე ზოგი რამ ჩემი უშუალო დაკვირვებიდან.

პაიჭაძე მარტო ფეხბურთელი არ არის. იგი ძალზე ნიჭიერი ადამიანია. წიგნი ბატონ ბორისის მუდმივი თანამგზავრია. იგი ძალზე ნაკითხი და ფართო ერუდიციის პიროვნებაა. ამიტომ, ეჭვგარეშეა, მას რომ სხვა გზა აერჩია, მაინც სახელოვანი ადამიანი გახდებოდა.

ბატონი ბორისი კარგი მეოჯახეა. ძალზე უპრეტენზიოა ცხოვრებაში.— სულაც არ შეუძლია თავის თავზე ზრუნვა და მუდამ თვითშეზღუდვისაკენ ისწრაფვის.

მასთან ხშირია მომსვლელი, ალბათ ამიტომ კარი ყოველთვის ღია დაგხვდებათ. ამ ოჯახში არასოდეს შემიმჩნევია „მაღალ დონეზე" ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტები. სამაგიეროდ, ოჯახში იგრძნობა საოცარი ადამიანური სითბო. ამაში, ალბათ, ბატონ ბორისის მეუღლის, ქალბატონ მარგოს დამსახურებაცაა, რომელიც განათლებული და სტუმართმოყვარე დიასახლისია.

ბორის პაიჭაძეს მახვილი თვალი აქვს, ყოველთვის კარგად ხედავს რეალური ცხოვრების სირთულეს, კარგად აქვს განვითარებული ავკარგიანობის გრძნობა, საზოგადოებაში ალღოს სწრაფად აღების უნარი, ამიტომ მას ადმინისტრაციული საქმიანობაც ემარჯვება.

პაიჭაძე თავისი განუყრელი კეპით, თამაშის დროს ფეხბურთელთა ამოსასვლელი გვირაბის წინ რომ უყვარდა ყოფნა, „დინამოს" სტადიონის ერთგული, მისი ნამდვილი პატრონი იყო...

„ბორია ძალზე ობიექტური კაცია, — ხშირად უთქვამს მამას, — ის არასოდეს გაამართლებს მეგობარსაც კი, თუ ის მართალი არ არის". მას არასოდეს მოჰკლებია „უბრალო" ადამიანებისადმი ინტერესი. საზოგადოებაში ძალზე თავმდაბალი, მაგრამ მტკიცე ნებისყოფიანი და უაღრესად გულისხმიერი ადამიანია. ბორისი ასევე საიმედოა ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვისას, ძველებურად არ ზოგავს თავს და იზიარებს მწუხარებას თუ სიხარულს ამხანაგებთან ერთად.

ის საპატიო სახელი, რომელიც ბორის პაიჭაძეს აქვს, მას ხალხმა აჩუქა, და ბატონ ბორისს ყოველთვის ახსოვს, რომ ის ამ სახელის მფლობელი კი არა, მცველია, ვითარცა ბაირაღისა. ამიტომ ვაჟკაცურად იბრძვის, რათა ფეხბურთის ძველი, სახელოვანი ბაირაღის ღირსება ბოლომდე დაიცვას.

დარწმუნებული ვარ, რომ ასე ფიქრობს ყველა, ვინც მასთან ახლოს ყოფილა. სადა, გულღია საუბარი, ნატიფი იუმორი, დიდი ადამიანური სითბო — ყოველივე ეს ისე ბუნებრივადაა შერწყმული მასში, რომ ოდნავი ნაძალადეობაც კი არ ეტყობა.

დიახ, პაიჭაძე ისევ პაიჭაძეა.

**ომარ შუდრა**



ბორის პაიჭაძე შვილიშვილთან ერთად.

# ალაზანი

ალაზანი მდინარეს ჰქვია აღმოსავლეთ საქართველოში. აღნიშნული ჰიდრონიმი დღემდე არ არის მეცნიერულად შესწავლილი.

ანტიკური ხანის რომაელი ავტორი ვალ. ფლაკუსი თავის „არგონავტიკაში“ კოლხეთის ტერიტორიაზე მდინარე **ალაზანს** ასახელებს: „...და არავის არ სმენია ალაზნის ნაპირების შესახებ“ (VI, 101).

მდინარე ალაზანი რომაულ ლიტერატურაში პლინიუსის (24-79 წწ.) „ბუნების ისტორიაშიც“ გვხვდება „ოკაზანის“ სახელწოდებით (VI, § 26) ამ ჰიდრონიმს ვ. ლატიშევი (1855-1921 წწ.) სტრაბონისეულ ალაზონიუსს უდარებს და აიგივებს აღმოსავლეთ საქართველოს მდინარე ალაზანთან, რომელიც მტკვარს ერთვის.

ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე მდინარე ალაზნის დასახელება მკვლევართა გაკვირვებას იწვევს. ამ გაუგებრობიდან გამოსავალი ბუნებრივად მისი კახეთის მდინარე ალაზანთან აღრევის ვარაუდია.

ჩვენ კი გვგონია, რომ ანტიკური ხანის ის ავტორები, რომლებიც კოლხეთშიაც ასახელებენ მდინარე **ალაზანს** არ უნდა ცდებოდნენ. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ძველ კოლხეთში, კერძოდ, დღევანდელი ჩოხატაურის რაიონის ფარცხმის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, მიკროტოპონიმის სახით დღემდე შემოგვრჩა სახელწოდება **ალაზანი**. ასეთ სახელს ატარებს იქ ერთ-ერთი წყარო. როგორც ცნობილია, ისტორიაში მაკროტოპონიმის მიკროტოპონიმად და პირუკუ გადაქცევის არაერთი ფაქტი დასტურდება. ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ გარემოებასთან შეიძლება გვქონდეს საქმე, ე. ი. შესაძლოა, შორეულ წარსულში ალაზანი ერქვა კოლხეთის რომელიმე მდინარეს. ეს მოსალოდნელია უფრო იმ ტერიტორიაზე, სადაც დღემდე გვხვდება ამ სახელწოდების მატარებელი ობიექტი, ე. ი. ჩოხატაურის რეგიონში. მართალია, ჩოხატაურს ჩამოუდის მდინარე, მაგრამ მისი სახელწოდებაა **გუბაზოული**. ამ მდინარის სახელწოდებაში აშკარად ჟღერს ახ. წ. VI საუკუნის ლაზიკის ცნობილი მეფის გუბაზის სახელი. როგორც ცნობილია, გუბაზი (რომელიც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი და ნიჭიერი პოლიტიკოსი იყო) ღალატით მოკლეს ბიზანტიელებმა. შესაძლოა, ეს მკვლელობა მოხდა მდინარე გუბაზოულთან, რომელსაც მანამდე ალაზანი უნდა რქმეოდა, ხოლო ამ ამბის შემდეგ მას გუბაზ მეფის სახელის უკვდავსაყოფად გუბაზოული უწოდეს.

გუბაზოული სათავეს მესხეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, გომის ციხის მთასთან იღებს და უერთდება მდინარე სუფსას. გუბაზოულის სიგრძეა 47 კმ.

„ალაზან“ ტერმინში, ჩვენი აზრით, იმალება აქ მოსახლე ხალხისა და ქვეყნის (მხარის) აღმნიშვნელი სახელები — „ლაზან“ (ლაზანიკა, ლაზიკა) და „ზან“ (ზანები — მეგრულ-ჭანურ ტომთა სახელწოდებაა).

აღსანიშნავია, რომ სვანები სამეგრელოს დღემდე ეძახიან **ზან-ს**, ხოლო მეგრელ-ჭანებს — **ზანარ-ს**.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ლაზანიკა“ გეოგრაფიულ სახელში ქვეყნიერების აღმნიშვნელი **ლა** — სვანური პრეფიქსია (იხ. მისი „ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, 405). სვანური **ლა** — ქართული **სა** — პრეფიქსის ბადალია. ე. ი. ლაზიკა ნიშნავს საზანოს, ზანეთს, ზანებით დასახლებულ ქვეყანას.

სხვა გაგებით „ალაზან“ სვანურად ნიშნავს: „ეს ზანეთია“, ანუ უბრალოდ — „ზანეთი“. მაგრამ ეს ვარაუდი ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება.

ამგვარად, — „ალაზან“ ჰიდრონიმის ამოსავალი უნდა იყოს გეოგრაფიული სახელი „ლაზანიკა“.

აქვე ისმება კითხვა, თუ ეს ტერმინი კოლხური წარმოშობისაა, როგორ მოხდა, რომ იგი აღმოსავლეთ საქართველოში მდინარის სახელად იქცა? აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლის, არაგვის ხეობაში და კახეთის ტერიტორიაზე არაერთი ზანურ-სვანური ტოპონიმი დასტურდება, რაც მეცნიერებაში აღიარებულ ფაქტად ითვლება.

როგორ უნდა აიხსნას ეს გარემოება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვს მცირე ისტორიულ ექსკურსს. ცნობილი ფაქტია, რომ ძველად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრათ **წანარებს**, რომლებიც ქართულ ეთნიკურ სამყაროს ეკუთვნოდნენ. ალბათ მათ სახელს უკავშირდება ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა **აცანა** (სოფელი გურიაში, **ა** აქაც აფხაზურ-ადიღეური პრეფიქსი ჩანს); **ცან**— სოფელი ქვემო სვანეთში; **წანერ** — სვანეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი და ა. შ.

ახ. წ. II საუკუნის ავტორი კლავდიოს პტოლემაიოსი წანარებს („სანარებს“) არაგვის ხეობაში ასახელებს. პტოლემაიოსი „წანარებს“ სანარებს უწოდებს, რამდენადაც ბერძნულში ბგერა **წ** არ არსებობს. მაშინ ეს იმის თქმის უფლებასაც გვაძლევს, რომ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე მოსახლე სანების ქვეშ წანებიც ვიგულისხმოთ. ეთნონიმი **სანი**, აგრეთვე ბერძენ ავტორთა მიერაა ნახმარი.

წანარები არაგვის ხეობაში ცხოვრობენ ადრეულ შუა საუკუნეებშიც, რის შესახებაც გაგვაჩნია უაღრესად სანდო ქართული, სომხური, სპარსული და არაბული წერილობითი წყაროები. VIII-IX საუკუნეებში წანარები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართველ მეფე-მთავართა პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ძლიერი სამხედრო ძალა.

VIII-X საუკუნეებში წანარებმა საფუძველი დაუდეს კახეთის სამეფოს წარმოშობას.

ვინ იყვნენ წანარები?

ერთი მოსაზრების მიხედვით წანარები სვანურენოვანი ხალხი უნდა ყოფილიყო (ნ. მარი, ს. კაკაბაძე). ამ ვარაუდის დასასაბუთებლად შემდეგ არგუმენტებს იშველიებენ, კერძოდ „წანი“ სვანურად ყანაში ნამარგლ ბალახს ეწოდება. „წანარ“ (წანარ-ები) ეთნონიმში გამოყოფენ, აგრეთვე — **არ** სუფიქსს, რომელიც სვანურში წარმომავლობა-ვინაობასა და მრავლობითობას გამოხატავს. სხვათა შორის, ბალახის სახელისაგან ეთნონიმის წარმომავლობის სხვა მაგალითიც გვაქვს. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ვეინახური ეთნიკური ჯგუფის სახელი „ბაცბოი“ ბალახის სახელს უკავშირდება და სხვ. ამასთანავე **წან** (ცან) ეთნონიმიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელები დღემდე გვხვდება სვანეთის ტერიტორიაზე (ცან, წანერ) საგულისხმოა ისიც, რომ წანარების განსახლების ტერიტორიაზე — არაგვის ხეობაში სვანური წარმოშობის ტოპონიმებია დადასტურებული მკვლევარ ჯ. გვასალიას მიერ.

მეორე მოსაზრებით წანარები ზანური ტომი უნდა იყოს (თ. პაპუაშვილი).

როგორც ჩანს, წანარ (ფუძე-სიტყვა **წან**) ისეთივე წარმოშობისაა, როგორიცაა **ზანი, ჭანი, სანი, სვანი**.

ჩვენი აზრით, წანარები ზანურ-სვანური ნარევი ტომი უნდა ყოფილიყო. დასავლეთ საქართველოდან ისინი წანერის უღელტეხილით უნდა გადასულიყვნენ და დასახლებულიყვნენ იმიერკავკასიის მთის ზოლში, სადაც ქართული ეთნიკური ჯგუფის არსებობა მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტია. იმიერკავკასიიდან დარიალისა და არაგვის ხეობაში უნდა მომხდარიყო მათი გადმოსახლება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში სკვითურ-სარმატული ტომების მოწოლის შედეგად ან რაღაც სხვა მიზეზის გამო.

VIII-X საუკუნეებიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა წანარებმა კახეთის სამეფოს წარმოშობისათვის ნიადაგი მოამზადეს, ჩანს, იწყება მათი ქართიზაცია, რამაც განაპირობა მათი ენის გაქრობა. ამ ენის კვალი ზანურ-სვანური ტოპონიმების სახით დღემდე შემოგვრჩა მათი განსახლების ტერიტორიაზე. თუმცა არსებობს მეორე თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც შიდა ქართლში ზანურ-სვანური ტოპონიმები იქ ქართველური ენების დიფერენციაციამდელ ხანაში შეიძლება იყოს გაჩენილი (ჯ. გვასალია).

სხვათა შორის, თავის დროზე ივ. ჯავახიშვილიც შენიშნავდა, რომ „სვანებს თავდაპირველად, უეჭველია, ეხლანდელზე მეტი მიწა-წყალი უნდა სჭეროდათ და მრავალი სხვა საბუთიც ხვანეთხა და კახეთს ერთი-ერთმანეთს უახლოებს და მოსახლეობის ამ ვითარებას გვიხატავს ლეონტი მროველის ზემოთ მოყვანილი ძვირფასი ცნობა, მაგრამ რა საზღვრები ჰქონდა სვანეთს VIII-XII საუკუნეებში სამწუხაროდ, არ ჩანს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია ტ. II, 1965, გვ. 51). ივ. ჯავახიშვილს მხედველობაში აქვს ლეონტი მროველის ცნობა სვანების განსახლების შესახებ საურმაგ მეფის დროს (ძვ. წ II-I სს.). ეს ცნობა ასეთი შინაარსისაა: „დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე რომელ არს სუანეთი“ (ქც, I, გვ 27). დიდოეთის ქვეშ დღევანდელი დაღესტანი იგულისხმება, ხოლო ეგრისის ქვეშ — სამეგრელო. ივ. ჯავახიშვილისეული გაგებით ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი დაღესტნიდან სამეგრელომდე კავკასიის მთიანეთი განსახლებული იყო სვანებით. როგორც ცნობილია, ძველი ბერძენი ავტორებიც მიუთითებენ სვანების მრავალრიცხოვნობისა და მათი მიმოფანტულობის შესახებ „კავკასიის მთების გარშემო“ (სტრაბონი, მენანდრე და სხვ.). სტრაბონის ცნობით ძვ. წ II-I საუკუნეებში სვანებს შეეძლოთ ორასი ათასი მეომრის გამოყვანა.

უკანასკნელი ხანის გამოკვლევებით იმიერკავკასიის მთის ზოლში, თერგისა და ყუბანის სათავეებს შორის, ანტიკური ხანიდან XIV-XV საუკუნეებამდე სვანთა განსახლება მეცნიერულად დასაბუთებულია.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს იმას, რომ დარიალის ხეობაში წანარები თერგის სათავეებიდან უნდა შემოსულიყვნენ ახ. წ. II საუკუნემდე, ხოლო მათი თავდაპირველი სამშობლო კოლხეთი უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, ის ფაქტი, რომ ალაზანი როგორც გეოგრაფიული სახელი გვხვდება კახეთშიც და კოლხეთშიც შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს, მითუმეტეს, რომ ორივეგან იგი (წყალს) მდინარეს ან წყაროს ეწოდება.

**თეიმურაზ მიბჩუანი,**
აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

## ჩვენი ქვეყნის მთასა და ბარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვენთვის, მარილის მოყვარულნო!

უხსოვარი დროიდან სუფრის მარილს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. ძველ დროში მარილის მოპოვება მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც ის საკმაოდ ძვირად ფასობდა. მსოფლიოს ისტორიაში ცნობილია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მრავალი მოვლენა, რომლის მიზეზიც მარილი გამხდარა. მარილისათვის მოხდა მრავალი ომი და აჯანყება, მრავალი ხალხური თქმულება და ლექსი უკავშირდება მის მოპოვებასა თუ მნიშვნელობას, თუნდაც „აღზევანს წაეალ“ რად ღირს!

ძველ საბერძნეთში ჯანმრთელ, ფიზიკურად ძლიერ ახალგაზრდა მონას თავისსავე წონის მარილზე ცვლიდნენ. ცნობილია შემთხვევები, როდესაც მარილი მისსავე წონის ოქროზე გადაუცვლიათ. არც საკმაოდ გავრცელებული ტრადიცია — საპატიო სტუმრის შეხვედრა პურითა და მარილით არის შემთხვევითი მოვლენა. ამ ჩვეულებაზე ღირს ყურადღების შეჩერება; იგი ნათლად განსაზღვრავს, მარილის მნიშვნელობასა და ადგილს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში...

პურის კულტი და მისი ეგზომი განდიდება ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი ხალხის რწმენიდან მომდინარეობს. პური ქრისტიანთა რწმენით წმინდა ექვარისტიის დროს ქრისტეს სხეულად გადაიქცევა. სახარების თანახმად კი ზიარების ეს საიდუმლო თავად მაცხოვრიდან იღებს სათავეს. ყოველივე აქ თქმულის გათვალისწინების შემდეგ ადვილი წარმოსადგენია მარილის როლი და ის ფაქტი, რომ ადამიანმა ოდითგანვე იგი თავის რელიგიურ წარმოსახვაში ღმერთთან გაიგივებული „პური ჩვენი არსობის“ გვერდით დააყენა. ამგვარად, სუფრის მარილი პურთან და ღვინოსთან ერთად ერთგვარ უპირველეს სამეულად არის გაერთიანებული. შემთხვევითი როდია მარილის კურთხევის რიტუალის დამკვიდრებაც.

მარილის ეგზომი კულტი მხოლოდ მისი გემოვნების წყალობით როდი აიხსნება. შუა საუკუნეებში აღმოსავლური ცხარე სანელებლები ზღაპრულ ფასად იყიდებოდა. სწორედ ამიტომ იქცა სანელებელი სიმდიდრის ეტალონად და მდიდარ კაცს ირონიულად ადარებდნენ პილპილით სავსე ტომარას. თვით დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიც (აფრიკის გარშემო საზღვაო გზა, სამხრეთ ამერიკა) სანელებლების მოპოვების სურვილით იყო გამოწვეული. მაგელანის მოგზაურობიდან მშვიდობით დაბრუნებულმა ერთადერთმა ხომალდით ჩამოტანილმა რამდენიმე ტომარა სანელებელმა სრულად აანაზღაურა ექსპედიციის მთელი დანახარჯები. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, პილპილისათვის ან სხვა რომელიმე სანელებლისათვის რელიგიური მნიშვნელობა არ დაუკისრებიათ, რაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებს მარილის შეუცვლელ ადგილს ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ზოგიერთს ერთგვარ კურიოზადაც შეიძლება მოეჩვენოს დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ გაშლილი კამპანია, რომელიც მიმართულია სუფრის მარილის გამოყენების წინააღმდეგ. „თეთრი სიკვდილი“ — ასე მონათლეს ამ კამპანიის მესვეურებმა ნატრიუმქლორი, ანუ იგივე სუფრის მარილი.

უკანასკნელი ხანების გამოკვლევები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მარილის უაღრესად მავნე გავლენას ადამიანის სისხლის წნევაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ჰიპერტონიით დაავადება (სისხლის მაღალი წნევა) თითქმის არ გვხვდება იმ ხალხებში, რომლებიც საერთოდ არ ამატებენ საკვებ პროდუქტს მარილს, ან ხმარობენ მინიმალური რაოდენობით. ჩვენს დროში ჰიპერტონია მეტად ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, იგი განსაკუთრებით გულსა და თირკმელებზე ახდენს უარყოფით ზეგავლენას.

მარილის მავნე ზეგავლენის მიზეზია მის ქიმიურ შემადგენლობაში შემავალი ნატრიუმი, რომელიც ამავე დროს აუცილებელ კომპონენტსაც წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმებისათვის. ნატრიუმქლორის საშუალებით ხდება ცოცხალ უჯრედში წყლისა და მასში გახსნილი ნივთიერებების რეგულირება. თითქმის ყველა სასიცოცხლო პროცესი, ნერვული იმპულსებიდან დაწყებული და გულის მუშაობით დამთავრებული, დამოკიდებულია ამ წონასწორობაზე.

ორგანიზმში ნატრიუმის რაოდენობას არეგულირებენ თირკმელები, თუ ადამიანის სხეულში მისი საჭიროება იზრდება, თირკმელები მეტ ნატრიუმს გამოყოფენ, ხოლო როდესაც ნატრიუმი ჭარბი რაოდენობითაა სისხლში, მაშინ წყვეტენ მის გამოყოფას. ამგვარად ხდება მარილის, ხოლო მისგან გამომდინარე კი წნევის თვითრეგულირებაც. ორგანიზმში დიდი რაოდენობით მოხვედრილი მარილი იწვევს სისხლის წნევის სწრაფ ავარდნას, თირკმელები კი ველარ ასწრებენ მის რეგულირებას.

როგორც ვხედავთ, არცთუ უხიფათო ყოფილა ნატრიუმქლორი, ზედმეტი ტრფიალი და არც არის გასაკვირი, რომ თამბაქოს, სპირტიანი სასმელებისა და ტკბილეულის მოწინააღმდეგეებს, სუფრის მარილის ხმარების შეზღუდვის მომხრეებიც დაემატნენ. განსაკუთრებით ძლიერია ეს მოძრაობა საფრანგეთში. სპეციალური გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ ფრანგთა უმეტესი ნაწილი ილაშქრებს საკვებში მარილის გამოყენების წინააღმდეგ, ხოლო საზოგადოებრივი კვების ადგილებში აიკრძალა „თეთრი სიკვდილის“ გამოყენება.

მეცნიერთა მიერ დამტკიცებულია, რომ ადამიანის ორგანიზმს დღე-ღამის განმავლობაში სჭირდება 220-დან 400 მილიგრამი სუფრის მარილი (დაახლოებით მეოთხედი ჩაის კოვზი), მაგრამ საშუალოდ იგი იღებს დღის განმავლობაში 1000-დან 2000 მილიგრამ მარილს, დაახლოებით ოთხ ჩაის კოვზს. ერთი წლის განმავლობაში ეს რაოდენობა უკვე 7-8 კილოგრამს შეადგენს.

განსაკუთრებით ბევრ მარილს შეიცავს დამარილებული თევზი, ხორცი და ყველი. დიდი რაოდენობითაა მარილი შემწვარ კარტოფილში. მარილს შეიცავს სასმელი წყალიც. ასე რომ, არავითარი საჭიროება არ არის საკვების დამატებითი დამარილებისა. მაგალითად, თუ სალათს ყველთან ერთად მივირთმევთ, მარილის მოყრაზე უარი უნდა ვთქვათ.

მეცნიერთა გამოანგარიშებით, ჩვენი წინაპრები დღეში დაახლოებით 200-600 მილიგრამ მარილს იღებდნენ, დღეისათვის კი ეს რაოდენობა ბევრად მეტია. ჩვილი ბავშვი, როდესაც მლაშე საკვებს აძლევენ, უარყოფით რეაქციას ავლენს, მაგრამ მიეჩვევა თუ არა, მარილს, უჩნდება ძლიერი მოთხოვნილება მისადმი. ბევრი ჩვენგანისათვის წარმოუდგენელია მარილის დამატების გარეშე საკვების მიღება. სუფრაზე მარილის მიტანის დავიწყება, დიასახლისისათვის სირცხვილად ითვლება. მაგრამ თანდათანობით ფეხს იკიდებს ახალი ტრადიციაც — საჭმელი მზადდება მარილის გარეშე და შემდგომ ყველა თავისი გემოვნების მიხედვით ამატებს მას.

მარილის მიღების დოზები სხვადასხვა ხალხში განსხვავებულია. მაგალითად, ალიასკაში მოსახლე ესკიმოსები საერთოდ არ ხმარობენ მარილს, რაც ბუნებრივი პირობებით აიხსნება. უკიდურეს ჩრდილოეთში იქაური მკვიდრი მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტი — თევზი დიდი ყინვების გამო დამარილების გარეშეც მშვენივრად ინახება, ხოლო იაპონიის კუნძულებზე, სადაც განსაკუთრებულად უყვართ დამარილებული თევზი, დღიურად საშუალოდ 30-40 გრამ მარილს იღებენ.

შეიძლება თუ არა მარილის შემცვლელის მიღება? ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითი პასუხი არსებობს. ბუნებაში ნატრიუმქლორის შემცვლელი არ არსებობს და არც მარილის გემოვნების მინიჭება ძალუძს საკვებისათვის რომელიმე სხვა ნივთიერებას.

**ნუგზარ ბარდაველიძე**

ფოტო მერაბ ღვინაძისა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცდაათი წლის შემდეგ

ელგუჯა ამაშუკელის ძეგლის „მოყმისა და ვეფხვის“ გახსნაზე შორიდან შევნიშნე ფეხბურთელი მიხეილ მესხი (მამა) და მისკენ გავეშურე. გზადაგზა ვითომ ფოტოსურათებს ვიღებდი. სინამდვილეში კი მინდოდა თვითონ იგი გადამეღო, თანაც ისე, რომ არ შეემჩნია, მაგრამ როგორღაც მიმიხვდა და იქვე მახლობლად მყოფ ელგუჯა ამაშუკელსა და კოკი მახარაძეს წამოავლო ხელი: მოდით, გადავიღოთ. უმალ მათ გარშემო სხვებიც მოგროვდნენ.

— არა, დაიცადეთ. ჯერ ჩვენ გადავიღებთ. ჩვენ სამნი ხომ იმთავითვე ერთად მოვდივართო, — უთხრა მათ მიშამ და ისინიც განერიდნენ.

მეც, უპირველეს ყოვლისა, ეს სამეული გადავიღე.

ფოტოსურათი ელგუჯა ამაშუკელს მივუტანე. ელგუჯამ უყურა, უყურა, მერე სწრაფად წამოდგა, გავიდა მეორე ოთახში და მოიტანა მძიმე ჩანთა და რაღაც საქაღალდეები. დიდხანს ეძება და ძველი სურათი იპოვა — იგივე სამეული, იგივე წყობა! მხოლოდ, რასაკვირველია, ;ასაკში იყო გა-ნსხვავება.

— შენმა გადაღებულმა სურათმა, — მითხრა ელგუჯამ, — მაპოვნინა აი ეს სურათი, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინ ჟურნალ „დროშაში“ დაიბეჭდა... ხედავ, როგორები ვიყავით მაშინ?! — თავი სინანულით გაიქნია. — საკვირველი ის არის, რომ ახალი სურათი ზუსტად იმეორებს ძველ სურათს — იგივე სამეული, იგივე კომპოზიცია! და ეს მოხდა სრულიად შემთხვევით, წინასწარი ჩაფიქრების გარეშე!

დიახ, ეს ნამდვილად ასეა. ოღონდ იმათთვის, ვინც 60-იანი წლების ჩვენს ნიჭიერ ფეხბურთელებსა და მათ გარშემო შემოკრებილ რომანტიკულად განწყობილ ახალგაზრდობას იცნობს, ეს შემთხვევითობა კანონზომიერია და იგი ბევრ სასიამოვნო ფიქრსა და მოგონებას აღუძრავს მათ.

**რევაზ კვესელავა**



კოკი მახარაძე, მიხეილ მესხი და ელგუჯა ამაშუკელი.



ჟურნალ „დროშის“ № 4-ში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

შვეულად. 1. არზიანი; 2. ანანური; 4. ილინი; 5. ფინტი; 7. პიკე; 8. ცევე; 9. ტრამპლინი; 11. იუვენტუსი; 16. ივანოვი; 17. მექსიკა; 18. პირაევი; 19. იაპონია; 20. ქიში; 21. ნეტო.

თარაზულად: 3. ჰორტი; 5. ფანდი; 6. ლიპეცკი; 9. ტაიჰი; 10. „ნანტი“; 12. „იმერეთი“; 13. ჰიმნი; 14. „იმედი“; 15. ნაილი; 17. მოუზო; 18. პლატინი; 22. როხასი; 23. ეროზია; 24. ვოინოვი.

შვეულად: 1. ანდაზა; 2. ფსოუ; 3. იოდი; 4. ოდოში; 5. მარკა; 9. ალეგორია; 10. ჰარმონია; 12. იუბილე; 14. ახტალა; 19 ჭიუხი; 20. კენია; 23. მადონა; 25. ორბი; 27. რუკა.

თარაზულად: 2. ფასანაური; 6. შუ; 7. დაზგა; 8. ია; 11. ლაილაში; 13. აკლდამა; 15. ობობა; 16. ატამი; 17. ტოკიო; 18. ჰანოი; 21. ინერცია; 22. თეირანი; 24. პო; 26. ხრამი; 27. რუ; 28. ინდონეზია.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის ლაურეატი მხატვარი თინა კლდიაშვილი; გარეკანის მესამე გვერდზე: „გაზაფხული ჭვარზე“. ფოტო ზურაბ დათუაშვილისა. მეოთხე გვერდზე: „ყვავილები“.

გადაეცა წარმოებას 14. 04. 86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 05. 86. უე 04649. ქაღალდის ზომა 70×1681/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50000. შეკვ. 915. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის— 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

111/85



ეროვნული ბიბლიოთეკა